

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი

5

2013

რედაქტორები: გიორგი სანიკიძე
ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: მირანდა ბაშელეიშვილი
თამთა ბოკუჩავა
მარიამ გურეშიძე
სიმონ გურეშიძე
ინგა ინასარიძე
თინათინ კუპატაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
მისამართი: აკად. გ. წერეთლის 3, 0162 თბილისი
ტელ./ფაქსი: (+995 32) 223 31 14
ელ-ფოსტა: giorgi.sanikidze@iliauni.edu.ge
<http://www.iliauni.edu.ge>

შინაარსი

ნოდარ ხონელიძე

„ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი“. ტერმინის შინაარსობრივი
ასპექტების გარკვევისა და დაზუსტებისათვის 4

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ირანის ისლამური რესპუბლიკის სავიზო პრობლემები
(საქართველო, ინდონეზია, ომანი, ეგვიპტე, მალაიზია) 19

მირანდა ბაშელეიშვილი

ირანის ახალი მთავრობის დიპლომატიის დასაწყისი 25

სიმონ გურეშიძე

ლიბია კადაფის რეჟიმის დამხობის შემდეგ 31

ინგა ინასარიძე

დაძაბული შემოდგომა არაბულ ქვეყნებში 36

თამთა ბოკუჩავა

სირიის კრიზისი და თურქეთის პოზიცია 44

თინათინ კუპატაძე

სახელმწიფო და კინო ირანში 48

“ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი” ტერმინის შინაარსობრივი ასპექტების გარკვევისა და დაზუსტებისათვის

თანამედროვე მსოფლიო გეოპოლიტიკური სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი – ახლო აღმოსავლეთი, XXI საუკუნეს არა მხოლოდ ძველი, მოუგვარებელი პრობლემების მძიმე მემკვიდრეობით შეხვდა, არამედ, ახალი ასწლეულის დაწყებისთანავე აღმოჩნდა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის წინა ხაზზე. მხედველობაში გვაქვს რეგიონთან უშუალოდ მიმდებარე ქვეყანაში, ავღანეთში ანტიტერორისტული საომარი მოქმედების დაწყება აშშ-ის მიერ 2001 წლის ოქტომბერში, როგორც პასუხი იმავე წლის 11 სექტემბრის ტერაქტებზე და ერაყში, ანუ საკუთრივ (კლასიკურ) ახლო აღმოსავლეთში,¹ ასევე შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების სამხედრო ინტერვენცია 2003 წლის მარტში, სადამ ჰუსეინის რეჟიმისადმი ტერორიზმის ხელშეწყობისა და მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების ბრალდების საფუძველზე.

იმის გათვალისწინებით, რომ აქ სახეზეა ამერიკის თაოსნობით დასავლური ცივილიზაციის რიგი წამყვანი სახელმწიფოებისა და მათი მოკავშირეების მონაწილეობა პირდაპირ საომარ მოქმედებებში მუსლიმური სამყაროს ფრიად მნიშვნელოვან (როგორც ტერიტორიულად, ასევე რიცხოვნობით) ნაწილთან, ვფიქრობთ, ტერმინი “ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი”, რომელიც ჩვეულებრივ გულისხმობდა ისრაელის სახელმწიფოს და არაბული ქვეყნების სამხედრო დაპირისპირებას და “რომლის სინონიმებია არაბულ-ისრაელური, არაბ-ისრაელის, ისრაელ-პალესტინის, ისრაელისა და პალესტინელთა კონფლიქტი /პრობლემა/ საკითხი” [გაჩეჩილაძე, 2008: 423] ვეღარ ჰგუობს ასეთი განსაზღვრების ჩარჩოებს და შექმნილ ვითარებაში განსხვავებულ, გაფართოებულ შინაარს იძენს.

ისრაელის ურთიერთობის პრობლემა პალესტინელებსა და საერთოდ არაბულ გარემოცვასთან ამჟამად დაემატა და წინა პლანზე გამოვიდა ირანის ბირთვული პროგრამა. რაც შეეხება ისრაელსა და ჰიზბულას – ირანის “შვილობილ” – ტერორისტულ ორგანიზაციას შორის გამართულ სარაკეტო დუელს 2006 წლის ივლის-აგვისტოში (კონფლიქტში არმონაწილე სახელმწიფოს, ლიბანის ინფრასტრუქტურა თითქმის მთლიანად რომ შეიწირა), მან არა უბრალოდ ცხადჰყო, რომ ისრაელთან დაპირისპირებულ ისლამურ ფრონტს მხოლოდ

¹ ახლო // მახლობელი აღმოსავლეთის, როგორც პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცნებისა და მისი განსაზღვრების თაობაზე აზრთა სხვადასხვაობის შესახებ იხ. რევაზ გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, მე-2 გამოცემა, თბილისი 2008, გვ. 15-18. გიორგი სანიკიძე, “ახლო” და “შუა” აღმოსავლეთი: ტერმინთა ისტორიისათვის // ახლო აღმოსავლეთი და საქართველო VI. თბილისი, 2009. გვ. 194-205.

ჩვენ, ამ შემთხვევაში ვრჩებით აღნიშნული ცნების ქართულ სამეცნიერო ტრადიციაში მიღებული გაგების ფარგლებში.

არაბული ქვეყნები არ ქმნიან, არამედ გამოკვეთა ის, რომ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტმა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში სხვა პარამეტრები, სიმძიმის სხვა ცენტრი შეიძინა და გეოსტრატეგიული ვექტორების გადაკვეთის სხვა წერტილში გადაინაცვლა – თავდაპირველ ეპიცენტრთან ორგანული კავშირის შენარჩუნებით.

ამ პროცესების დეტალური ანალიზი, მით უმეტეს კი მოვლენების განვითარების პროგნოზირება არ წარმოადგენს ჩვენი წერილის მიზანს. ავტორის მოკრძალებული ამოცანა რეალური ვითარების ამსახველ, შესაბამის განსაზღვრებათა მოძიება და დაზუსტებაა.

მიგვაჩნია, რომ დასახული ამოცანის გადაჭრის გზები მსოფლიოში ამჟამად მიმდინარე გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესის გააზრებაზე გადის. შესაბამისად ჩნდება პირველი შეკითხვა: რას ნიშნავს იგი თავისთავად, როგორი სამეცნიერო აპარატით, რომელი კატეგორიებით ხსნიან და გადმოსცემენ ამ ფენომენის არსს პოლიტოლოგები, უშუალოდ მიმართულების მკვლევარნი თუ თვით პოლიტიკოსები. ახსნა-განმარტებების, ინტერპრეტაციების, შეფასებების ნაკლებობა ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეინიშნება. გავეცნოთ ერთმანეთისგან განსხვავებულ, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ რამდენიმე მათგანს: „გლობალიზაცია ასახავს ყველა იმ პროცესს, რომელთა მეშვეობით, მსოფლიოს ხალხები ერთ მსოფლიო საზოგადოებაში, გლობალურ საზოგადოებაში ერთიანდებიან.“ მარტინ ელბროუ (Martin Albrow,) 1990.

„გლობალიზაცია ... შეიძლება განიმარტოს, როგორც მსოფლიო მასშტაბის იმ სოციალურ ურთიერთობათა გაძლიერება, რომლებიც დაშორებულ ადგილებს იმგვარად აკავშირებს ერთმანეთთან, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის პროცესები მრავალი მილის დაშორებით მიმდინარე მოვლენების გავლენას განიცდის და პირიქით“. ენტონი გიდენსი (Anthony Giddens), 1990. „გლობალიზაცია გახლავთ ის, რასაც მესამე სამყაროში საუკუნეების მანძილზე კოლონიზაციას ვუწოდებდით.“ მარტინ ხორი (Martin Khor), 1995. [ციტატები მოხმობილია – შოლტე 2004: 172; დავითაშვილი 2003: 186, 187; სანიკიძე ... 2001: 40-ის მიხედვით].

„... დღეს ჩვენ უნდა მივიღოთ გლობალიზაციის ულმობელი ლოგიკა, რომელიც მდგომარეობს მასში, რომ ყველაფერი, ჩვენი ეკონომიკის სიმტკიცით დაწყებული, ჩვენი ქალაქების უსაფრთხოებითა და ჩვენი ბავშვების ჯამრთელობით დამთავრებული, დამოკიდებულია არა მხოლოდ მასზე, თუ რა ხდება ჩვენ საზღვრებში, არამედ, პლანეტის მეორე კიდეზე მომხდარზე.“ ბილ კლინტონი (Bill Clinton) სან-ფრანცისკო, 1996 წლის 26 თებერვალი [ციტირებულია – ბჟეზინსკი 2004: 187-188-ის მიხედვით].

„გლობალიზაციის მატარებლის უკან დაბრუნება აღარ შეიძლება... თუ ჩვენ გვსურს, რომ ამერიკა სწორ გზას დაადგეს... სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არა ვიკისროთ ამ მატარებლის მართვა.“ ბილ კლინტონი, ნებრასკას შტატის უნივერსიტეტი, 2000 წლის 8 დეკემბერი [იქვე].

ამ პრობლემასთან – ისევე როგორც სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც – ჩვეული სიღრმით გამოირჩევა გამოჩენილი ფრანგი სოციოლოგის პიერ ბურდიეს (Pierre Bourdieu) ვერდიქტი: „კონკრეტული საზოგადოების ტრადიციებში ისტორიულად დანერგილი ეკონომიკის მოდელი – სახელდობრ კი ამერიკული – შემოთავაზებული როგორც ბუნებრივი ევოლუციის დასასრული, ერთდროულად ხდება გარდაუვალი და საყოველთაო განთავისუფლების პროექტი, სამოქალაქო და ეთიკური იდეალი, რომელიც დემოკრატიასა და

ბაზარს შორის სავარაუდო კავშირის სახელით პოლიტიკურ თავისუფლებას უქადის მსოფლიოს ხალხებს.

ის, რასაც ყველას სთავაზობენ და თავს ახვევენ, როგორც ნებისმიერი რაციონალური ეკონომიკის უნივერსალურ სტანდარტს, სინამდვილეში წარმოადგენს კონკრეტული ქვეყნის – ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიასა და სოციალურ სტრუქტურაში ფესვადგმული ეკონომიკური სისტემის კონკრეტული მახასიათებლების უნივერსალიზაციას“ [ციტირებულია – ბჟეზინსკი 2004: 200-ის მიხედვით].

როგორც ვხედავთ ამ განმარტებებში ფაქტის კონსტატაციის ელემენტი (ზოგჯერ ემოციური შეფერილობისა) სჭარბობს საკუთრივ ფენომენის ანალიტიკურ ფორმულირებას და შესაძლო მკაფიო დეფინიციას. თუმცა, ამ სახითაც კი, ციტირებული განმარტებანი, ბევრ სხვა მსგავს ინტერპრეტაციასთან ერთად, აზრობრივი კონსტრუქციების, შეხედულებების ისეთ უსიერ ტევრს ქმნიან, ან ფიგურალური გამოთქმის უფლებით თუ ვისარგებლებთ, გლობალიზაციის პროცესის სქელი გამონაბოლქვების იმგვარ კამუფლაჟს, რომ ამ ბურუსში გარკვევა და გაკვლევა ერთობ პრობლემური ჩანს, პირველ რიგში თვით პროცესის სამეცნიერო შემეცნების თვალსაზრისით. რაც შეეხება გლობალიზაციური პრაქტიკის პოლიტიკურ დეტერმინანტებს, აქ, ვფიქრობთ სრული სიცხადე შეაქვს ისევ თვით ზბ. ბჟეზინსკის (Zbigniew Brzezinski), რომლის ნაშრომიც, ფაქტობრივად, გლობალიზაციის პროცესში ამერიკის წამყვანი როლის განსაზღვრა – დადგენას და მოქმედების შესაძლო სცენარებს ეძღვნება.

ცნობილი პოლიტოლოგი გლობალიზაციის დილემების გამომწვეურობისათვის ასე მსჯელობს, “... მსოფლიო პოლიტიკურად ჯერ კიდევ დაყოფილია ეროვნულ სახელმწიფოებად (Nation state-ს.), რომლებსაც შეუძლიათ დათანხმდნენ გლობალიზაციით წაყენებულ მოთხოვნებს, ან მათ მიუხედავად სცადონ მოქმედება.

ასეთ ქვეყნებს გლობალიზაცია სტიმულთა შერეულ ნაკრებს სთავაზობს. ერთი მხრივ იგი ეკონომიკური ზრდის, უცხოური კაპიტალის მოდინების და ფართოდ გავრცელებული სიღარიბის დაძლევის შესაძლებლობებს ქმნის. სხვა მხრივ იგი, არცთუ იშვიათად, მასობრივი არეულობებით, ძირითად ეკონომიკურ ფასეულობებზე ეროვნული კონტროლის დაკარგვით და სოციალური ექსპლუატაციით იმუქრება (კურსივი ჩვენია – ნ.ბ.). რჩეულთა ჯგუფისთვის იგი უზრუნველყოფს ახალ ბაზრებზე გასვლას და პოლიტიკურ დომინირებას. რაც უფრო დაწინაურებულნი არიან ქვეყნები ტექნოლოგიური თვალსაზრისით, რაც უფრო მეტია მათი კაპიტალი და ეკონომიკური ინოვაციური პოტენციალი, მით უფრო დიდ ენთუზიაზმს იწვევს გლობალიზაციის გავრცელება ამ ქვეყანათა ეროვნულ ელიტებში.

ამგვარად, გლობალიზაციის კონცეფცია რამდენიმე მნიშვნელობას იძენს და რამდენიმე მიზანს ემსახურება. ეს ტერმინი მსოფლიოში მდგომარეობის თითქოს ობიექტურ დიაგნოზს იძლევა; ასახავს კონცეპტუალურ პრეფერენციებს; უკუაგდება ამ პრეფერენციების უარმყოფელ კონტრკრედოს (ან ანტითეზისს); ახდენს გენერირებას პოლიტიკურ-კულტურული კრიტიკისა, მიმართულს მსოფლიოში ძალაუფლების ჩამოყალიბებული იერარქიის შეცვლაზე. ყოველ ამ გამოვლინებაში, გლობალიზაციის კონცეფცია ემპირიული ან ნორმატიული რეალობის განმსაზღვრელი კრიტერიუმის მაგივრობას წევს. ზოგს იგი რეალობის გაანალიზების საშუალებას აძლევს, სხვებს მიუთითებს როგორი უნდა იყოს ეს რეალობა, ხოლო ზოგს –

როგორი არ უნდა იყოს იგი. ბევრისთვის კი, კონცეფცია ყველა ამ ფუნქციას ერთდროულად ასრულებს” [ბჟეზინსკი 2004: 185, 186].

ვფიქრობთ, ეს ვრცლად მოხმობილი შეხედულება გლობალიზაციის რაობის შესახებ, საკმარისია, რათა ამერიკელი სპეციალისტის შემდგომი მსჯელობის დეტალური გადმოცემის გარეშე გახდეს გასაგები, თუ რატომ, რის საფუძველზე აკეთებს იგი ცხადზე უცხადეს დასკვნას, რომ “კომუნიზმის დაცემისა და საერთოდ ყველა იდეოლოგიური კონფლიქტის დასრულების თაობაზე ილუზიის წარმოქმნასთან ერთად (კურსივი ჩვენია – ნ.ხ.), გლობალიზაცია – ამერიკისთვის მოხერხებულ განზოგადებად და მსოფლიოში ფორმირებადი პირობების მიმზიდველ ხატებად იქცა (...)

გასაკვირი არაა, რომ 1990-იან წლებში გლობალიზაცია ეკონომიკური თეორიიდან ნაციონალურ კრედოდ გარდაიქმნა (...) გლობალიზაცია აშშ-ის პოლიტიკური და საქმიანი ელიტის არაოფიციალური იდეოლოგია გახდა; იგი განსაზღვრავს ამერიკის როლს მსოფლიოში და იმ სავარაუდო კეთილდღეობასთან აიგივებს ამერიკას, რომელიც მომავალ ერას მოაქვს” [იქვე: 187].

აქ, როგორც ვხედავთ, ბჟეზინსკი თავის სტიქიაშია, იგი პირდაპირ და მკაფიოდ უწოდებს მოვლენებს ზუსტ სახელებს და იოტისოდენა ადგილსაც არ ტოვებს რაიმე ბუნდოვანებისთვის.

მსჯელობა გლობალიზაციაზე, კაცობრიობისათვის მისი სამომავლო შედეგების ავკარგიანობის შესახებ ნაკლები იქნებოდა (თუნდაც ასეთ ფორმატში) კიდევ ერთი ფხიზელი ხედვისა და გაფრთხილების გარეშე, რომელსაც ასევე ამერიკელი პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობების იშვიათი მცოდნე და გამოჩენილი დიპლომატი ჰენრი კისინჯერი (Henry Kissinger) იძლევა: “გლობალიზაციამ ეკონომიკისა და ტექნოლოგიების ძალაუფლება მთელ მსოფლიოზე განავრცო. ინფორმაციის მყისიერი გადამცემის შესაძლებლობამ ერთ რეგიონში მიღებული გადაწყვეტილებები აქცია მძევლად მსოფლიოს სხვა ნაწილებში მიღებული გადაწყვეტილებებისა. გლობალიზაციამ მოიტანა უპრეცედენტო, თუმცა კი არათანაბარი დოვლათიანობა, აყვავება და აუცილებელია ჯერ გაირკვეს, ხომ არ აჩქარებს იგი იმავე წარმატებით კრიზისულ მოვლენებს, როგორითაც ქმნის საყოველთო კეთილდღეობას და ხომ არ წარმოშობს ამით გლობალური კატასტროფის წინაპირობებს. გარდა ამისა გლობალიზაციამ, მისი სრული გარდაუვალობით, შესაძლოა მოიტანოს უსუსურობის დამრთავუნავი განცდის გაძლიერება, რადგანაც გადაწყვეტილებები, რომლებიც მილიონობით ადამიანთა ბედ-იღბალზე ახდენს გავლენას, ადგილობრივ ხელისუფალთა პოლიტიკურ კონტროლს თანდათან აღარ ექვემდებარება. წარმოიქმნება საშიშროება, რომ ამჟამინდელი პოლიტიკოსები ვეღარ შეძლებენ თანამედროვე ეკონომიკისა და ტექნოლოგიების რთული, ჩახლართული ხასიათის მოთოვვასა და მართვას”. [კისინჯერი 2002: 9]

დოქტორი კისინჯერი ზოგადი შეფასებით არ იფარგლება, გლობალიზაციის პოლიტიკას თავის ნაშრომში ცალკე თავს უთმობს და მისი მსჯელობა არა მხოლოდ მეტ კონკრეტიკას იძენს, არამედ, უფრო ზუსტ პროგნოზირებასაც შეიცავს. იგი წერს: “გლობალიზაციის მთავარი ფაქტორი შეერთებული შტატებია; სწორედ მან ნახა ყველაზე დიდი მოგება იმ ძალებისგან, რომელიც თავადვე გამოათავისუფლა [...] ვითარებისას, როდესაც ამერიკული ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკური ზრდის მამოძრავებლად გვევლინება, მასზე მიყენებულ სერიოზულ დარტყმას სავალალო – ეკონომიკურ სფეროს შორს გაცდენილი – შედეგები ექნებოდა [...] 2001

წლის გაზაფხულზე, როდესაც ეს სტრიქონები იწერება, რწმენა იმისა, რომ დაქვეითება შეერთებულ შტატებში კარგა ხანია მომწიფდა, მეტად გავრცელებულია და მხოლოდ ისაა გაურკვეველი შემოიფარგლება თუ არა საქმე ე. წ. “რბილი დაშვებით”. როდესაც არ უნდა დაიწყოს რეცესია, განსაკუთრებით თუ ის ხანგრძლივი აღმოჩნდება, გლობალიზაციის პროცესი სწრაფად გაავრცელებს მის შედეგებს მთელ მსოფლიოზე. [...] 90-იან წლებში აზიისა და ლათინური ამერიკის ფინანსურ ბაზრებზე გამოძვევი კრიზისის რიგი ტენდენციები შეიძლება კვლავ წარმოიქმნას სხვა ფორმებში, მაგრამ იმავე საფუძველზე.” [იქვე, 235,237-238]²

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ნაწილობრივ გავერკვეთ გლობალიზაციის პოლიტიკურ მამოძრავებლებსა თუ სტიმულატორებში და ამ პროცესის საჭეთმპყრობელთა იდენტიფიცირებაც (მართალია ზოგადი, მაგრამ მაინც) მოვახდინეთ.

თუ ასეა, მაშინ მეორე საკითხი, რომელიც პასუხს და გაშუქებას მოითხოვს არის გლობალიზაციის კავშირი ახლო აღმოსავლეთის ძველ და ახალ მოვლენებთან.

რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობისა და მისი მთავარი სიმდიდრის, ნავთობის არსებობის გათვალისწინებით ეს საკითხი თითქოს თავისთავად გასაგებია და არც კი მოითხოვს განსაკუთრებულ განმარტებას, რადგან “გლობალიზაციამ არ მოსპო ადგილის, მანძილის, ტერიტორიული საზღვრების მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკაში. მართალია, პროცესმა დამატებითი განზომილება შესძინა გეოგრაფიას საზოგადოებრივ ურთიერთობებში კიბერსივრცის შექმნით, ელექტრომაგნიტური ტალღებით კომუნიკაციით და ა. შ., მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აღარ არსებობს გრძელისა თუ განედის ძველი გეოგრაფიული ცნებები. მაგ., ტერიტორია კვლავაც ინარჩუნებს მნიშვნელობას ბუნებრივი რესურსების ადგილმდებარეობის, ეროვნული იდენტურობის გამოხატვის და სხვათა გამო [...]. ამგვარად, გლობალიზაცია სულაც არ ნიშნავს „გეოგრაფიის დასასრულს“, არამედ იგი ქმნის ახალ ზეტერიტორიულ სივრცეს, რომელიც არსებობს და კავშირშია ძველ ტერიტორიულ გეოგრაფიასთან. მსოფლიოს საქმეთა „რუკა“ ამგვარად გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ოდესმე.“ [სანიკიძე ... 2001: 44]

ძალთა ბალანსის საერთაშორისო სისტემის (XVIII-XIX სს.) დიდი ევროპული სახელმწიფოები, ხოლო შემდეგ ბიპოლარული სისტემის (1949,1955–1991 წწ.) ორი ზესახელმწიფო ყოველთვის გაძლიერებულ ინტერესს ავლენდნენ ახლო აღმოსავლეთისადმი და ეს, შესაბამისად, აისახებოდა კიდევ მათ საგარეო პოლიტიკაში. მაგრამ ამჟამად მსოფლიოში ერთადერთ ზესახელმწიფოდ დარჩენილი აშშ-ის ისტორიულად უანალოგო ლიდერობის პირობებში, საქმე გვაქვს თვისებრივად ახალ ვითარებასთან სწორედ გლობალიზაციის პროცესის სახით. ეს გარემოება, გარდა რიგი სხვა პირობებისა, “თითოეული სახელმწიფოსგან მოითხოვს სტაბილურობას, საზღვრების გახსნილობას, პოლიტიკურ, ეთნიკურ, კონფესიურ შემწყნარებლობას და რასაკვირველია უკონფლიქტობას. ამასთანავე, იმის გამო, რომ გლობალიზაციის პროცესი არათანაბრად ვითარდება, ყოფს რა მსოფლიოს გამალებით გლობალიზებად “ცენტრად,” და ამ პროცესის განაპირად დარჩენილ, პერიფერიულ “ჭაობად” (სადაც კონფლიქტებს მსოფლიო საზოგადოება იმდენად დამაბულ ყურადღებას არ მიაპყრობს და არც ისე აქტიურად ერევა), ახლო აღმოსავლეთი მაინც საკმარისად ახლო მდებარეობს გლობალიზაციური პროცესების “ცენტრთან”, იმისთვის რომ მსოფლიო

² 2009-2010 მსოფლიო ფინანსური კრიზისი (ჯერაც ბოლომდე ვერ დაძლეულის), როგორც მომხდარი ფაქტი დოქტორ კისინჯერს, 2001 წელს გამოთქმული პროგნოზით, ლამის ნათელმხილველად წარმოგვიდგენს.

საზოგადოების ერთობ საგრძნობ ზეწოლას არ განიცდიდეს” – წერდა 2002 წელს გამოცემულ კრებულში ამერიკა-ისრაელის ურთიერთობებისა და ისრაელის საგარეო პოლიტიკის მკვლევარი ეკატერინე უსოვა [უსოვა 2002: 269].

პუბლიკაციის თარიღზე ყურადღებას ვამახვილებთ იმიტომ, რომ ექსპერტი ასახავს ვითარებას აშშ-ისა და მისი მოკავშირეების ერაყში ინტერვენციამდე, რის შემდეგაც, ლაპარაკი ახლო აღმოსავლეთზე, როგორც “გლობალიზებად ცენტრთან” ახლო მდებარე რეგიონზე, აღარ შეიძლება. იგი, ამ გაფართოებადი ცენტრიდან მომდინარე მორიგ კონცენტრირებულ წრეში მოექცა (რაც, ზემოთ აღნიშნული ზეტერიტორიული სივრცის შექმნის ირიბ, ხოლო მსოფლიოს საქმეთა “რუკის” გართულების ერთ-ერთ პირდაპირ გამოვლინებად მიგვაჩნია) და ისრაელ-არაბული კონფლიქტიც – ერთგვარი პოლიტიკური აისბერგის ეს ხილული ნაწილიც – უმაღლეს აღმოჩნდა იმ პრობლემების თავში, რომლის გადაწყვეტაც “ახალ გლობალურ დილემებზე” მსჯელობისას, გადაუდებელ აუცილებლობად მიაჩნია იმავე ბჟეზინსკის. ევრაზიის კონტინენტზე აშშ-ის მიზნების განსახორციელებლად ამერიკელი ანალიტიკოსისთვის პრიორიტეტულია სამი ცენტრალური, ურთიერთდაკავშირებული ამოცანის გადაჭრა: 1) დარეგულირება ისრაელ-არაბული კონფლიქტისა, რომელიც დამღუპველ გავლენას ახდენს ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე; 2) სპარსეთის ყურედან ცენტრალურ აზიამდე გადაჭიმულ ნავთობმომპოვებელ ზონაში სტრატეგიული განლაგების შეცვლა; 3) მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობისა და ტერორიზმის ეპიდემიის შეკავების საკითხთან დაკავშირებით რეგიონულ შეთანხმებებში მონაწილეობისთვის წამყვანი სახელმწიფოების მოწვევა” [ბჟეზინსკი 2004: 97].

ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს ჩამოთვლილთაგან პირველის განსაკუთრებულ აქტუალურობას: “ისრაელსა და მის არაბულ გარემოცვას შორის მშვიდობის დამყარება ყველაზე მწვავე საჭიროებაა, რადგან ამის გარეშე პრინციპულად შეუძლებელია დარჩენილი ორი ამოცანის გადაჭრას შევუდგეთ “[იქვე: 98].

ვფიქრობთ, ამ დასკვნაში გადაჭარბებული არაფერია და მით უფრო საინტერესოა თუ რატომ და როგორ აღმოჩნდა ისრაელ-არაბული კონფლიქტი ასეთ საჭირობოროტო საკითხთა სიის თავში; მხოლოდ გლობალიზაციის პროცესის შედეგად მოხდა მისი გენერალიზაცია, თუ ამისათვის უკვე არსებობდა სხვა წანამდვრებები, სხვა წინაპირობები. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა საფუძვლიანი გარკვევა იმისა თუ რას გულისხმობს “ისრაელ-არაბულ კონფლიქტი” და რას წარმოადგენს იგი სინამდვილეში; როგორი იყო მისი გენეზისი და დინამიკა. ჩვენი მსჯელობაც ამ თანამიმდევრობით წარვმართოთ.

კონფლიქტის გენეზისის თაობაზე საუბრისას პირველ ყოვლისა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ”სიონისტური მოძრაობის, პალესტინაში ებრაული სათემო ცხოვრების განვითარების, ისრაელის სახელმწიფოს შექმნის, ისრაელ-არაბული კონფლიქტის მიმდინარეობისა და მისი გადაჭრის გზების მთელი ისტორიის ადეკვატურად განხილვა შესაძლებელია მხოლოდ საერთო მსოფლიო და რეგიონული პოლიტიკის, ეკონომიკური და კულტუროლოგიური ტენდენციების კონტექსტში (...) ამჟამად, მსოფლიო გეოპოლიტიკის საერთო ტენდენციები კრიტიკულ გავლენას ახდენენ, როგორც ისრაელის სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებზე, ასევე ისრაელ-არაბული კონფლიქტის განვითარებაზე” [ეპშტეინი 2003: 6-10].

ამ უკანასკნელი გამონათქვამიდან ჩანს, რომ არა თუ ისრაელ-არაბული კონფლიქტი ახდენს დამღუპველ გავლენას მთელ რეგიონზე და მის ფარგლებგარეთ სიტუაციაზე, არამედ ადგილი აქვს უკუუკავშირსაც, და შესაძლოა იგი ანუ *მსოფლიო გეოპოლიტიკური ტენდენციები* ადრეც და ახლაც არანაკლებ ნეგატიურად ზემოქმედებენ ახლო აღმოსავლეთის რეგულირებაზე. ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგნებულად მივმართავთ ციტირებული მასალის ასეთ ურთიერთგამჭოლ შეპირისპირებას, რათა ვცადოთ “აისბერგის” უხილავი, ან ნაკლებად შესამჩნევი შრეების შეძლებისდაგვარად წამოტივტივება. ამაში, ვფიქრობ უდავოდ დაგვეხმარება იმის აღნიშვნაც, რომ, “...ბოლო ათწლეულის მოვლენებიცა და 1980-1990-იან წლებში გამოქვეყნებული მოწმობანიც არაბულ-ისრაელური ურთიერთობების ზოგიერთ, მანამდე გაუმჟღავნებელ ასპექტებზე, უცილობლად ადასტურებს, რომ შეხედულება ისრაელ-არაბულ კონფლიქტზე, როგორც “ტოტალურ დაპირისპირებაზე” რომელიც გათვლილია “წულოვანჯამიან თამაშზე”, უკიდურესად გამარტივებული, ზედაპირულია, ხოლო მასზე დამყარებული ყველა დასკვნა და პროგნოზი ფრიად შორსაა რეალობიდან [...].

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. “არაბული ბლოკი” არასოდეს ყოფილა მონოლითური. თვით არაბული ქვეყნების ლიგის ჩამოყალიბება, არსებითად იყო ჩაშლილი მცდელობების შედეგი შეექმნათ ერთიანი არაბული სახელმწიფო (...). ყველა არაბი ლიდერის მიერ, პრინციპში მხარდაჭერილი ამ პროექტის განხორციელება შეუძლებელი იყო მათ შორის მწვავე მეტოქეობის, ზოგჯერ კი აშკარა მტრობის გამო” [უსოვა 2002: 255]. ეს ბოლო პასაჟი, თავისთავად საინტერესოა და აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ არაბული ლიგის შექმნის (1945) ინიციატორი დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ედენი (A. Eden) იყო და ლონდონი _ ახლო აღმოსავლეთის ეს სტაჟიანი სიუზერენი _ ამ შემთხვევაშიც მოქმედებდა თავისი ტრადიციული “მუდმივი ინტერესებისა” და “გათიშე და იბატონეს” პრინციპიდან გამომდინარე. მას, რა თქმა უნდა, არ აწყობდა პოლიტიკურად გაერთიანებული არაბული სამყარო ერთი, ან თუნდაც ორი მოზრდილი სახელმწიფოს სახით, რომელთა მანიპულირებას ის ვეღარ შეძლებდა რეგიონში უკვე ისედაც არსებული ძლიერი ანტიბრიტანული განწყობების გამო (მათ შორის პალესტინის ებრაულ მოსახლეობაშიც). შექმნილ ვითარებაში ლონდონმა არაბების, მართალია შინაგანად წინააღმდეგობრივი, მაგრამ მაინც ერთიანობისკენ სწრაფვის დაკმაყოფილება, მის მიერ ასე თუ ისე კონტროლირებადი რეგიონული ორგანიზაციის დაარსებით ამჯობინა. ამან, ცხადია ვერც დიდ ბრიტანეთსა და არაბებს, და ვერც თვით არაბულ ქვეყნებს შორის არსებული ანტაგონიზმი ვერ აღმოფხვრა.

ამ გარემოებებსა და ფაქტორებზე (ზემოთქმულსა და ქვემოთ ჩამოთვლილზეც) ყოველთვის აუცილებლად მიუთითებენ მეტ-ნაკლებად ობიექტური მკვლევარნი.

“ასე მაგალითად, ერაყს სურდა “ნაყოფიერი ნახევარმთვარის კავშირის”, ანუ, ასე ვთქვათ, დიდი სირიის ფედერაციის შექმნა _ სირიის, ლიბანის, პალესტინის, ტრანსიორდანის და თვით ერაყის შემადგენლობით. ეგვიპტე კი შიშობდა, რომ ასეთ შემთხვევაში მოუწევდა რეგიონში პოზიციების დათმობა და ამიტომ ეგვიპტე და ერაყი ურთიერთმიმართ აშკარად მტრულ განწყობას ამჟღავნებდნენ. სირიას და ლიბანს კატეგორიულად არ სურდათ გაერთიანებულ არაბულ სახელმწიფოში გათქვეფა. ამასთან, სირია ლიბანის ინკორპორირებას ცდილობდა, ლიბანი კი დამოუკიდებლობას ესწრაფოდა; ჰაშიმიანებსა და გამარჯვებულ იბნ საუდის დინასტიას შორის არსებულმა, რბილად რომ ვთქვათ ანტიპათიამ, ტრანსიორდანის ამარად დარჩენილ ჰაშიმიანი

მეფე აბდალაჰის პრეტენზიები იერუსალიმისა და მისი შემოგარენის ისლამურ სიწმინდეებზე კიდევ უფრო გაზარდა; თვით ტრანსიორდანიას სხვა არაბი ნაციონალისტები ამრეზით უცქერდნენ, როგორც დიდი ბრიტანეთის კმაყოფაზე მყოფ ხარჭას; მეფე აბდალაჰი კი, მისი აზრით, ჩამორჩენილ ეგვიპტელებს დეგენერირებულ არაბებად მიიჩნევდა; სირიას თვალი ეჭირა პალესტინის ჩრდილოეთზე (გალილეაზე), ხოლო იერუსალიმის მუფთი ჰაჯ-ამინ ალ ჰუსეინი თავს მეტოქეებთან ანგარიშის გასწორების შემდეგ, პალესტინაში საკუთარი მმართველობით არაბული სახელმწიფოს შექმნას ცდილობდა; ეგვიპტე თავის ბრძოლაში ტრანსიორდანიის წინააღმდეგ ხან მუფთის უჭერდა მხარს დროებით, ხან თამაშიდან მის გამოთიშვას და პალესტინაში საკუთარი გავლენის დამყარებას ცდილობდა” [უსოვა 2002: 256; გრენვილი 1999: 437].

“ისრაელ-არაბული პირველი ომისას (...) არაბული ქვეყნები ომობდნენ არა მხოლოდ ისრაელის, არამედ ერთმანეთის წინააღმდეგაც, რადგან თითოეული მხარე ცდილობდა “გასათავისუფლებელი” პალესტინის რაც შეიძლება დიდი ნაწილი მიეტაცნა და ამასთანავე არ დაეშვათ, რომ თვით პალესტინელ არაბებს რაიმე დამოუკიდებელი როლი ეთამაშათ საკუთარი ბედის გადაწყვეტაში.

თუ გავითვალისწინებთ დიდი ბრიტანეთის აქტიური ჩარევის ფაქტორსაც, (...) უკიდურესად მტრულად განწყობილს ისრაელის სახელმწიფოს შექმნისადმი და მნიშვნელოვანი გავლენის მქონეს მთელი რიგი არაბული ქვეყნების პოლიტიკაზე (...), მაშინ ცხადი ხდება, რომ ტერმინები “ისრაელ-არაბული ომი” და “ისრაელ-არაბული კონფლიქტი” ვერ ასახავენ მოვლენათა სრულ არსს” [უსოვა იქვე].

მომდევნო პერიოდში, ანუ 1940-იანი წლების შემდეგ, როდესაც საერთაშორისო ურთიერთობები ბიპოლარული სისტემის “რბილ” სახეობად ჩამოყალიბდა და გაფორმდა, ჩვენთვის საინტერესო ტერმინები მით უმეტეს ვეღარ გამოხატავდა, მომხდარისა და მიმდინარე მოვლენათა არსს, რადგან თვით ახლო აღმოსავლეთი, ახალ რეგიონულ ქვესისტემად ჩამოყალიბების “დუღილის” პროცესში ერწყმოდა საერთაშორისო პოლიტიკის ხან ისედაც გამწვავებულ ვითარებებს (მაგ., სუეცის კრიზისი 1956 წ.), ხანაც თვითონ განიცდიდა ხანმოკლე დეტანტის კეთილისმყოფელ გავლენას, ან სულაც თვითონ ქმნიდა რაღაც “ლოკალური დეტანტის” მსგავსს (მაგ., კემპ-დევიდის მოლაპარაკებები 1978-1979), თუნდაც “სეპარატისტულს” – ამ პროცესში არ მონაწილე არაბული, საერთოდ მუსლიმური სამყაროს და, რა თქმა უნდა, კრემლის თვალსაზრისითაც.

მაგრამ თუ საკუთრივ არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის კონფრონტაციის მიკროგანზომილებებზე ვიმსჯელებთ, მაშინ მართებულად მიგვაჩნია და ვიზიარებთ მის დაყოფას “ოთხ ძირითად კომპონენტად: 1) ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი – იგი თავისი არსით ეთნოტერიტორიულია და საფუძვლად უდევს ორი ხალხის მეტოქეობა (...) ერთსა და იმავე ტერიტორიაზე თავისი სუვერენიტეტის დასამკვიდრებლად. 2) კონფლიქტები ისრაელსა და მეზობელ არაბულ სახელმწიფოებს შორის (ეგვიპტე, იორდანია, სირია და ლიბანი) – ესაა სასაზღვრო-ტერიტორიული კონფლიქტები (ამჟამად ნაწილობრივ დარეგულირებული). მათი წარმომშობი მიზეზი იყო და ნაწილობრივ რჩება სასაზღვრო უსაფრთხოების საკითხები და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიებსა თუ საყრდენ პუნქტებზე კონტროლი, აგრეთვე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რესურსების (მაგ., წყლის) გამოყენება; 3) კონფლიქტები ისრაელსა და რეგიონის იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ

განსაკუთრებულ როლზე საერთაშორისო ურთიერთობების რეგიონულ სისტემაში და/ან ლიდერობაზე არაბულ და მუსლიმურ სამყაროში [...] ეს კონფლიქტები ძალისმიერ კატეგორიებს მიეკუთვნება, რადგან მათ საფუძვლად უდევს მეტოქეობა ძალის რეგიონული ცენტრის სტატუსისათვის, ხოლო არაბულ და მუსლიმურ სამყაროში ისრაელის წინააღმდეგ მებრძოლთა მოწინავე რიგებში ჩადგომა, ტრადიციულად შედის იმ ძირითად საშუალებათა ნაკრებში, რომლებიც აუცილებელია რეგიონში წონისა და გავლენის უზრუნველსაყოფად; 4) კონფლიქტი ისრაელსა და დანარჩენ არაბულ (უფრო ფართო პლანში კი მუსლიმურ) სახელმწიფოებთან. ამ კონფლიქტებს საფუძვლად არ უდევს მხარეთა რაიმე რეალური, ნიშნადი სასიცოცხლო ეროვნული ინტერესების შეჯახება (...) – ამიტომ ისინი წმინდა იდეოლოგიურ, ზოგჯერ კი უბრალოდ დეკლარაციულ კონფლიქტთა ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ.

უნდა ითქვას ისიც, რომ არაბული ლიგის წევრთა შორის არიან ისეთი სახელმწიფოებიც, რომლებიც ეთნოკულტურული, ისტორიული და ლინგვისტური თვალსაზრისითაც კი მხოლოდ პირობითად შეიძლება მივაკუთვნოთ არაბულ სამყაროს (მავრიტანია, ჯიბუტი, სომალი და კომორის კუნძულები). სრულიად აშკარაა, რომ საერთაშორისო ანტიისრაელურ ფრონტში მათი მონაწილეობა განპირობებულია, პირველ რიგში, ნავთობის ექსპორტიორი მდიდარ არაბული ქვეყნების მხრიდან ფინანსური დახმარების ინტერესით და მოკლებულია რაიმე ისტორიულ, ტერიტორიულ, ეთნოკულტურულ და სხვა საფუძვლებს” [უსოვა 2002: 258-259].

ამ ვრცელი ამონარიდის დასასრულს ნახსენები ნავთობის ფაქტორი, ცხადია ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ კონფლიქტის შემადგენელ მეოთხე კომპონენტად მოხსენებულ ქვეყნებზე, არამედ მთელ მსოფლიოზე; პირველ რიგში კი, მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკასა და შესაბამისად საგარეო პოლიტიკაზე.

ჩვენი მსჯელობის ამ პუნქტიდან ალბათ სავსებით მართებული და ლოგიკურია კონფლიქტის მაკროგანზომილებებზე, საერთაშორისო მასშტაბზე გავიდეთ, მაგრამ მანამდე, პრობლემის სრული სურათის თუ არა, მისი ძირითადი კონტურების შესავსებად კიდევ ერთი არსებითი, არცთუ დიდი ხნის წინ გამოვლენილი შტრიხის შესახებ, “ისრაელ-არაბული ურთიერთობების უაღრესად მნიშვნელოვან ელემენტს მთელი ისტორიის მანძილზე წარმოადგენდა მხარეებს შორის საიდუმლო კონტაქტები. თვით ფაქტი მათი არსებობისა, აგრეთვე, რომ აბათილებს ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას ისრაელ-არაბული კონფრონტაციის “აბსოლუტურ” ბუნებაზე. ასე მაგალითად, 1950 წელს იორდანისა და ისრაელს შორის ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა სამშვიდობო ხელშეკრულების მომზადების თაობაზე. მისი ხელმოწერა ჩაიშალა ინფორმაციის გაჟონვისა და იორდანის მისამართით არაბული ლიგის ქვეყნების მუქარის შედეგად. არსებობს ცნობები, რომ ჯერ კიდევ 1950-იან წლებში “თავისუფალ ოფიცერთა” გადატრიალებამდე და მის შემდეგაც, ეგვიპტე არაერთგზის ანიშნებდა ისრაელს თავისი მზადყოფნის შესახებ, მიეღწიათ რეგულირების ამა თუ იმ ფორმისთვის, ხოლო გაერო-ში აკრედიტებული ისრაელელი და ეგვიპტელი დიპლომატები არაერთგზის (თუმცა კი, კულისებში) ხვდებოდნენ ერთმანეთს (...)

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენელთა დიპლომატიური ძალისხმევა, მიმართული რეგულირების მისაღწევად მოლაპარაკებებისთვის მზადყოფ

ისრაელის პოლიტიკურ წრეებთან კონტაქტების დასამყარებლად, ჯერ კიდევ 1973 წლის ბოლოს დაიწყო (...).

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯერ ერთი, ნიადაგი სამშვიდობო პროცესისათვის – როგორც 1970-იანი წლების “კემპ დევიდის” პერიოდის, ასევე მადრიდის სამშვიდობო კონფერენციის დაწყებისა და ოსლოში დადებული შეთანხმებისთვის – ადრევე მზადდებოდა და მეორეც, რომ ისრაელ-არაბული კონფლიქტის მთელი ისტორია არის ამბავი ხელიდან გაშვებული შესაძლებლობებისა მიედწიათ მშვიდობისათვის, რომელსაც ასე თუ ისე ესწრაფოდნენ კონფლიქტში ჩართული მხარეები, მაგრამ (...) ხშირად თავისი რეალური მოქმედებებით ხელს უწყობდნენ კონფლიქტის შემდგომ ესკალაციას და დიალოგის გართულებას” [იქვე: 261-263].

მადრიდისა და ოსლოს მოვლენებს, რა თქმა უნდა, ჰქონდა თავისი “პრეისტორია”, ასე ვთქვათ “საინკუბაციო” ფაზა, ასევე, ცხადია, რომ “ოსლო” და “ვაშინგტონი” ვერ შედგებოდა, თუ არა მსოფლიო პოლიტიკაში მომხდარი ის ძირეული გარდატეხა, რასაც ცივი ომის დასრულება და ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაცია მოჰყვა. ამ ფაქტის ასახვა და გავლენა ისრაელ-არაბულ // ისრაელ-პალესტინის კონფლიქტზე, კიდევ ერთხელ ცხადყოფს მის ჩართულობას, განუყოფლობას, საერთაშორისო არენაზე არსებულ ძალთა ბალანსსა და გავლენის სფეროების კონფიგურაციაზე დამოკიდებულ მდგომარეობას. საქმე ისაა, რომ სიონიზმის ლიდერებმა, თავიანთი მოღვაწეობის დასაწყისშივე მოახდინეს პალესტინაში “ებრაული ეროვნული კერის” (ჩათვალე ებრაული სახელმწიფოს – ნ.ხ.) შექმნის იდეისა და პრაქტიკული ძალისხმევის “იმპლანტირება” დიდი პოლიტიკის ქსოვილსა და ქსელებში. ამიტომ, არაა გასაკვირი, რომ ერთობ დრამატული, ხშირად კი ტრაგიკული მოვლენების შემდეგ და შედეგად (დიდი პოლიტიკა ყოველთვის დიდი რისკია), მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან (1945) ძალიან მალე (1948) “ისრაელის სახელმწიფოზე მსოფლიო დიპლომატიის ტენდენციების არსებითი გავლენა გამოიხატა უკვე იმით, რომ თვით გადაწყვეტილება სახელმწიფოს შექმნის შესახებ, მიღებულ იქნა არა ორმხრივი, ან მრავალმხრივი მოლაპარაკებებისას პალესტინის მოსახლეობის მონაწილეობით, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ყველაზე წარმომადგენლობითის, გაერო-ს გენერალური ასამბლეის სხდომაზე. ომებიც კი, ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის დიდწილად „გარედან სცენარის” მიხედვით ხდება. აშშ-ს სიფრთხილე, ისრაელისადმი მისი დახმარების შემთხვევაში არ გამოეწვია საბჭოთა კავშირის შესაძლო ჩარევა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში (როგორც პალესტინაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ), ისრაელი, დამოუკიდებლობისთვის ომისას, ფაქტობრივად, ეფექტიანი ამერიკული დახმარების გარეშე დატოვა. რამაც საგრძნობლად გააჭიანურა ომი და ისრაელის მხარეს დიდი დანაკარგები განაცდევინა;³ ინგლისისა და საფრანგეთის მონაწილეობის გარეშე ისრაელი 1956 წელს ნამდვილად არ დაიწყებდა სამხედრო ოპერაციას ეგვიპტის წინააღმდეგ; ისრაელ-ეგვიპტის ომი დაუძლურებაზე დასრულდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1970 წლის 30 ივლისს სუეცის არხიდან დასავლეთით ოცდაათ კილომეტრში ისრაელის ავიაგამანადგურებლებმა საბჭოთა

³აშშ-ის სიფრთხილისა და საბჭოური ფაქტორის გათვალისწინებით ისრაელის ეფექტიანი ამერიკული დახმარების გარეშე დატოვების შესახებ ციტირებული ავტორის უსაფუძვლო განცხადების ჩვენი დოკუმენტურად დასაბუთებული კრიტიკა იხ. წელიწდეულში *ქართული დიპლომატია*, 15, 2011: 378-419.

მფრინავების მიერ პილოტირებული ოთხი თვითმფრინავი ჩამოაგდეს. საბჭოთა კავშირის სამხედრო ინტერვენციის საშუალებების გათვალისწინებით გოლდა მეირის მთავრობამ თანხმობა გამოაცხადა ცეცხლის შეწყვეტასა და გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე რეზოლუციის ყველა პუნქტის შესრულებაზე; ძნელი სათქმელია როგორი ძალთა ბალანსი ჩამოყალიბდებოდა 1973 წელს გაჩაღებული განკითხვის დღის ომისას ახლო აღმოსავლეთში, კრახი რომ განეცადა ამერიკელ შუამავალთა მცდელობებს მიედწიათ ცეცხლის შეწყვეტისათვის; აშშ-ს მეთაურობით 1991 წლის იანვარში ერაყის წინააღმდეგ ოპერაციის დაწყებამდე ისრაელის ტერიტორია „სკადის“ ტიპის რაკეტებით არ იბომბებოდა, მაგრამ დაწყების შემდეგ მის ტერიტორიაზე ორმოცზე მეტი ასეთი რაკეტა დაეცა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ისრაელ-არაბული კონფლიქტის განვითარების ტენდენციები, ისევე, როგორც მხარეებს შორის ყველა მოლაპარაკებისა, პირდაპირაა დამოკიდებული მსოფლიოში ძალთა საერთო განლაგებაზე, რაც ახლო აღმოსავლეთს მსოფლიო პოლიტიკის მართლაც ყველაზე არასტაბილურ არენად ხდის, (კურსივი ჩვენი – ნ. ხ.) თუმცა კი, მთლიანობაში უზრუნველყოფს კონფლიქტში ჩართულ მხარეთა ურთიერთობების ჯერ კიდევ 1940-იან წლებში ჩამოყალიბებულ სისტემას” [ეპშტეინი 2003: 10].

ციტატის ბოლოს გამოთქმულ მოსაზრებას, მისი ერთგვარი სტატიკურობის გამო, დღეს-დღეობით მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება დავეთანხმეთ. “მსოფლიოში ძალთა საერთო განლაგების” გავლენა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებზე – უდავოა, ამასთანავე უეჭველია ისიც, რომ საერთაშორისო სისტემა ღრმა ტრანსფორმაციისა და გეოპოლიტიკური რეკომპოზიციის (ჩათვალე განახლებული კონკურენციის) თითქმის არაპროგნოზირებადი, რთული დინამიკის პერიოდში იმყოფება, რომლის “ხანგრძლივობის განსაზღვრა მეტად რთულია. კითხვაც კი ისმის, რომ ისეთი კონსტრუქციები, როგორიცაა იგივე ახლო ან შუა აღმოსავლეთი, კავკასია, ცენტრალური აზია დღეს არსებული რეალობის შესაბამისია თუ ისინი უკვე ნაკლებად გამოსადეგია? ზოგი მკვლევარი კვლავაც ხმარობს ამ ტერმინებს, სხვები კი ახალი რეალობის გამოსახატავად სხვა დეფინიციებს ეძებენ.

ავლანეთში საომარი ოპერაციის დაწყებისას აშშ-მა შეიმუშავა “ახალი წესრიგის” კონცეფცია, რასაც “დიდი შუა აღმოსავლეთის ინიციატივა” ეწოდა” [...] პრაქტიკულად ეს არის “გრანდიოზული გეოპოლიტიკური პროექტი” [სანიკიძე, 2009: 200].

ცხადია, ეს “კონფლიქტში ჩართულ მხარეთა ურთიერთობების 40-იან წლებში ჩამოყალიბებულ სისტემაზე” აისახება, როგორც დადებით, ასევე უარყოფით პლანში.

ბუნებრივია დაისმის კითხვა რას გვიჩვენებს ამჟამინდელი, XXI საუკუნის პირველი ათწლეულის დასასრულის ვითარება, მიმდინარე მომენტი, უკვე არა თუ ბიპოლარულ, არამედ მის მომდევნო უნიპოლარულ საერთაშორისო სისტემასთანაც გამოსამშვიდობებლად განწყობილი და გამზადებული პოლიტიკური სამყარო?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ორიგინალური ვერ ვიქნებით და ჩვენი მსჯელობაც არ არის “ამერიკის აღმოჩენა”, არამედ გარკვეულწილად გაზიარება (მცირედი კორექტივით და დაზუსტებით) არსებული რეალობის იმ ობიექტურად ასახვისა, რომელსაც რიგ თეორეტიკოსთა და ანალიტიკოსთა ნაშრომებში ვხვდებით. კერძოდ – ისტორია მოწმობს, რომ საერთაშორისო სისტემისა და მისთვის დამახასიათებელი წესრიგის ერთი რომელიმე ტიპის რღვევა და მისი შეცვლა სხვა სახის წესრიგით ომების შედეგად ხდება. XX ს-ის 80-იანი

წლების დასასრულისა და 90-იან წლებში მიმდინარე გეოპოლიტიკურ ტრანზიციის თავისებურება მისი შედარებით მშვიდობიანი ხასიათი იყო. იგულისხმება ის, რომ “ცივი ომის” პერიოდის ბიპოლარულ სისტემაში დაპირისპირებულ მხარეებმა ცხელი (დიდი ალბათობით ბირთვული) ომი არ გააჩაღეს. თუმცა, არც მანამდე არსებული რეგიონული კონფლიქტების სიმწვავე არ მოხსნილა დღის წესრიგიდან და ვერც ახალი სისხლისღვრების პრევენცია ვერ მოხერხდა. საერთაშორისო ურთიერთობების კონვულსიურმა ტრანსფორმაციამ, ზოგად ასპექტში დიდი მსგავსება გამოამჟღავნა წარსული მსოფლიო ომების შედეგებთან. პირველ რიგში ეს ეხება ფართომასშტაბურ გეოპოლიტიკურ ძვრებს (რომელსაც წაგებული მხარე “გეოპოლიტიკურ კატასტროფას” უწოდებს და შეუნიღბავად ემზადება რევანშისთვის – ნ.ხ.). მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ამოხეთქილი პოლიტიკურ ექსტერიზმს, რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე წამოჭრილ შეუწყნარებლობას, შეიარაღებულ კონფლიქტებს სულ უფრო მეტი გასაქანი ეძლევა; მატულობს სოციალური დაძაბულობა და იზრდება მიგრაციული ნაკადები.

ვერც იმ ფაქტს გავეცევით, რომ სახეზეა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, პროცესების მონოპოლურ კონტროლზე აშშ-ის, როგორც ზესახელმწიფოს გავლენის აშკარა შესუსტება. მიუხედავად მისი უდავო ეკონომიკური, სამხედრო, ტექნოლოგიური, საინფორმაციო, კულტურული ძლიერებისა, თუ დემოკრატიული იმიჯისა, საერთაშორისო არენაზე ამერიკის ერთპიროვნული ლიდერობა მაინც ხანმოკლე გამოდგა [ციგანკოვი 2007: 491,492; კრუპიანკო და არეშიძე 2010: 5]. მისი უზარმაზარი რესურსებიც კი არასაკმარისი აღმოჩნდა სხვადასხვა სახის იმ ურთულესი საკითხების გადასაწყვეტად, კაცობრიობას წინაშე მთელი სიმწვავეით, რომ წამოჭრილა და რომელთა გადაჭრის გზები პირველ რიგში საერთაშორისო პოლიტიკაზე გადის. ამ უკანასკნელმა კი ჯიუტად თქვა უარი კალიფორნიული ან ტეხასური რანჩოს ფარგლებში მოქცევაზე...

ეს ზოგადად, ხოლო რაც შეეხება უშუალოდ ახლო აღმოსავლეთს. დიახ, “ისტორიისა დასასრულსა” და ახალი, უკონფლიქტო ერის მაუწყებელ “სანტა კლაუსთან” ილუზიები მსოფლიო პოლიტიკის მკაცრ რეალობასთან შეჯახებისას დაიმსხვრა. ეს რეალობა უკვე მერამდენედ დაბეჯითებით ადასტურებს, რომ თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მდგარი ძირითადი პრობლემების უმრავლესობა თავისი არსით ისეთივე ძველია, როგორც თვით პოლიტიკური სამყარო. “ზოგიერთი ანალიტიკოსი XXI ს-ს უკვე უწოდებს ახალ “ასწლიან ომს” – ქაოსის, არეულობისა და ძალადობის პირქუშ პერიოდს პლანეტის ბევრ ნაწილში. შესაძლოა ეს პესიმისტები ამუქებენ ფერებს, მაგრამ მათი შეხედულებები შხამსაწინააღმდეგო, გამოსაფხიზლებელი საშუალებაა, რომელიც გუშინდელი ბრმა ოპტიმიზმისგან განკურნებაში გვებმარება”. [კუგლერი 2006: 640] – საკვებით სამართლიანად შენიშნავს კიდევ ერთი პოლიტოლოგი ატლანტიკის გაღმა სანაპიროდან.

ძველი, მოუგვარებელი კონფლიქტი თუ ახალი, დაუსრულებელი ომების რეალური საფრთხე (მათ შორის სამოქალაქოსიც)⁴ ახლო აღმოსავლეთში და ანტიტერორისტული

⁴ წინამდებარე სტატია თითქმის დასრულებული იყო როდესაც “გაფართოებულ” ახლო/შუა აღმოსავლეთში დაიწყო და განვითარდა “არაბულ გაზაფხულად” მონათლული მოვლენები. ეს საკითხი ცალკე მსჯელობასა და სერიოზულ კვლევას მოითხოვს. ამჯერად მასზე ვერ შევჩერდებით, თუმცა, პირველი მიახლოებით და

სამხედრო კამპანია ავღანეთში ზემოთქმულის ერთ-ერთი, მაგრამ ალბათ ყველაზე მკაფიო ილუსტრაციაა.

... და თუნდაც 2008 წლის აგვისტოში რუსეთის შეიარაღებული ინტერვენცია საქართველოში, რომელიც ევრაზიური გეოპოლიტიკის თვალსაზრისით სტრატეგიული სილის გაწვნა იყო ატლანტიზმისთვის (სამწუხაროდ ეს ჩვენ ტერიტორიაზე მოხდა). განა ყოველივე ეს ძველი მეტოქეობის (თუ არა მტრობის) ახალი ფორმები არ არის?!

რაც შეეხება ზემოთ მოხმობილი ავტორის, რიჩარდ კუგლერის (Richard Kugler) მომდევნო მსჯელობის იმ ნაწილს, რომელიც ჩვენი წერილის თემას ეხმიანება, კიდევ ერთხელ სიამოვნებით მივმართავთ ამერიკის ნაციონალური უსაფრთხოების საკითხების ექსპერტის ციტირებას. კერძოდ, მისი აზრით თანამედროვე საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი საგანგაშო ვითარების “ერთ-ერთი მიზეზია – ახალი გეოპოლიტიკა: ნაციონალურ სახელმწიფოებსა და პოლიტიკურ იდეოლოგიებს შორის მეტოქეობის ახალი ფორმები, რომელთა ადეპტებად ტრანსნაციონალური, მაგალითად, ტერორისტული ჯგუფები გვევლინებიან. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი გლობალიზაციაა [...]. საქონლის, ფინანსებისა და ტექნოლოგიების აჩქარებული ტრანსსახელმწიფოებრივი ნაკადები, ასევე კავშირგაბმულობის სისტემების განვითარება აახლოვებს ოდესღაც ერთმანეთთან დაშორებულ რეგიონებს და ურთიერთდამოკიდებული კავშირების კრიზისულ ხლართს ქმნიან. ადრე გლობალიზაცია მხოლოდ და მხოლოდ დადებით მოვლენად განიხილებოდა, თუმცა, სულ ახლახან იგი მრავალთავიან ჰიდრად წარმოგვიდგა [...] იგი მხოლოდ გამარჯვებულებს კი არ ამრავლებს არამედ – წაგებულებსაც, ბევრ საზოგადოებას, ქვეყანას და რეგიონს აიძულებს ბრძოლას გადარჩენისთვის და საგონებელში აგდებს იმის გამო, თუ როგორ უნდა რეაგირებდნენ მათ გარშემო მომხდარ სწრაფ ცვლილებებზე.

შემფოთების და გაურკვევლობის ამ ატმოსფეროში გლობალიზაცია ბოროტ ანტიდასავლურ იდეოლოგიებსა და ერთობ გაღიზიანებულ სუბიექტებს წარმოშობს, მათ შორის მასობრივი განადგურების იარაღის ხელში ჩაგდებაზე მეოცნებე ქვეყნებს. [...] გლობალიზაცია არ არის უშუალო მიზეზი ავღანეთის ომის და ახლო აღმოსავლეთის კრიზისისა, რომელიც სხვა, უფრო სიღრმისეული პრობლემებითაა გამოწვეული. თუმცა, როგორც ჩანს, გლობალიზაციამ თავისი ირიბი წვლილი შეიტანა დღევანდელი პრობლემების წარმოშობისა და მომავლისადმი მზარდ შემფოთებაში [...].

XXI ს-ის დასაწყისის უმნიშვნელოვანესი საკითხია მოახერხებს თუ არა დემოკრატიული თანამეგობრობა მის საზღვრებს მიღმა, მშფოთვარე, რეგიონების უზარმაზარ ტერიტორიებზე მზარდი ქაოსის შეჩერებას – პირველ რიგში ახლო აღმოსავლეთიდან აზიურ ლიტორალამდე გადაჭიმული სამხრეთის სტრატეგიული რკალის გასწვრივ [...] სამომავლო სტრატეგიული ამოცანების მართებული ინტერპრეტაცია მხოლოდ სწრაფად გლობალიზებადი მსოფლიო რეალიების კონსტექსტში უნდა მოხდეს, სამყაროსი რომელშიც უამრავი ახალი შესაძლებლობა და პრობლემა ჩნდება” (კუგლერი 2006: 639-642).

შეუიარაღებელი თვალთაც ჩანს, რომ ეს მღელვარე “გაზაფხული” დიდწილად ადასტურებს ჩვენ წერილში გამოთქმულ რიგ მოსაზრებებს.

მნელია არ დაეთანხმო ამჟამად მსოფლიოში ზოგადად და კერძოდ ახლო აღმოსავლეთში არსებული ვითარების ასეთ შეფასებას და შემაშფოთებელ, უფრო ზუსტად კი გამოსაფხიზლებელ (ვისთვისაც ეს პირველ რიგშია აუცილებელი) გაფრთხილებას.

გარდა ამისა ცხადი ხდება, რომ გლობალიზაციის რთული, ჩახლართული ბუნება ჯერაც გადაულახავ წინაღობებს ქმნის მისი თეორიული გააზრებისა და სათანადო დეფინიციისათვის. რაც შეეხება გლობალიზაციის პრაქტიკულ გამოვლინებას, აქ როგორც ვხედავთ, მის მიმართ სკეპსისი (თუ არა აშკარად ნეგატიური დამოკიდებულება) თანდათან უფრო შესამჩნევი ხდება.

ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ ისტორიის მსვლელობა, და მის კვალობაზე საერთაშორისო ურთიერთობები რეალობაში ყოველთვის გაცილებით რთული, ღრმაშრებიანი და მრავალწახნაგა პროცესია, ვიდრე იგი ნებისმიერმა თეორიამ ან თუნდაც ყველა თეორიამ ერთად აღებულმა შეიძლება ასახოს და ახსნას. თუმცა ეს, ცხადია არ ნიშნავს ანალიზსა და განსჯაზე უარის თქმას. რის მკაფიო და ყურადღასღებ მაგალითებსაც იძლევიან აქ ციტირებული ავტორები. რაც შეეხება ჩვენი წერილის დასაწყისში გაცხადებულ მიზანდასახულობას, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტერმინის “ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის” ნაცვლად, რეგიონში მიმდინარე მოვლენების გამომახილის მასშტაბისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე – რომელიც გასცდა კლასიკური გეოგრაფიული განსაზღვრების ჩარჩოებს, მოიცვა მაშრიყი და მალრიბი “სამხრეთის სტრატეგიული რკალის გასწვრივ” – რაც აუცილებლად აისახება მთელ საერთაშორისო სისტემაზეც და დიდწილად განაპირობებს XXI ს-ის მსოფლიო პოლიტიკის კონტურებს, ვფიქრობთ, გამოთქმა “დიდი აღმოსავლური ომი” ან “ომი ახლო აღმოსავლეთისათვის” გაცილებით სრულად გამოხატავს ყოველივე ამის არსს და შესაძლოა შედეგებსაც. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ანუ რეზულტატს, ამჟამად, ისღა დაგვრჩენია იმედი გამოვთქვათ, რომ მიუხედავად რადიკალური ისლამური ფანატიზმისა; დასავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ეგოცენტრიზმის და არც თუ იშვიათად მცდარად გათვლილი სტრატეგიისა; რუსეთის ამოუძირკვავი გეოპოლიტიკური ამბიციების და რეციდივისტული რევანშისტული ზრახვებისა; ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების ხელიდან გაშვებული არა ერთი შანსისა, ერთი სიტყვით პროცესებში აშკარად პირდაპირ, ირიბად თუ ფარულად ჩართულ აქტორთა მთელი რიგი პოლიტიკური უგუნურებისა, საქართველოდან ესოდენ ახლოს მიმდინარე⁵ “დიდი აღმოსავლური ომი” მთელი კაცობრიობისთვის საბედისწერო აპოკალიფსში არ გადაიზრდება.

ლიტერატურა

1. ბჟეზინსკი 2004: Бжезинский Зб. *Выбор: Мировое господство или глобальное лидерство*, М., 2004 (Zbigniew Brzezinski. *The Choice: Global Domination or Global Leadership*, New York, 2004).
1. ბჟეზინსკი 2007: Бжезинский Зб. *Еще один шанс. Три президента и кризис американской сверхдержавы*, М., 2007 (Zbigniew Brzezinski, *Second Chance. Three Presidents and the Crisis of American Superpower*, New York, 2007).

⁵ არა თუ ზედმეტი, არამედ აუცილებელია აღინიშნოს, რომ გვინდა ეს ჩვენ თუ არა, მოგვწონს თუ არა, საქართველო ამ ომში გარკვეული სახით ჩართულია...

2. დავითაშვილი 2003: დავითაშვილი ზ., *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია*, თბ., 2003.
3. ეპშტეინი 2003: Эпштейн Алек Д., *Войны и дипломатия. Арабо-израильский конфликт в XX веке*, Киев, 2003.
4. კისინჯერი 2002: Киссинджер Г., *Нужна ли Америке внешняя политика? К дипломатии для XXI Века*, М., 2002 (Henry Kissinger, *Does America need a Foreign Policy? Toward a Diplomacy for the 21st Century*, New York... 2001).
5. კრუპიანკო 2010: Крупянко М. И., Арешидзе Л. Г., *США и Восточная Азия. Борьба за «новый порядок»*, М., 2010.
6. კუგლერი 2006: Куглер Р., Национальная безопасность в условиях глобализации хаотического мира: действие США и Европы // *Геополитика: Антология*, М., 2006.
7. სანიკიძე 2001: სანიკიძე გ. კილურაძე ნ., *თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები: მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია*, თბ., 2001.
8. შოლტე 2004: Шолте И., *მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია // საერთაშორისო ურთიერთობების თეორია*, ქრესტომათია, სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი, 2004.
9. ციგანკოვი 2007: Цыганков П. А., *Теория международных отношений*, М., 2007.

ირანის ისლამური რესპუბლიკის სავიზო პრობლემები
(საქართველო, ინდონეზია, ომანი, ეგვიპტე, მალაიზია)

2013 წლის 1 ივლისიდან საქართველომ ცალმხრივად გააუქმა ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან 2010 წლის 3 ნოემბერს გაფორმებული და 2011 წლის 26 იანვრიდან ამოქმედებული ხელშეკრულება ორდინარული პასპორტების მქონე მოქალაქეებისათვის უვიზო (45-დღიანი) მიმოსვლის შესახებ. როგორც ცნობილია, ეს ხელშეკრულება დაიდო ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მაჰუჩეჰრ მოთაჟის საქართველოში ვიზიტის დროს. საქართველოს მხრიდან მას ხელი მოაწერა მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ.

ირანთან სავიზო რეჟიმის გამარტივებას მცირე მოჰყვა ექსპერტებისა და პოლიტოლოგების ერთი ნაწილის კრიტიკული შეფასებები, ძირითადად, ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით. მაშინდელი ხელისუფლება ამ ნაბიჯს ქვეყანაში ირანელი ტურისტებისა და ინვესტორების მოზიდვის პერსპექტივით ხსნიდა, რაც გამართლდა კიდევ 2011-2012 წლებში. ირანთან 45-დღიანი ორმხრივი უვიზო რეჟიმის დაწყება ბუნებრივად ჩაჯდა ხელისუფლების რბილ სავიზო პოლიტიკაში, რომლის შედეგადაც საქართველომ 100-ზე მეტი სახელმწიფოს (იხ. საკონსულო ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე) მოქალაქეებს ცალმხრივად უვიზოდ შემოსვლისა და 1 წლამდე ქვეყანაში დარჩენის უფლება მიანიჭა. ის ექსპერტები კი, რომლებიც მთავრობისადმი ლოიალობით ნამდვილად არ გამოირჩეოდნენ, მხარს უჭერდნენ ამ გადაწყვეტილებას, როგორც რეგიონის ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყანასთან ურთიერთობების განვითარების კარგ საშუალებას. ასევე არაერთაზროვანი შეფასებები მიეცა ამ ხელშეკრულებიდან საქართველოს ცალმხრივად გამოსვლას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ორდინარული პასპორტების მქონე მოქალაქეებისათვის ვიზების გაუქმების მიმართულებით პირველი ნაბიჯი ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობამ გადადგა. 2010 წლის 7 მარტს ირანულმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ირანის პირველი ვიცე-პრეზიდენტის მოჰამადრეზა რაჰიმის განცხადება ამ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც არანაირად არ ავალდებულებდა ქართულ მხარეს ანალოგიური ნაბიჯის გადადგმას; თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ მცირეხანაურ დააფიქსირა თავისი დადებითი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, რაც საბოლოოდ დაგვირგვინდა სათანადო ხელშეკრულების გაფორმებით.

ასევე აღსანიშნავია, რომ რეგიონის ქვეყნებთან ორმხრივი უვიზო მიმოსვლა ირანს გააჩნია მხოლოდ ნატო-ს წევრ მეზობელ თურქეთთან, ხოლო აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან ეს რეჟიმი მოქმედებს ცალმხრივად – მხოლოდ აზერბაიჯანის მოქალაქეები შედიან უვიზოდ ირანის ისლამური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ანუ აზერბაიჯანის რესპუბლიკამ არ გადადგა შემხვედრი ნაბიჯი და არ დაუწესა უვიზო რეჟიმი ირანის მოქალაქეებს.

ირანთან უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ, მხოლოდ ერთხელ, ისიც თეირანში მიუმხრობლობის მოძრაობის წევრი ქვეყნების მეთაურთა მე-16 სამიტის ჩატარებისა და უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიღების აუცილებლობიდან გამომდინარე, 2012 წლის

5 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით, ირანმა დროებით შეაჩერა ამ ხელშეკრულების მოქმედება, როგორც საქართველოსათვის, ისე თურქეთისა და აზერბაიჯანისათვის.

ირანთან სავიზო შეთანხმებიდან ცალმხრივად გამოსვლამდე რამდენიმე ხნით ადრე, 2013 წლის 11 ივნისს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა: „არ არის გამორიცხული, რომ მოხდეს ცვლილებების შეტანა ლიბერალურ სავიზო რეჟიმში. საქართველოს 114 ქვეყანასთან ცალმხრივად გაუქმებული აქვს სავიზო რეჟიმი, რაც საშუალებას აძლევს მსოფლიოს 114 ქვეყნის მოქალაქეს, ყოველგვარი ვიზის გარეშე ჩამოვიდეს საქართველოში და დაჰყონ 360 დღე. ამ ქვეყნებიდან ძალიან ცოტამ უპასუხა საქართველოს იგივეთი. უმეტესი ქვეყნებიდან რეაქციაც არ გვაქვს, რომ მათ ცნობად მიიღეს ჩვენ მიერ გაუქმებული სავიზო რეჟიმი. არც ერთი თავმოყვარე ქვეყანა ამას არ უნდა აკეთებდეს. ამ თემის განხილვა უნდა მოხდეს იმ კონტექსტში, რომელსაც ეწოდება მიგრაციის კომისიის შენარჩუნება. ამ მუშაობის ფარგლებში არ არის გამორიცხული, მთელ რიგ ქვეყნებთან ეს დამოკიდებულება შეეცვალოს. არიან ქვეყნები, რომლებთანაც არ ფიქსირდება არც ტურისტის მიმოსვლა, არც ეკონომიკური დაინტერესება და არც არაფერი. როდესაც ასეთი ვითარებაა მსოფლიოში, უნდა ვიზრუნოთ საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებაზე“ (www.epn.ge/?p=152788).

უკვე 3 ივლისს მინისტრმა განაცხადა, რომ ირანთან უვიზო მიმოსვლის ცალმხრივად შეჩერების გადაწყვეტილებასთან საგარეო საქმეთა სამინისტროს არანაირი კავშირი არ ჰქონია და ამის მოთავედ იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით მოქმედი მიგრაციის კომისია დაასახელა. მან ასევე აღნიშნა, რომ „ირანის მოქალაქეებს საქართველოში ჩამოსვლის პრობლემები არ შეექმნებათ და მათ შეუძლიათ ვიზები აიღონ როგორც საქართველოს საკონსულოში, ასევე საზღვარზე“ (www.epn.ge/?p=155606).

„რეგიონალური მედიაქსელის“ 11.07.13-ის ინფორმაციით, მ.ფანჯიკიძემ განმარტა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება აშშ-ის დამატებით არ იქნა მიღებული და არანაირ კავშირში არ არსებობს „Wall Street Journal“-ის ა.წ. 20 ივნისის ცნობილ სტატიასთან. მისივე თქმით, საქართველო დაინტერესებულია ირანთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებით და ეს დროებითი მოვლენა (ანუ სავიზო რეჟიმის ცალმხრივად აღდგენა - ნ.ნ.) ხელს არ შეუშლის ამ პროცესს. იგივე პოზიცია მან ნიუ-იორკში გაერო-ს ასამბლეის მუშაობის ფარგლებში თავის ირანელ კოლეგასთან მოჰამად ჯავად ზარიფთან შეხვედრისასაც დააფიქსირა. ირანული საინფორმაციო წყაროების მიხედვით, **„საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიუთითა რა ირანსა და საქართველოს შორის არსებულ ტრადიციულ ურთიერთობებზე, რომლებსაც საუკუნოვანი ფესვები გააჩნია, გამოთქვა საკუთარი ქვეყნის სურვილი, გააღრმავოს და განავითაროს თანამშრომლობა ირანთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ტურისტულ სფეროებში. ქალბატონმა მაია ფანჯიკიძემ ირანელი ბიზნესმენები დაახასიათა, როგორც ძალიან აქტიურები, და გამოთქვა კაპიტალდაბანდებების გაზრდისა და ერთობლივი პროექტების განხორციელების სურვილი“.**

საქართველოს ცალმხრივ გადაწყვეტილებას ირანელი მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის ხელახლა შემოღების თაობაზე ნეგატიური შეფასებები მოჰყვა ირანის ოფიციალურ წრეებში. 3 ივლისს ირანის მეჯლისის ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარემ ალაედდინ ბორუჯერდიმ განაცხადა: **„ჩვეულებრივ, სახელმწიფოები პატივს სცემენ საკუთარ ხელმოწერას და მას ასრულებენ. აქედან გამომდინარე, საგარეო საქმეთა**

სამინისტრომ უნდა შეისწავლოს ეს საკითხი. მეჯლისიც მოითხოვს განმარტებებს, რათა გავერკვეთ საქართველოს ამ ქმედებაში“. მან ასევე აღნიშნა: „იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში ტურიზმის ინდუსტრია ითვლება ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან სფეროდ, ... საქართველომ ირანელთა უვიზო მიმოსვლის შეჩერებით საკუთარ თავს დაუწესა სანქციები“.

უფრო მკაცრი იყო მეჯლისის ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის კომისიის წევრის, დეპუტატ მანსურ ჰაყიყათფური შეფასება, რომელიც 7 ივლისს გავრცელდა ირანულ მედიაში: „საქართველოს მთავრობა თავის დასავლელ და ამერიკელ პატრონებთან ლაქიობით ცდილობს, დაიწეროს გარკვეული ქულები ამგვარი საქმის სანაცვლოდ... ამგვარი ქმედება ირანსა და საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში იშვიათად თუ მომხდარა და თეირანისა და თბილისის ურთიერთობებზე უარყოფით კვალს დატოვებს... საქართველომ ამ ქმედებით აჩვენა, რომ არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს და გადაწყვეტილების მიღებისას ამერიკის ბრძანებებს ემორჩილება... თბილისის ხელისუფლება არც ისეთი ზომა-წონისაა, რომ რაიმე ზიანი მიაყენოს ირანის ეკონომიკას. ირანის ისლამური რესპუბლიკა იოლად გადაიტანს სანქციებს, რასაც აქამდეც აკეთებდა 34 წლის მანძილზე... საქართველომ ამ ნაბიჯით ირანს კი არა, საკუთარ თავს დაუწესა სანქციები და დასავლეთის ნება-სურვილს დაჰყვა“.

9 ივლისს გამართულ ბრიფინგზე ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ აბას არაყიმი, გამოთქვა რა წუხილი საქართველოს მთავრობის ამ ნაბიჯის გამო, აღნიშნა: „ამ ქვეყნის ოფიციალური პირების განმარტებით, ეს ხდება საქართველოს ახალი სავიზო რეგლამენტის ფარგლებში და არ ეხება მხოლოდ ირანს“. მან ასევე დაიმოწმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება ამ გადაწყვეტილების დროებითობის შესახებ და დასძინა: „ჯერჯერობით სასიხარულოა მხოლოდ ის, რომ ჩვენს თანამემამულეებს პრობლემები არ ექმნებათ საქართველოში შესვლისას და ისინი ვიზებს აეროპორტში იღებენ სწრაფად და მარტივად“.

საქართველოს მიერ ირანის მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის აღდგენას გამოეხმაურნენ ირანელი პოლიტოლოგებიც. „ირანისა და ევრაზიის კვლევითი ცენტრის“ საინფორმაციო-ანალიტიკურ საიტზე 8 ივლისს გამოქვეყნდა დოქტორ ჰასან ბეჰეშთიფურის სტატია „საქართველოს გამოსვლა ირანთან უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულებიდან და მისი გავლენა ორი ქვეყნის ურთიერთობებზე“. 3. ბეჰეშთიფური შეფასებისას ნაკლებად ხისტ პოზიციას იკავებს და აღნიშნავს: „სამწუხაროდ, ამერიკის ბრმა და არაფრისმოძიანი პოლიტიკის გამო, საკუთარი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ, საქართველო დაემორჩილა ამერიკის ზეწოლას და ორი ქვეყნის მოქალაქეთა თავისუფალი მიმოსვლისათვის ახალი დაბრკოლებების დაწესებით სერიოზული პრობლემები შექმნა იმ გზაზე, რომელიც უნდა დასრულებულიყო ორი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობის აყვავებით. ვფიქრობ, ირანის მთავრობა კარგად ხვდება იმას, რომ თბილისის ხელისუფლებას ეს საკუთარი ნებით არ გაუკეთებია და თავს შეიკავებს საპასუხო ნაბიჯისაგან, მაგრამ ცხადია ისიც, რომ სახელმწიფოები თავის მეგობრებს მძიმე ვითარებებში გამოსცდიან“. აქ 3. ბეჰეშთიფური იხსენებს ირანის მიერ საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მიწოდებას 2006 წლის ცივ ზამთარში, რამაც გაანაწყენა რუსეთი, მაგრამ ამით, სტატიის ავტორის აზრით, ირანმა აჩვენა საქართველოს, რომ ორმხრივ მეგობრულ ურთიერთობებში ის თანმიმდევრულია და არ ექცევა მესამე მხარის გავლენის ქვეშ. პუბლიკაციის დასასრულს ავტორი მაინც გამოთქვამს იმედს, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა არ გახდება სხვა სახელმწიფოების პოლიტიკური თამაშების მძევალი.

6 ოქტომბერს იგივე საიტი აქვეყნებს ინფორმაციას სათაურით „ირანელი ბიზნესმენები ტოვებენ საქართველოს“. პუბლიკაცია ეფუძნება ირანისა და საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის მაჰმუდ დავარის განცხადებას იმის თაობაზე, რომ 1 ივლისიდან სავიზო და საბანკო რეჟიმის გამკაცრებამ 1700 ირანელი აიძულა, შეეწყვიტა თავისი ბიზნესი საქართველოში. ინფორმაციაში ნათქვამია, რომ წინა ხელისუფლების მიერ ლიბერალური სავიზო რეჟიმის დაწესებას აკრიტიკებდნენ საქართველოს დასავლელი პარტნიორები, რომელთა აზრითაც, თბილისს არ გააჩნია შესაძლებლობა, სათანადოდ აკონტროლოს არასასურველი პირების მიმოსვლა. **დასასრულს, ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განცხადებული „ლიბერალური სავიზო რეჟიმის გადახედვა“ შეეხო მხოლოდ ირანის ისლამურ რესპუბლიკას.**

თბილისის აეროპორტში 15 ოქტომბერს მომხდარმა ფაქტმა აჩვენა, რომ საქართველო–ირანის სავიზო დაპირისპირება კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს:

ირანის ისლამური რესპუბლიკის ავიაკომპანია „ათა“-ს რეისით თბილისში ჩამოსულ 68 ირანელს აეროპორტის სასაზღვრო სამსახურმა არ მისცა ვიზები და უკან გააბრუნა. ამ ქმედებით დაზარალებულმა ერთმა მგზავრმა „ფეისბუქის“ მეშვეობით პირდაპირ მიმართა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრს მოჰამად ჯავად ზარიფს და მოსთხოვა ამ არასასიამოვნო ფაქტის შესწავლა და ირანის მოქალაქეთა ღირსების დაცვა, რის ერთ-ერთ გზად მიიჩნია საქართველოს მოქალაქეებისთვის ირანში შესასვლელად სავიზო რეჟიმის დაწესება. ეს წერილი უცვლელად დაიბეჭდა საქართველოში გამომავალი პირველი სპარსულენოვანი ყოველკვირეული ჟურნალის „არიანა“-ს ფეისბუქის გვერდზე (17.10.2013) და მას ირანში საკმაოდ მძაფრი პოლემიკა მოჰყვა წერილის პათოსის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. წინამდებარე სტატიის დაწერის მომენტისათვის არსებობდა 54 გამოხმაურება სპარსულ ენაზე. აღსანიშნავია, რომ ქართული პოზიციის დაცვა ითავა რამდენიმე ირანელმა (გვარის მიხედვით – ფერეიდნელმა) ქართველმა ანუ ისინი დაუპირისპირდნენ არაქართველ ირანელ თანამემამულეებს. ამ პოლემიკაში მტყუან-მართლის დადგენას აქ არ ვეცდებით, მაგრამ ზოგადად ამგვარი დაპირისპირების გაჩენა და ირანში ანტიქართული განწყობილებების გაღვივების პრეცედენტები შეიძლება ჩაითვალოს ირანთან სავიზო რეჟიმის ხელახლა შემოღების ერთ-ერთ ნეგატიურ შედეგად, რაც, სამწუხაროდ, საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ირანულ-ქართული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მომავალს, არამედ ირანში მცხოვრებ ქართველებთან კულტურული ურთიერთობების განვითარების პერსპექტივებსაც.

ბოლო ხანებში ირანს სავიზო პრობლემები შეექმნა სხვა სახელმწიფოებთანაც. როგორც აღნიშნავს ავტორიტეტული საინფორმაციო-ანალიტიკური საიტი www.irdiplomacy.ir (07.10.13), მაშინ, როდესაც ახლად არჩეული პრეზიდენტი ჰასან რუჰანის 3 ივლისის გამოსვლაში საუბრობდა სამართლიანობისა და საერთაშორისო ურთიერთობების გაუმჯობესების შესახებ, საქართველოს მთავრობამ ცალმხრივად გააუქმა უვიზო რეჟიმი ირანთან, ერთი თვის თავზე კი ომანმა შეაჩერა ირანელთათვის ტურისტული ვიზების გაცემა.

20 აგვისტოდან ინდონეზიამაც შეწყვიტა საკუთარ აეროპორტებში ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის ვიზის მიცემა. ინდონეზიაში ირანის ელჩის მოჰამად ფარაჰანდეს განცხადებით, ეს რეჟიმი 2005 წლიდან დაწესდა ინდონეზიაში ტურისტების მიზიდვის მიზნით, მაგრამ იმის გამო, რომ ბევრი ირანელი ინდონეზიის გზით შემდეგ გადადიოდა

ავსტრალიაში და იქ ითხოვდა თავშესაფარს, ავსტრალიის ხელისუფლებამ თხოვნით მიმართა ინდონეზიურ მხარეს ირანელთათვის ამგვარი შეღავათის გაუქმების თაობაზე. (სააგენტო „ისნა“, 20.07.2013).

irdiplomacy-ის ინფორმაციით, ავსტრალიის ხელისუფლების თხოვნის საფუძველზე ირანის კარგმა სავაჭრო და ტურისტულმა პარტნიორმა მაღაიზიამაც გაართულა სავიზო რეჟიმი ირანელთათვის და ნაცვლად ადრინდელი 90-დღიანი ვიზებისა, ირანელ ტურისტებს მხოლოდ 14-დღიან ვიზებს აძლევს.

irdiplomacy-ის ექსპერტი აზაღდე ეფთეხარი ასევე წერს, რომ აშშ-ის და ირანის პრეზიდენტებს შორის ისტორიული სატელეფონო საუბრიდან 3 დღის შემდეგ ეგვიპტის მთავრობამ გამოაცხადა, რომ აჩერებს როგორც პირდაპირ ავიარეისებს თეირანსა და კაიროს შორის, ასევე ყოველგვარ ტურისტულ ურთიერთობას ირანთან, რომელიც აღდგა მუჰამად მურსის პრეზიდენტობის დროს, 30 წელზე მეტი ხნის შესვენების შემდეგ.

სტატიის დასასრულს ავტორი სვამს რამდენიმე რიტორიკულ კითხვას:

„საკითხავია, როგორ ხდება, რომ მაღაიზიის მსგავსი ქვეყანა, რომელსაც ყოველთვის კარგი ურთიერთობები ჰქონდა ირანთან, „განსჯისა და იმედის“ (ანუ ჰასან რუჰანის - ნ.ნ.) მთავრობის მოსვლის თანადროულად, დგამს ამგვარ ნაბიჯებს, ანდა ამ ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მაჰატირ მოჰამადი აცხადებს, რომ ირანელებმა არ უნდა შეაწუხონ მაღაიზი? როგორ ხდება, რომ ომანის სულთანი ყაბუსი ჩამოდის თეირანში ირანსა და ამერიკას შორის მომრიგებლური მისიის ფარგლებში და მოლაპარაკებებს მართავს ახალ პრეზიდენტთან, იმავდროულად კი ომანის საგარეო საქმეთა სამინისტრო განუსაზღვრელი დროით აჩერებს ტურისტული ვიზების გაცემას ირანის მოქალაქეებზე, ზოგიერთნი კი იმასაც ამტკიცებენ, რომ ომანში ირანელთა მათხოვრობა გახდა მათთვის ვიზების მიუცემლობის საბაზი? ახლა ჩვენი დიპლომატიური გუნდი, რომელიც შინაური და უცხოელი ექსპერტების თვალსაზრისით, არსებულ პირობებში საუკეთესო შესაძლო გუნდია, კონცენტრირებულია ამერიკასთან ურთიერთობასა და ბირთვულ საკითხზე. მიუხედავად ამისა, ტურისტულ სფეროში ურთიერთობების უკუსვლაც უნდა გახდეს ის სერიოზული საზრუნავი, რომელიც მოითხოვს დიპლომატიურ მანევრებს“.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, თუ კვლავ დავუბრუნდებით ირანისა და საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივებს, აუცილებლად უნდა მოვიტანოთ მანანა ნოზაძის სტატია (For.ge, 4 ივლისი), რომლის თანახმადაც, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიორგი ვოლსკი მიიჩნევს, რომ „უვიზო მიმოსვლის ცალმხრივი გაუქმება ირანთან საერთაშორისო დონეზე შექმნილი პოლიტიკური ვითარებითაა გამოწვეული და მოკავშირეებს გარკვეული პოზიცია გააჩნიათ ამასთან დაკავშირებით. მისი თქმით, სასწორზე რომ შემოვდეთ ეს ორი პოზიცია, აუცილებლად გადაწონის ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეების პოლიტიკა. თუმცა ამის მიუხედავად, ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის არ დაიძაბება... სააკაშვილის მთავრობის დროსაც არასასურველი იყო ირანთან ასეთი პოლიტიკის გატარება, რადგან არ შეიძლება, ზედმეტი აიღო საკუთარ თავზე, როდესაც ვითარება ესოდენ დაძაბულია. ამჯერად ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ახალი პრეზიდენტის პოლიტიკასა და პოზიციაზე. კარგია, რომ მოლაპარაკებები განახლდა ექვსეულის ფარგლებში ირანის ბირთვულ პროგრამასთან მიმართებით. არის კარგი ნიშნები და, თუ ეს ნიშნები გაგრძელდება და შეუქცევადი ხასიათი მიეცემა, მაშინ შეიძლება, კიდევ ვიფიქროთ ამ რეჟიმის დაბრუნებაზე“.

აქ ლოგიკურად შეიძლება დაისვას კითხვა: თუკი ირანის ისლამური რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი და მისი დიპლომატიური გუნდი მოახერხებს ურთიერთობების დალაგებას აშშ-სა და დასავლეთთან, გაუხსნენ თუ არა იგი საქართველოს ამჟამინდელ თუ მომავალ ხელისუფლებას ისეთ არამეგობრულ ქმედებებს, როგორიც იყო 2006 წელს კრიზისულ ვითარებაში ირანის მიერ საქართველოსთვის გაზის მიწოდების შემდეგ 2008 წელს აშშ-სათვის ირანის მოქალაქის ამირჰოსეინ არდებილის ექსტრადიცია, ან ირანის ახალი პრეზიდენტის არჩევიდან რამდენიმე დღეში უვიზო რეჟიმის ცალმხრივად გაუქმება. და თუ გაუხსნენ, როგორი იქნება ირანის „დიპლომატიური მანევრები“?

წყაროები:

http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=386
<http://www.epn.ge/?p=152788>
<http://www.epn.ge/?p=155606>
<http://geo.regionalreporters.net/saqarthvelo-sheerthebul-shtatebs-ar-daudzalebia-iranthan-savizo-rezhimis-gamkatsreba/>
<https://www.facebook.com/aryana.ge>
<http://timer.ge/print:page,1,10247-maia-fanjikidze-iranthan-savizo-rezhimi-calmkhivad-droebith-shecherda.html>
<http://www.entekhab.ir/fa/news/130273>
<http://www.fardanews.com/fa/news/105399/%D8%B1%D8%AD%DB%8C%D9%85%DB%8C-%D9%84%D8%BA%D9%88-%D8%B1%D9%88%D8%A7%D8%AF%DB%8C%D8%AF-%D8%A7%DB%8C%D8%B1%D8%A7%D9%86-%D8%A8%D8%A7-%DA%AF%D8%B1%D8%AC%D8%B3%D8%AA%D8%A7%D9%86>
<http://irpetro.com/newsdetail-8469-fa.html>
<http://old.mehrnews.com/fa/NewsDetail.aspx?NewsId=1047498>
<http://www.irdiplomacy.ir/newsletter/fa/page/1922557/%D9%88%DB%8C%D8%B2%D8%A7%DB%8C+5+%DA%A9%D8%B4%D9%88%D8%B1+%D8%A8%D8%B1%D8%A7%DB%8C+%D8%A7%DB%8C%D8%B1%D8%A7%D9%86%DB%8C%D8%A7%D9%86+%D9%85%D8%AD%D8%AF%D9%88%D8%AF+%DB%8C%D8%A7+%D9%84%D8%BA%D9%88+%D8%B4%D8%AF.html>
<http://www.hezbollahnews.com/vdcyvar.t1a5v2bcct.html>
<http://khabarfarsi.com/ext/5813779>
http://www.bbc.co.uk/persian/iran/2013/07/130709_l03_uae_iran_visa.shtml
<http://www.isna.ir/fa/news/92042917746/سفیر-کشورمان-در-اندونزی-لغو-صدور-ویزای-ایران>
<http://www.netgazeti.ge/GE/105/News/21259/>
<http://www.netgazeti.ge/GE/105/News/21219/>
<http://news.ge/ge/news/story/25532-irantan-uvizo-rezhimi-agvistos-bolomde-izghudeba>
<http://www.tabula.ge/ge/story/73629-irantan-uvizo-rezhimis-gauqmeba-shida-da-gare-impulsebi>
http://www.for.ge/view.php?for_id=24882&cat=3
<http://newsport.ge/41189-baqradzis-ganckhadebit-irantan-uvizo-rezhimi-saqartvelostvis-aucilebeli-iyoy#UmuDFnAwonl>
<http://geurasia.org/geo/952/savizo-rezhimis-gauqmeba-saqartvelosa-da-irans-shoris.html>
<http://morigin.tavisupleba.org/a/25039195.html>

ირანის ახალი მთავრობის დიპლომატიის დასაწყისი

2013 წლის ზაფხულში ირანის ახალი პრეზიდენტის ჰასან რუჰანის არჩევის და აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირების შემდეგ თეირანმა აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო. ჰასან რუჰანიმ ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკის მთავარი გზავნილი **„კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება მსოფლიოსთან“** კიდევ ერთხელ გააჟღერა 2013 წლის 24 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით გამართულ გაერო-ს გენერალური ასამბლეის ყოველწლიური სესიის ფარგლებში. ირანის პრეზიდენტის მეთაურობით ნიუ-იორკში ჩასული ოფიციალური დელეგაციის წევრებმა მრავალმხრივი და ორმხრივი შეხვედრები გამართეს და სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრეს.

ირანის პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა გაერო-ს გენერალური ასამბლეის ყოველწლიური 68-ე სესიის ფარგლებში. ირანის ახალი პრეზიდენტის გამოსვლაში ძირითადი ადგილი **მსოფლიოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას, ირანის ბირთვულ პროგრამას და სირიის კრიზისს** დაეთმო.

ჰასან რუჰანიმ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმოხილვისას აღნიშნა, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხალხთა ყურადღება მშვიდობის დამყარებისკენ არის მიპყრობილი და მოსახლეობა ძალადობისა და რადიკალიზმის ნაცვლად, უპირატესობას მოლაპარაკებებს ანიჭებს.

ჰასან რუჰანიმ ყურადღება გაამახვილა რეგიონში მიმდინარე პროცესებზე, კერძოდ, პალესტინელთა საკითხი და სირიის კრიზისი მიმოიხილა. მან პალესტინელები მოიხსენია „დაჩაგრულებად, რომლებიც საკუთარი ტერიტორიის ოკუპირებულობის გამო სახლში დაბრუნების უფლებას მოკლებულნი არიან“. ირანის პრეზიდენტმა სირიაში მიმდინარე მოვლენები კატასტროფული ძალადობის გამოვლინებად შეაფასა და კიდევ ერთხელ გაიმეორა თეირანის პოზიცია სირიის კრიზისის მიმართ: **სირიის კრიზისის სამხედრო გზით მოგვარება შეუძლებელია.**

ჰასან რუჰანიმ მსოფლიოს ლიდერების წინაშე გამოსვლისას ყველაზე ფართოდ ირანის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხი - ბირთვული პროგრამა მიმოიხილა. მან თეირანის ბირთვულ დოსიესთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების აუცილებელ პირობად **ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ქმედებები** მიიჩნია, ხოლო ზოგადად, ბირთვულ პროგრამაზე საუბრისას შემდეგი ფაქტორები გამოკვეთა:

- **ირანისა და სხვა ქვეყნების ბირთვული პროგრამები მხოლოდ სამშვიდობო ხასიათს უნდა ატარებდეს.** ირანის თავდაცვის დოქტრინაში ბირთვულ და მასობრივი განადგურების იარაღს არანაირი ადგილი არ უჭირავს და ეს იარაღი აკრძალულია ისლამური რესპუბლიკის რელიგიური პრინციპებიდან გამომდინარე.
- **ირანის ტერიტორიაზე ურანის გამდიდრება და ბირთვული აქტივობა მხოლოდ სამშვიდობო მიზნებისთვის განხორციელდება.** ბირთვული ტექნოლოგიები და მასთან დაკავშირებული სამეცნიერო ცოდნა ირანში მაღალ დონეზეა და უკანონო სანქციებით მისი შეჩერება საკმაოდ არარეალურია.

- ირანის ბირთვული პროგრამა იქნება გამჭვირვალე, რათა მოიხსნას მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ბუნდოვანება.

ჰასან რუჰანიმ ასევე მონაწილეობა მიიღო გაერო-ში ბირთვული განიარაღების საკითხზე გამართულ სხდომაში, სადაც მსოფლიოსთვის მისი მხრიდან გაკეთებულ მთავარ გზავნილად **ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის** შესახებ გაკეთებული განცხადება შეიძლება მივიჩნიოთ. ჰასან რუჰანიმ მიუღებლად ჩათვალა ისეთი დოქტრინების არსებობა, რომლებიც ბირთვული იარაღის ფლობას ამართლებს. მან ბირთვული იარაღის არსებობა მისი გამოყენების და გავრცელების მზარდ საფრთხედ შეაფასა, ამის თავიდან აცილების ერთადერთ გარანტად კი ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაცი დაასახელა.

ირანის ახალი მთავრობის მიერ ბირთვული კრიზისის მოგვარებისა და დასავლეთთან ურთიერთობების დალაგების სურვილის კონტექსტში უნდა განვიხილოთ **პრეზიდენტ ჰასან რუჰანის შეხვედრა საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდთან**. მათი შეხვედრა გაერო-ს გენერალური ასამბლეის ყოველწლიური სესიის ფარგლებში შედგა. ფრანსუა ოლანდი გახდა პირველი დასავლელი ლიდერი „ექსკლუსის“ (აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, გერმანია) წევრი ქვეყნებიდან, რომელიც ირანის ახალ პრეზიდენტს შეხვდა. ჰასან რუჰანიმ და ფრანსუა ოლანდმა ისაუბრეს ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა: ირანის ბირთვული პროგრამა, სირიის კრიზისი და ლიბანში არსებული ვითარება. საფრანგეთის პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა ირანის პრეზიდენტის გამოსვლა და ირანს განცხადებების შესაბამისი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდა.

ჰასან რუჰანის ნიუ-იორკში ვიზიტის ფარგლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტად შეიძლება შეფასდეს ირანის პრეზიდენტის მიერ ტელეკომპანია CNN-ისთვის ინტერვიუს მიცემა. აღნიშნული ინტერვიუ და კერძოდ, ახალი პრეზიდენტის პასუხი ჰოლოკოსტის შესახებ დასმულ კითხვაზე, ფართო განხილვის საგანი გახდა. CNN-ის მიერ გავრცელებული ინტერვიუს მიხედვით, ირანის პრეზიდენტმა ჰოლოკოსტი⁶ აღიარა და დაგმო. ამას გამოეხმაურა ირანული საინფორმაციო სააგენტო Farsnews, რომელმაც CNN ჰასან რუჰანის ინტერვიუს ფაბრიკაციაში დაადანაშაულა. საბოლოოდ გავრცელდა ინტერვიუს სპარსული ვერსია, რომლის ინგლისურ თარგმანში მართლაც იყო განსხვავება რუჰანის მიერ ჰოლოკოსტთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხში. ჰასან რუჰანიმ CNN-ის ჟურნალისტის კითხვაზე, აღიარებს თუ არა ის ჰოლოკოსტს, შემდეგი პასუხი გასცა (სპარსული ტექსტის მიხედვით): „მე, როგორც ადრე აღვნიშნე, არ ვარ ისტორიკოსი, ისტორიული მოვლენები კი ისტორიკოსებმა უნდა შეაფასონ და განსაზღვრონ მათი ხასიათი. თუმცა, ჩემი აზრით, დასაგმობია, ყველა ის დანაშაული, რომელიც ისტორიის მანძილზე კაცობრიობის წინაშე ჩადენილა და, მათ შორის, რაც ნაცისტებმა ჩაიდინეს ებრაელებისა და არაებრაელების წინაშე. მე ვგმობ ასევე, იმ დანაშაულებებს და გენოციდს, რომელიც ჩადენილი იქნება ნებისმიერი ერის, რელიგიის და ეთნოსის მიმართ, შესაბამისად, ნაცისტების ქმედება დასაგმობია, ხოლო მათი ქმედების ზომები ისტორიკოსებისა და მკვლევრების დასადგენია, მე კი არ გახლავართ ისტორიის მკვლევარი“.

⁶ ირანის ყოფილი პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადი(2005-2013 წწ) არ აღიარებდა ჰოლოკოსტს და ირანში ანტისიონისტურ კონფერენციებს მართავდა.

პრეზიდენტის პასუხის ინგლისურ ვარიანტში არის სიტყვა ჰოლოკოსტი, რომელიც ჰასან რუჰანის არ უხსენებია. ასევე ინტერპრეტირებულად არის ნათარგმნი რუჰანის პასუხის ბოლო ნაწილი, სადაც წინადადებები დამატებულია. მიუხედავად განსხვავებული თარგმანისა, ჰასან რუჰანის პასუხიდან ჩანს, რომ ის არ აღიარებს, თუმცა გმობს ჰოლოკოსტს, როგორც კაცობრიობის წინაშე ჩადენილ ერთ-ერთ დანაშაულს.

გარდა პრეზიდენტისა, ნიუ-იორკში ვიზიტის დროს აქტივობით გამოირჩეოდა ირანის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი მოჰამად ჯავად ზარიფი. იგი შეხვდა თავის კოლეგებს, მათ შორის დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ უილიამ ჰეიგს და გაერო-ს გენერალურ მდივან პან გი მუნს. შეხვედრების განხილვის მთავარი თემა ირანის ბირთვული პროგრამა იყო. აღსანიშნავია, რომ პან გი მუნმა ხაზგასმით აღნიშნა, საერთაშორისო ასპარეზზე ირანის მიმართ დადებითი განწყობის ზრდის შესახებ და ამის მიზეზად მან გაერო-ში ირანის პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ეფექტიანი გამოსვლა და ასევე, ბირთვული პროგრამის შესახებ პროგრესული განცხადებების გაკეთება დაასახელა.

ირანის მთავრობის დელეგაციის ვიზიტის, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი, ვიზიტის დასასრულს, ირანის დელეგაციის აეროპორტისკენ წასვლის შემდეგ მოხდა - **ირანის პრეზიდენტ ჰასან რუჰანისა და აშშ-ს პრეზიდენტს ბარაკ ობამას შორის სატელეფონო საუბარი შედგა.** საუბარი 15 წუთს გაგრძელდა და მისი მთავარი თემა ირანის ბირთვული პროგრამა იყო. ორივე მხარემ ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების უახლოეს მომავალში გადაწყვეტის აუცილებლობას გაუსვა ხაზი. მიუხედავად იმისა, რომ გაერო-ს გენერალური ასამბლეის ყოველწლიური სესიის ფარგლებში ჰასან რუჰანისა და ბარაკ ობამას შეხვედრა „ვერ მოხერხდა“, ორი ქვეყნის „ურთიერთობებში“ ერთგვარი გარღვევა მაინც დაფიქსირდა: პირველად, 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ, ირანისა და აშშ-ს პრეზიდენტებს შორის ოფიციალური სატელეფონო საუბარი შედგა. სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია ირანში ახალი მთავრობის პირველ მასშტაბურ საგარეო ვიზიტზე განსხვავებული რეაქციები.

აშშ-დან ირანში დაბრუნებულ ჰასან რუჰანის აეროპორტში საპროტესტო აქცია დახვდა, რომელზეც ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკით უკმაყოფილო ხალხმა პრეზიდენტს კვერცხები და ფეხსაცმელები დაუშინა. ამის შემდეგ, ქვეყანაში პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკური კურსით უკმაყოფილო რადიკალური ფენის, ძირითადად, ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის, წარმომადგენელთა კომენტარებიც ცნობილი გახდა. ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის მეთაურმა მოჰამად ალი ჯაფარიმ, ჰასან რუჰანისა და ბარაკ ობამას სატელეფონო საუბარი „ტაქტიკურ შეცდომად“ შეაფასა, რომლის გამოსწორებაც შეიძლება. მან ირანის მთავრობას მოუწოდა, დაელოდოს აშშ-სგან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, მათ შორის, ირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გაუქმებას.

ირანში ჰასან რუჰანის გუნდის დიპლომატიურ ნაბიჯებს დადებითი გამოხმაურებებიც მოჰყვა, მათ შორის, ქვეყნის მოწყობის სარეგლამენტაციო საბჭოსა და ირანის მეჯლისის მხრიდან. ქვეყნის მოწყობის სარეგლამენტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ჰაშემი რაფსანჯანიმ რუჰანის დიპლომატია დადებითად შეაფასა და მას სიმშვიდეზე, სიბრძნესა და ღირსებაზე დაფუძნებული უწოდა. ირანის მეჯლისის სპიკერმა ალი ლარიჯანიმ პრეზიდენტს გაერო-ში დაფიქსირებული პოზიციების გამო მადლობა გადაუხადა და ჰასან რუჰანის გამოსვლა გენერალურ ასამბლეაზე ირანის ეროვნული ინტერესების დაცვად შეაფასა.

ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკურ კურსზე ირანის პოლიტიკურ წრეებში არსებული განსხვავებული პოზიციის ფონზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ირანის სულიერი ლიდერის განცხადებას. აღსანიშნავია, რომ აიათოლა ალი ხამენეიმ გაერო-ს გენერალური ასამბლეის წინ სამხედრო მაღალჩინოსნებთან და მთავრობის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე 17 წლის წინ წარმოთქმული „ვაჟკაცური მორბილება“ კვლავ ახსენა და განმარტა, რომ დიპლომატიაში ამ ხერხის გამოყენება უკანდახევასა და დათმობას არ ნიშნავს, არამედ ღირსეულად და გააზრებულად გადადგმული ნაბიჯია. აიათოლა ალი ხამენეიმ ახალი მთავრობის აშშ-ში ვიზიტზე საკმაოდ ზომიერი განცხადება გააკეთა - მან მხარი დაუჭირა მთავრობის წარმომადგენელთა გაერო-ში ვიზიტის დროს განხორციელებულ დიპლომატიას, თუმცა ამავე დროს აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში ზოგიერთი დიპლომატიური ნაბიჯი „უადგილო“ იყო. სულიერ ლიდერს არ დაუკონკრეტებია, თუ რომელ ნაბიჯს გულისხმობდა. სავარაუდოდ, აიათოლა ალი ხამენეისთვის „უადგილო“ ჰასან რუჰანისა და ბარაკ ობამას სატელეფონო საუბარი უნდა ყოფილიყო, თუმცა ისიც ნაკლებ სარწმუნოა, რომ ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემიდან⁷ გამომდინარე, აღნიშნული საუბარი მასთან შეთახმების გარეშე შემდგარიყო.⁸ გავრცელებული ინფორმაციით, სატელეფონო საუბარი ორ მხარეს შორის შეთანხმების შემდეგ განხორციელდა, თუმცა ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, საუბრის ინიციატორი ირანის თუ აშშ-ს პრეზიდენტს იყო. დიდი ალბათობით, სულიერმა ლიდერმა, ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის მხრიდან დაფიქსირებული მკვეთრი უარყოფითი პოზიციის გამო, გადაწყვიტა შედარებით ზომიერი განცხადება გაეკეთებინა. აიათოლა ალი ხამენეიმ, ერთი მხრივ, ირანის მთავრობისადმი თავის ოპტიმისტურ განწყობაზე ისაუბრა, ხოლო მეორე მხრივ, აშშ არასაიმედოდ, პირობის გამტეხლად და სიონისტური ქსელის გავლენის ქვეშ მყოფად მოიხსენია.

გაერო-ს გენერალურ ასამბლეის ყოველწლიური სესიის შემდეგ, ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკის მიღწევებზე ირანის პრეზიდენტმა ჰასან რუჰანიმაც ისაუბრა. პრეზიდენტმა მუშაობის დაწყებიდან 45 დღის განმავლობაში შესრულებული სამუშაო შეაფასა და აღნიშნა, რომ ამ მცირე დროში ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკის მთავარი ღოზუნგი - მსოფლიოსთან კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება - სამ ეტაპად განხორციელდა: პირველი - 4 აგვისტოს, ინაუგურაციის დღეს, როცა მთელი მსოფლიოდან ირანში მაღალი რანგის დელეგაციები იმყოფებოდნენ, მეორე - 13 სექტემბერს ბიშკეკში გამართული შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტზე, სადაც ჰასან რუჰანი რუსეთისა და ჩინეთის ლიდერებს შეხვდა და მესამე - გაერო-ს გენერალური ასამბლეის ყოველწლიური სესიის ფარგლებში ირანის სამთავრობო დელეგაციის მიერ რეგიონულ და საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებზე გამართულ დებატებსა და ოფიციალურ შეხვედრებში მონაწილეობის მიღება.

ჰასან რუჰანიმ ხაზი გაუსვა ირანსა და აშშ-ს შორის „ურთიერთობებში“ დაწყებულ პოზიტიურ ცვლილებებს და ამ ტენდენციის გავრცელების **ხელისშემშლელ ფაქტორად ისრაელი და აშშ-ში მოქმედი ძლიერი ებრაული ლობი დაასახელა**. საგულისხმოა პრეზიდენტის მითითება იმაზე, რომ ირანმა უნდა იმუშაოს აშშ-ში ირანის ლობის ვაკუუმის შესავსებად და ამაში მნიშვნელოვანი როლი შესაძლოა, აშშ-ში მცხოვრებ ირანელებს მიენიჭოთ.

⁷ ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით, საგარეო პოლიტიკაში, ისევე, როგორც სხვა მნიშვნელოვან საკითხებში, გადაწყვეტილების მიმღები პირი უმაღლესი სულიერი ლიდერია.

ჰასან რუჰანიმ ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკის კურსის წარმატებულად გაგრძელებისთვის მთავრობისადმი ხალხის მხარდაჭერა, ქვეყნის შიგნით ერთიანობა და მმართველი სტრუქტურების თანამშრომლობა მნიშვნელოვან და აუცილებელ პირობებად დაასახელა.

სავარაუდოდ, ირანის ახალი პრეზიდენტი თავის გუნდთან ერთად, კვლავ აქტიურად გააგრძელებს დიპლომატიური გზით ირანის საგარეო პოლიტიკის პრობლემების მოგვარებას. ის შეეცდება გამოიყენოს, გაერო-ს გენერალური ასამბლეის ყოველწლიური სესიის შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზე ირანისადმი შექმნილი დადებითი განწყობა და დასავლეთის ქვეყნებთან კონსტრუქციული ურთიერთობები დაამყაროს. ამისთვის ირანის ახალ მთავრობას ბირთვულ პროგრამასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გაკეთებული ზომიერი განცხადებებიდან რეალურ ქმედებებზე გადასვლა მოუწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგის მიღწევა, მხოლოდ ჰასან რუჰანის დიპლომატიის ხარჯზე, (მიუხედავად იმისა, რომ მას თავისი გამოცდილების გამო „დიპლომატიის შეიხსაც“ უწოდებენ) ნაკლებად მოსალოდნელია.

გამოყენებული წყაროები:

<http://www.president.ir/fa/71572>

<http://www.bbc.co.uk/news/uk-24215792>

http://www.radiofarda.com/content/f35_iran_uk_fa_min/25115468.html

http://www.radiofarda.com/content/f35_rouhani_cnn_intv/25116691.html

<http://www.reuters.com/article/2013/09/25/us-un-assembly-france-idUSBRE98O00P20130925?feedType=RSS&feedName=topNews>

http://www.bbc.co.uk/persian/iran/2013/09/130925_u08_rouhani_deal_months.shtml

<http://english.farsnews.com/newstext.aspx?nn=13920703001316>

<http://english.farsnews.com/newstext.aspx?nn=13920704000219>

<http://www.radiofarda.com/content/f8-nuclear-talks-in-un-1/25119101.html>

<http://www.radiofarda.com/archive/news/20130927/143/143.html?id=25119123>

<http://www.radiofarda.com/archive/news/20130927/143/143.html?id=25119193>

http://www.iran.ru/news/politics/90222/Na_zasedanii_po_yadernomu_razoruzheniyu_v_Nyu_Yorke_prezident_Irana_vystupil_za_polnuyu_likvidaciyu_yadernogo_oruzhiya

<http://www.radiofarda.com/content/f8-obama--rohani-1/25120228.html>

<http://www.isna.ir/fa/news/92070804795/%D8%B1%D9%88%D8%AD%D8%A7%D9%86%DB%8C-%D8%A8%D9%87-%D8%AA%D8%B9%D9%87%D8%AF%D8%A7%D8%AA-%D8%AE%D9%88%D8%AF-%D8%AF%D8%B1-%D8%B3%DB%8C%D8%A7%D8%B3%D8%AA-%D8%AE%D8%A7%D8%B1%D8%AC%DB%8C-%D9%BE%D8%A7%DB%8C%D8%A8%D9%86%D8%AF%DB%8C%D9%85-%D8%A8%D8%B1%D8%A7%DB%8C>

http://www.iran.ru/news/politics/90243/Obama_provel_telefonnyy_razgovor_s_nahodyashchimsya_v_Nyu_Yorke_Rouhani

http://www.iran.ru/news/politics/90251/MID_Irana_telefonnyy_razgovor_Ruhani_i_Obamy_eshche_ne_vosstanovlenie_irano_amerikanskih_otnosheniy

http://www.iran.ru/news/politics/90246/Protivniki_Ruhani_zabrosali_konvoy_iranskogo_prezidenta_botinkami_i_yaycami

http://www.radiofarda.com/content/f4_jafari_revolutionary_guardians_slam_rouhani/25122342.html

<http://www.isna.ir/fa/news/92071006388/%D8%A8%D8%B1%D8%B1%D8%B3%DB%8C-%D8%A7%D8%B5%D9%84%D8%A7%D8%AD-%D8%A8%D9%88%D8%AF%D8%AC%D9%87-92-%D9%88-%D8%AA%D8%B9%D8%A7%D9%85%D9%84-%D8%A8%D8%B1%D8%A7%DB%8C-%D8%AA%D9%86%D8%B8%DB%8C%D9%85-%D8%A8%D9%88%D8%AF%D8%AC%D9%87>
<http://www.radiofarda.com/archive/news/20131002/143/143.html?id=25123926>
<http://www.isna.ir/fa/news/92071006841/%D8%B1%DB%8C%DB%8C%D8%B3-%D8%AC%D9%85%D9%87%D9%88%D8%B1-3-%D8%B1%D8%A7%D9%87-%D8%AF%D8%B4%D9%88%D8%A7%D8%B1%DB%8C-%D9%BE%DB%8C%D8%B4-%D8%B1%D9%88-%D8%AF%D8%A7%D8%B1%DB%8C%D9%85>
<http://www.isna.ir/fa/news/92071006888/%D8%B1%DB%8C%DB%8C%D8%B3-%D8%AC%D9%85%D9%87%D9%88%D8%B1-%DA%A9%D8%A7%D9%85%D9%84-%D8%A8%D8%AF%D8%A7%D8%AE%D9%84%D8%A7%D9%82%DB%8C-%D9%87%D8%A7-%DA%A9%D9%86%D8%A7%D8%B1-%DA%AF%D8%B0%D8%A7%D8%B4%D8%AA%D9%87>
<http://www.farsnews.com/newstext.php?nn=13920711000641>
http://www.iran.ru/news/politics/90361/Pan_Gi_Mun_vstretilsya_s_glavay_MID_Irana
<http://www.youtube.com/watch?v=GNM-wjiOw4E>

ლიბია კადაფის რეჟიმის დამხობის შემდეგ: ბუნდოვანი მომავალი

პოლკოვნიკ მუამარ კადაფის დამხობიდან ორი წლის შემდეგ, ლიბიაში არასტაბილური ვითარება, ტომობრივი დაპირისპირება, კორუფცია, რადიკალ ისლამისტთა აქტიურობა, ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები კვლავაც გადაუჭრელი პრობლემებია. ჯერ კიდევ გასული წლის გაზაფხულზე, ამერიკელ ანალიტიკოსთა შეფასებით, რეჟიმის დამხობიდან 5 თვის შემდეგ ქვეყანა კვლავაც ქაოსში იყო ჩაფლული. თავისუფლად გადაადგილდებოდა მრავალი შეიარაღებული ბანდფორმირება, მათი წევრების უმრავლესობა უმუშევარი იყო და ხშირად არაფხიზელ მდგომარეობაშიც იმყოფებოდა. ზემოთ აღნიშნული ვითარების გამო, გაიზარდა ტუნისში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი.

არსებულ პრობლემებს დაემატა მოსახლეობის მძაფრი უკმაყოფილება ლიბიის გარდამავალი ნაციონალური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვითაც შეწყდა მუამარ კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხებულთა დაფინანსება და ჯილდოს სახით ფულადი პრემიების გაცემა. საბჭოს განცხადებით, მილიონობით დინარი იხარჯებოდა ყოველგვარი კონტროლის გარეშე და უამრავი დარღვევის ფონზე. საბჭოს ინფორმაციით, იყო შემთხვევები, როდესაც ისეთი პირები იღებდნენ დახმარებას, ვისაც საერთოდ არ ეკუთვნოდა. გადაწყდა, რომ ფინანსური დახმარებების გაცემა განახლდებოდა მხოლოდ მას შემდეგ რაც დეტალურად გადაიხედებოდა თანხების გაცემის არსებული მექანიზმი. ფულადი დახმარების შეწყვეტის გამო, უკმაყოფილება გამოთქვეს კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლებმა. მათ ამ მიზეზით მცირემასშტაბიანი აქცია მოაწყვეს ლიბიის გარდამავალი ნაციონალური საბჭოს შტაბ-ბინის წინ ტრიპოლიში და გადაკეტეს რამოდენიმე გზა დედაქალაქის შემოგარენში.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე, სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ ლიბიის ნაციონალურმა გარდამავალმა საბჭომ, რომელიც ჩამოყალიბდა 2011 წლის ნოემბერში, დაითხოვა 65 წევრიანი მთავრობის კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა აბდ ალ-რაჰიმ ალ-კიბა. საბჭოს განმარტებით, მათ ალ-კიბას მთავრობას უნდობლობა გამოუცხადეს არაკომპეტენტურობის გამო. მთავრობამ ვერ შეძლო ვერცერთი ამოცანის გადაჭრა: თავიდან ვერ აიცილა ტომობრივი დაპირისპირებებით გამოწვეული მასშტაბური სისხლისღვრა და ბოლო ვერ მოუღო საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვას. მთავრობის წევრებმა ვერ მოამზადეს ქვეყანა არჩევნებისთვის, ვერ განაახლეს ნავთობის მოპოვება და ვერ უზრუნველყვეს უსაფრთხოება. გარდა ამისა, ვერ ხერხდებოდა ყოფილი აჯანყებულების ინტეგრირება არმიასა და პოლიციაში. თუმცა, რამოდენიმე დღის შემდეგ ნაციონალურმა გარდამავალმა საბჭომ გადაწყვიტა კვლავ გაეგრძელებინა ნდობის მანდატი იმავე მთავრობისათვის გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ. ეს პირობები იყო: რეგიონებისათვის უფლებების გაზრდა, უსაფრთხოების გარანტირება მთელი ქვეყნის მასშტაბით, იარაღის ამოღება მოსახლეობიდან, რევოლუციის დროს აჯანყებულთა და დაშავებულთათვის ჯილდოებისა და კომპენსაციების გაცემა, უცხოური ინვესტიციების დაცვა და სამართლებრივი დევნის განხორციელება პოლკოვნიკ კადაფის აგენტების წინააღმდეგ.

მთავრობისათვის ნდობის აღდგენა განაპირობა ქვეყანაში მოახლოებულმა არჩევნებმა, რასაც გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა ვითარების ნორმალიზების პროცესში. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, მმართველობის სტრუქტურების სისუსტის გარდა, მთავარი პრობლემა იყო იარაღის უკონტროლო გავრცელება მოსახლეობაში და ხელისუფლების სისუსტე. სწორედ ამიტომ მიიჩნევდნენ, რომ ახლად არჩეული კონგრესი, პირველ რიგში, მოსახლეობიდან იარაღის ამოღების პრობლემის საკითხებს გადაწყვეტდა.

პარალელურად იყო შერიგებისა და საერთო ენის გამონახვის მცდელობაც რევოლუციონერებსა და ყოფილი რეჟიმის მომხრეებს შორის. ამ მიზნით ორგანიზაცია „ძმები მუსლიმების“ წევრ შეიხ ალი ალ-სალაბის სთხოვეს შუამავლობა გაეწია დაპირისპირებულ მხარეებს შორის. იმ პერიოდისათვის საყოველთაოდ მიღებული იყო აზრი, რომ შერიგება აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ქვეყანაში სიტუაციის სტაბილიზაციისათვის.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, ლიბია გასულ წელს კიდევ ერთი გამოწვევის წინაშე დადგა: გააქტიურდნენ ფედერალიზმის მომხრეები. ზოგადად დეცენტრალიზაციისა და ფედერალიზმის იდეა ქვეყანაში მანამდეც აქტუალური იყო, თუმცა ამის შესახებ ღიად არცერთი პოლიტიკოსი არ საუბრობდა და პირიქით, რამდენიმე გააკრიტიკა კიდევ ეს იდეა. ლიბიის ნაციონალური გარდამავალი საბჭოს ხელმძღვანელმა მუსტაფა აბდ ელ-ჯალილმა განაცხადა, რომ ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილის ინიციატივა ფედერალიზაციის შესახებ იყო შეთქმულება ქვეყნისა და მისი მოქალაქეების წინააღმდეგ. ამ იდეის გასაპროტესტებლად ბენდაზისა და კიდევ რამოდენიმე რაიონში დაიწყო მჯდომარე აქციები და გაფიცვები, რომელთა მონაწილეები მიიჩნევდნენ, რომ ეს ნაბიჯი იქნებოდა რევოლუციის დროს დაღუპულთა ღალატი. ტრიპოლიში გამართულ პრესკონფერენციაზე იგივე პოზიცია გამოხატა აბდ ელ-ჯალილმა და იმედი გამოთქვა, რომ საერთაშორისო საზოგადოება არ დაუშვებდა ლიბიის ისეთ დაყოფას, სადაც მხოლოდ ერთ მხარეს იქნებოდა ნავთობით მდიდარი ნაწილი. გარდამავალი საბჭოს მიერ გამოთქმული პროტესტის მიუხედავად, პროვინცია კირენაიკაში სამი ათასამდე ადამიანმა, რომელთა შორისაც იყვნენ პოლიტიკოსები და ტომების უხუცესები, ჩაატარეს პრეს-კონფერენცია, შექმნეს „ფედერალური ტერიტორიის“ საბჭო, რომლის მეთაურადაც აირჩიეს შეიხი აჰმედ ზაბირ აჰმად შარიფ სანუსი. 2012 წლის 1 ივლისის მონაცემებითაც არ წყდებოდა ძალადობრივი აქტივობა ფედერალიზაციის მომხრეთა მიერ. მაგალითად, 300 კაციანმა ჯგუფმა თავიანთი მოთხოვნების შესრულების მიზნით იერიში მიიტანა და დაარბია ბენდაზიში არსებული საარჩევნო კომიტეტის შტაბ-ბინა.

ზემოთ ხსენებულ პრობლემებთან ერთად, ლიბიისათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩებოდა რადიკალ ისლამისტთა გააქტიურება. ქვეყნის ყველაზე არასტაბილურ აღმოსავლეთ ნაწილში, მოხდა ალ-კაიდას და სხვა მეზრძოლთა ანგარიშგასაწევი კონტიგენტის ფორმირება ჯერ კიდევ კადაფის ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს. ზოგიერთმა მათგანმა, იმის გამო, რომ ითვლებოდნენ მუამარ კადაფის რეჟიმის მოწინააღმდეგეებად თავშესაფარი მიიღო დასავლეთში, ზოგი მათგანი კი უკან დააბრუნეს მას შემდეგ, რაც კადაფიმ მეტ-ნაკლებად გამოასწორა ურთიერთობები დასავლეთთან. დაბრუნებულთა უმრავლესობა საპატიმროებში მოხვდა, სადაც მათ აწამებდნენ და უმძიმეს პირობებში ჰყავდათ.

რეჟიმის დამხობის შემდეგ, რადიკალ ისლამისტთა უმეტესობა დაბრუნდა ქვეყანაში, დანარჩენები კი გაათავისუფლეს საპატიმროებიდან. მათი ნაწილი დღესდღეობით თანამშრომლობს სხვადასხვა შეიარაღებულ დაჯგუფებებთან და სერიოზულ თავსატეხს უჩენს

დასავლური ქვეყნების ხელისუფლებებს, რადგან ქვეყანაში და მთლიანად რეგიონში ისლამისტური საფრთხე თვალნათლივ იზრდება.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ისლამისტთა სამიზნეები ხდებოდნენ უცხოელი დიპლომატები. 2012 წლის სექტემბერში, ბენლაჰიში თავდასხმა მოხდა აშშ-ის საკონსულოზე. 11 სექტემბრის წლისთავთან დაკავშირებით ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში წინასწარმეტყველ მუჰამადზე ნაჩვენები ფილმის მიერ გამოწვეული სახალხო მღელვარება გადაედო ლიბიასაც. ისლამის მიხედვით იკრძალება წინასწარმეტყველ მუჰამადის ვიზუალურად გამოხატვა, გარდა ამისა მუსლიმი მაყურებლის გაღიზიანება გამოიწვია წინასწარმეტყველის პროვოკაციული სახით წარმოჩენამაც. აღნიშნულ მოვლენას მოჰყვა აშშ-ის საკონსულოზე თავდასხმა ქალაქ ბენლაჰიში და ოთხი დიპლომატის დაღუპვა. მათ შორის იყო აშშ-ის ელჩი ჯონ კრისტოფერ სტივენსიც. ამერიკელი ოფიციალური პირები და ახლო აღმოსავლეთის საკითხთა შემსწავლელი ექსპერტები კი მიიჩნევდნენ, რომ ეს თავდასხმა იყო არა სპონტანური და სახალხო მღელვარებით გამოწვეული, არამედ კარგად დაგეგმილი და ალ-კაიდას მიერ ინსპირირებული. ამ მოსაზრებას ის ფაქტები ამყარებდა, რომ საელჩოზე თავდასხმის დროს გამოყენებული იყო ყუმბარმტყორცნები, ხოლო ამ ქმედებას წინ უსწრებდა ალ-კაიდას მუქარა, რომლითაც მისი წევრები პირობას იძლეოდნენ, რომ შურს იძიებდნენ მათი ერთ-ერთი ლიდერის განადგურების გამო. საუბარია 2012 წლის 4 ივნისს აშშ-ის შეიარაღებული ძალების მიერ პაკისტანში ლიბიური წარმომავლობის ალ-კაიდას ერთ-ერთი ლიდერის აბუ იაჰია ალ-ლიბის ლიკვიდაციაზე.

დაზვერვისა და გამოძიების სამსახურების მთელი ყურადღება მიმართული იყო იმის გარკვევისაკენ, თუ რამდენად იყვნენ თავდამსხმელები დაკავშირებული ორგანიზაცია „აკიმთან“ („ალ-კაიდა ისლამური მადრიბის მიწაზე“), ეს ორგანიზაცია თავის დროზე ჩამოყალიბდა ალჟირში. მომხდარს გამოეხმაურა აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა და მან განაცხადა, რომ აღნიშნული ინციდენტი არ იქონიებდა გავლენას ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობებზე. თუმცა, მისივე განცხადებით: „მართლმსაჯულება აუცილებლად იზეიმებდა“. ლიბიის მილიციამ თავდასხმაში ეჭვმიტანილად ცნო „ანსარ ალ-შარიას“ ბრიგადის დაჯგუფება, თუმცა BBC-ის კორესპონდენტის რანა ჯავადის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ეს დაჯგუფება უარყოფდა რაიმე სახის კავშირს მომხდართან. მოგვიანებით ამერიკულმა მხარემ ინციდენტი შეაფასა ტერორისტულ აქტად. მანამდე თეთრი სახლის ოფიციალური პირები არ იყენებდნენ თავიანთ ლექსიკაში თავდასხმის ამგვარ დეფინიციას. მომხდარის ტერორისტულ აქტად შეფასება მოჰყვა მეთიუ გ. ოლსენის, ნაციონალური ანტიტერორისტული ცენტრის დირექტორის გამოსვლას კონგრესში, სადაც მან განაცხადა, რომ ელჩი სტივენსი და დანარჩენი სამი ამერიკელი ლიბიაში დაიღუპნენ ტერორისტული თავდასხმის შედეგად.

ოდნავ მოგვიანებით ამერიკულმა მხარემ განაცხადა, რომ ვაშინგტონმა დაიწყო ლიბიაში მზვერავებისა და უპილოტო თვითმფრინავების გაგზავნა. ეს ნაბიჯი გადაიდგა ალ-კაიდასთან კავშირში მყოფი და ელჩის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირების დაკავების დასაჩქარებლად. აქვე ანგარიშგასაწევია შემდეგი გარემოებაც - პარალელურად ეგვიპტის სპეცსამსახურები მიიჩნევდნენ, რომ ბენლაჰიში მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებული იყო შეიხი მუჰამად გამალ ალ-ქაშიფი (იგივე აბუ აჰმედი), რომელიც ციხიდან გაათავისუფლა ეგვიპტის ხელისუფლებამ რევოლუციის შემდეგ. გამოძიების თანახმად აბუ აჰმედი მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ალ-კაიდას ლიდერ აიმან აზ-ზავაჰირისთან, რომელმაც მას დაავალა ეხელმძღვანელა ორგანიზაციებისათვის

ეგვიპტესა და ლიბიაში. თუმცა, წყაროებს არ დაუდასტურებიათ, იყო თუ არა აბუ აჰმედი ეგვიპტეში, მაგრამ ამტკიცებენ იმასაც, რომ მან რამდენიმე ოპერაცია ჩაატარა ბოლო პერიოდში ლიბიასა და იემენში ზავაჰირის დავალებით და ასევე მიიღო დასტური კვლავ დაეგემა ოპერაციები ამჯერად ლიბიასა და ეგვიპტეში.

ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, გასული წლის ოქტომბერში ლიბიის გენერალურმა ნაციონალურმა კონგრესმა გადააყენა 2012 წლის 12 სექტემბერში არჩეული პრემიერ-მინისტრი მუსტაფა აბუ შაკური. ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც პარლამენტმა უკვე მეორედ გამოუცხადა უნდობლობა მის მიერ ფორმირებულ მინისტრთა კაბინეტს. ნაციონალურმა კონგრესმა დაამტკიცა ახალი მთავრობის შემადგენლობა პრემიერ-მინისტრ ალი ზეიდანის მეთაურობით. მის მთავრობაში 30 ადგილი თანაბრად გადანაწილდა ლიბერალებსა და ისლამისტებს შორის. ახალი პრემიერის მთავრობის პროგრამა პირველ რიგში ითვალისწინებდა არმიისა და პოლიციის რეფორმას. ეს ორი უწყება კი დღემდე ვერ ახერხებს ყოფილი აჯანყებულებით დაკომპლექტებული მრავალრიცხოვანი დაჯგუფებების გაკონტროლებას.

აღნიშნული პრობლემების მოგვარება ვერც ალი ზეიდანის მთავრობამ შეძლო. მიმდინარე წლის ნოემბერში, სასტუმროს ნომრიდან შეიარაღებულმა დაჯგუფებამ გაიტაცა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. გამტაცებლების განმარტებით, პრემიერის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ზიანის მომტანი იყო სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის და ხელს უწყობდა ქვეყანაში კორუფციის გაძლიერებას რის გამოც მათ მისი „დაპატიმრების“ გადაწყვეტილება მიიღეს. ზეიდანის გატაცებასთან დაკავშირებით არსებობდა კიდევ ერთი ვერსია: აღნიშნულ ფაქტამდე ხუთი დღით ადრე დააკავეს აბუ ანას ალ-ლიბი და გადასცეს ამერიკულ მხარეს. გავრცელებული ხმების თანახმად, იგი ალ-კაიდას მმართველი რგოლის ერთ-ერთი წევრია. გარდა ამისა, სავარაუდოა რომ ისლამისტთა უკმაყოფილება გამოიწვია პრემიერის მიერ ეგვიპტეში განხორციელებულმა ვიზიტმა, სადაც ორგანიზაცია „ძმები მუსლიმების“ მმართველ პარტიასა და მათივე ორგანიზაციის წევრ პრეზიდენტ მუჰამმად მურსის ხელისუფლება ჩამოართვა ქვეყნის სამხედრო საბჭომ. ალი-ზეიდანმა კი თავის გამოსვლაში მხარი დაუჭირა ეგვიპტელ სამხედროებს და გაამართლა ისლამისტი პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების ფაქტი. აღსანიშნავია ისიც, რომ 2011 წელს ლიბიის საპარლამენტო არჩევნებში მეორე ადგილზე გავიდა „ძმები მუსლიმების“ „სამართლიანობის და განვითარების პარტია“. გარდა ამისა, ალი ზეიდანი იყო ერთ-ერთი იმ პირებს შორის რომლებმაც დაარწმუნეს საფრანგეთის ხელისუფლება ჩარეულიყო ლიბიაში ორი წლის წინ დაწყებულ პროცესებში და მხარი დაეჭრა აჯანყებულთათვის.

პრემიერი ლიბიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებმა რამდენიმე საათის შემდეგ გაათავისუფლეს, მაგრამ ხსენებულმა ფაქტმა კიდევ ერთხელ მიაპყრო მსოფლიო საზოგადოების ყურადღება ამ ქვეყნისკენ. „მისი გატაცების შემდეგ ნათელია, რომ სამთავრობო კაბინეტი არ არის ძლიერად შეკრული გუნდი, ვერც მთავრობა აკონტროლებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს სათანადო დონეზე და არც ზეიდანს აქვს საკმაო გავლენა თავის მთავრობაზე“, - განაცხადა გეოგ პორტერმა, ჩრდილოეთ აფრიკის რისკების კონსულტანტმა. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის განცხადების თანახმად კი, მომხდარი ფაქტის შემდეგ აუცილებელია ლიბიის სახელმწიფოს გაძლიერების ხელშეწყობა, რადგან ქვეყნის შეიარაღებული ძალები, რომელიც შედგება კადაფის დროინდელი სამხედრო მოსამსახურეებისა და ასევე მისი მტრებისგან, ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევს რადიკალური დაჯგუფებების მძიმედ შეიარაღებულ მობილურ რაზმებს. თავის მხრივ,

საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა ხაზი გაუსვა, ლიბია მათ ქვეყანასაც სერიოზულ საფრთხეებს უქმნიდა და მომხდარმა კი უფრო მეტად გამოაჩინა საგანგაშო სიტუაცია. ცნობილია, რომ საფრანგეთმა მიმდინარე წლის დასაწყისში მალიში გაგზავნა თავის ჯარები, რათა ჩაეხშო ისლამისტთა აჯანყება თავის ყოფილ კოლონიაში, ხოლო მალიში არსებული რადიკალური დაჯგუფებები კი მნიშვნელოვან მხარდაჭერას იღებდნენ ლიბიიდან როგორც ცოცხალი ძალით, ასევე შეიარაღებითაც. ყოველივე ზემოთ თქმულის გამო, პარიზმა გამოთქვა მზადყოფნა ლიბიურ მხარესთან თანამშრომლობაზე, რათა ეს ქვეყანა არ გამხდარიყო თავშესაფარი ისლამისტი მებრძოლებისათვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პროცესებიდან ერთი წლის თავზე, რადიკალ ისლამისტთა თავისუფალი გადაადგილება ქვეყნის ტერიტორიაზე და მათ მიერ ისეთი ოპერაციების განხორციელება, როგორიცაა კარგად დაცული ობიექტიდან პრემიერ-მინისტრის გატაცება, ნათელს ხდის რომ ქვეყანაში ვითარება კვლავაც არასტაბილური, არაპროგნოზირებადი და ფეთქებადსაშიშაა, რაც საფრთხეს უქმნის როგორც მთლიანად რეგიონს ისევე რიგ დასავლურ სახელმწიფოებსაც.

დამოწმებული წყაროები:

<http://aljazeera.net/news/pages/8890ad47-3af0-408f-9c49-47d77d76d3ef?GoogleStatID=9>
<http://www.cbc.ca/news/world/story/2012/04/26/libya-cabinet-fired.html>
<http://www.aljazeera.net/news/pages/907a17d2-e44c-4d17-b62f-b4c1116f3bb5?GoogleStatID=1>
http://articles.chicagotribune.com/2012-06-06/news/sns-rt-us-libya-attack-usbre8550gx-20120606_1_libyan-islamic-fighting-group-national-transitional-council-libyan-officials
http://www.aljazeera.net/news/pages/f3641a0b-3532-4758-b08f-50399105157c?GoogleStatID=1&fb_source=message
<http://www.aljazeera.net/news/pages/53ceec19-7976-493a-9b0d-922f8b3675eb>
http://www.washingtonpost.com/world/news-agencies-us-ambassador-to-libya-killed-in-attack-outside-consulate/2012/09/12/665de5fc-fcc4-11e1-a31e-804fccb658f9_story.html
<http://www.egyptindependent.com/news/libya-attack-may-have-been-planned-us-officials-say>
<http://www.nytimes.com/2012/09/21/world/middleeast/assault-on-consulate-in-libya-a-terrorist-attack-white-house-says.html?ref=world>
<http://www.aljazeera.net/news/pages/53ceec19-7976-493a-9b0d-922f8b3675eb>
<http://www.thedaily.com/article/2012/10/25/102512-news-mobile-libya-suspect/>
<http://www.reuters.com/article/2013/10/10/us-libya-kidnap-idUSBRE99902M20131010>
<http://www.theguardian.com/world/2013/oct/10/libyan-prime-minister-ali-zeidan-freed-kidnap>
<http://www.aljazeera.com/news/africa/2013/10/libyan-prime-minister-freed-from-captivity-2013101093314649841.html>

დაძაბული შემოდგომა არაბულ ქვეყნებში

შემოდგომა საინტერესო და დატვირთული იყო არაბული ქვეყნებისთვის. სირიაში მუშაობის პირველი ეტაპი დაასრულა ქიმიური იარაღის აკრძალვის საერთაშორისო ორგანიზაციამ. პარალელურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ნოემბრისთვის დაგეგმილი „ჟენევა 2“-ის გასამართად. ეგვიპტეში ერთმანეთს მუჰამად მურსის მხარდამჭერები და ახალი ხელისუფლება უპირისპირდება. საუდის არაბეთმა, პირველად თავის ისტორიაში, უარი თქვა გაერო-ს უშიშროების საბჭოს დროებით წევრობაზე. თუნისში აქტიურად მიმდინარეობს მთავრობისა და ოპოზიციის მოლაპარაკებები გარდამავალი ხელისუფლების ფორმირებისა და 2014 წლის არჩევნებისთვის. ლიბიაში მიმდინარე მოვლენები მუდმივად ახდენს ხელისუფლების არაფექტურობისა და უუნარობის დემონსტრირებას. მაროკოში მინისტრთა ახალი კაბინეტი დაამტკიცეს. ალჟირის პრეზიდენტის განცხადებები დასავლეთ საჰარაზე კი მაროკოს მხრიდან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის მიზეზი გახდა. სუდანი და სამხრეთ სუდანი ისევ ვერ ახერხებენ სასაზღვრო რაიონების სტატუსზე შეთანხმებას.

სირიაში დასრულდა ქიმიური იარაღის არსენალის განადგურების პირველი ეტაპი, რომელიც 1 ოქტომბერს დაიწყო. იმავდროულად გაეროსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის საერთაშორისო ორგანიზაციის (OPCW) გაერთიანებულმა მისიამ სირიის ტერიტორიაზე დამასკოს 23 დეკლარირებული ობიექტებიდან 21-ის ინსპექციაც დაასრულა. დარჩენილ 2-ში კი შესვლა ვერ მოხერხდა უსაფრთხოების ზომების არარსებობის გამო. ოქტომბრის ბოლო კვირას სირიის უმეტეს რეგიონში საბრძოლო მოქმედებები გრძელდებოდა ხელისუფლებისა ძალებისა და ბაშარ ასადის რეჟიმის მოწინააღმდეგე შეიარაღებულ ფორმირებებს შორის. ყველაზე ინტენსიურად ბრძოლები დამასკოს რაიონებსა და ალეპოს ჩრდილო პროვინციაში მიმდინარეობდა. ამ უკანასკნელში სახელისუფლებო არმიამ 1 ნოემბერს ოპოზიციის შეიარაღებული ძალებისგან ქალაქი სფირა გაანთავისუფლა, სადაც განთავსებული იყო ერთ-ერთი ქიმიური ობიექტი და რომლის მონახულებაც ვერ შეძლეს ზემოთაღნიშნული მისიის გამომძიებლებმა. ხასაკეს ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციაში კი ქურთულმა დანაყოფებმა წარმატებებს მიაღწიეს ესქტრემისტი ისლამისტური დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ 31 ოქტომბერს ისრაელმა საჰაერო დარტყმა გაანხორციელა სირიის საზღვაო სამხედრო ბაზა ლატაკიაზე, სადაც, როგორც ვარაუდობდნენ, ინახებოდა ლიბანური ჰიზბალასთვის განკუთვნილი რაკეტები. სირიის სპეცსამსახურის წარმომადგენელის განცხადებით, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

29 ოქტომბერს პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა კიდევ ერთხელ გაააკეთა განცხადება საყოველთაო ამნისტიის შესახებ, რომელიც დამნაშავეს „იარაღის ტარების“ ბრალდებისგან ათავისუფლებს, თუკი ის ბრძანების გამოსვლიდან 30 დღის მანძილზე ნებაყოფლობით ჩაბარდება ხელისუფლებას. იმავე დღეს ასადმა ხელი მოაწერა პირველი ვიცე-პრემიერის (რომელიც შიდა ზომიერი ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერიცაა), ქადრი ჯამილის განთავისუფლებას. განთავისუფლების მიზეზი ჯამილის „პრეზიდენტთან შეუთანხმებლად საზღვარგარეთ არასანქცირებული ვიზიტი და იქ შეხვედრების

გამართვა“ გახდა. საქმე ეხება ჯამილის აშშ-ის სპეციალურ წარმომადგენელთან სირიაში, რობერტ ფორდთან გამართულ შეხვედრებს. როგორც გაერო-ში განაცხადეს, საუბარის თემას ჟენევაში გასამართი სამშვიდობო მოლაპარაკებები წარმოადგენდა.

დამასკოში კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ პრეზიდენტი ბაშარ ასადი პოსტზე მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებამდე, ანუ 2014 წლამდე დარჩება. ამასთან, თავად ასადის განცხადებით, იგი არ გამოირიცხავს საკუთარი კანდიდატურის კიდევ ერთხელ წამოყენებას მომავალ არჩევნებზე.

თურქეთის პარლამენტმა 3 ოქტომბერს კიდევ 1 წლით გააგრძელა მთავრობის მანდატი, რომელიც ითვალისწინებს „საჭიროების შემთხვევაში“ სირიაში სამხედრო ოპერაციის განხორციელებას. თურქეთმა სირიის მოსაზღვრე რაიონებში კედლის მშენებლობაც დაიწყო, მეზობელი ქვეყნიდან არალეგალური ლტოლვილების გადმოსვლის თავიდან ასაცილებლად.

გაიზარდა პოლიტიკური აქტივობა სირიის კონფლიქტის სამშვიდობო მოლაპარაკებების „ჟენევა 2“-ის გამართვასთან დაკავშირებით. ოქტომბრის ბოლოს დამასკოში იმყოფებოდა გაერო-სა და არაბული ქვეყნების ლიგის წარმომადგენელი ლაჰდარ ბრაჰიმი, რომელმაც მოლაპარაკებები გამართა პრეზიდენტ ასადთან. ასადის განცხადებით, ნებისმიერ გადაწყვეტილება, რომელიც იქნება მიღებულ „ჟენევა 2“-ის შედეგად, უნდა შეესაბამებოდეს სირიელი ხალხის ნებას. რაც შეეხება სირიის ოპოზიციას, ის კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე კვლავ უარს აცხადებს და ახალ მოთხოვნებს აყენებს. ერთ-ერთი მიხედვით, თავისუფალი სირიის არმია „ჟენევა 2“-ში რუსეთის, ირანის და ჩინეთის მონაწილეობის წინააღმდეგ გამოვიდა.

ჟენევის კონფერენცია იყო 22 ოქტომბერს ლონდონში გამართული ”სირიის მეგობარ სახელმწიფოთა“ მორიგი შეხვედრის მთავარი თემა. 11 დასავლური და არაბული ქვეყანა⁹ მხარს უჭერს სირიის ანტისახელისუფლებო ძალებს. შეხვედრაზე ასევე იმყოფებოდა სირიის ოპოზიციის - ოპოზიციისა და რევოლუციურ ძალთა ეროვნული კოალიციის დელეგაცია. განხილულ იქნა მათთვის დახმარების გაწევის საკითხი. შეხვედრის მონაწილეები ცდილობდნენ სირიის დელეგაციის დარწმუნებას კონფერენციაში მონაწილეობის აუცილებლობაში. თუმცა, როგორც სირიის ეროვნული კოალიციის ხელმძღვანელმა აჰმად ალ-ჯარბმა განაცხადა, ოპოზიცია არ აპირებს კონფერენციაში მონაწილეობის მიღებას მანამდე, სანამ ბაშარ ასადი არ დატოვებს პრეზიდენტის პოსტს. მისთვის ასევე მიუღებელია ”ჟენევა 2“-ში ირანის ჩართულობა. თავის მხრივ, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის უილიამ ჰეიგის აზრით, ასადის პოსტიდან გადაყენება სულაც არ წარმოადგენს კონფერენციის ჩატარების წინაპირობას. ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის განცხადებით კი, კონფერენციის წარმატებით ჩატარებისთვის აუცილებელია მოინახოს სირიის ისეთი ლიდერები, რომლებიც მისაღები იქნებიან კონფლიქტის ორივე მხარისთვის. მისი აზრით, მხოლოდ სირიულ მხარეთა გადასაწყვეტია (მოლაპარაკებების გზით) დარჩეს თუ არა ბაშარ ასადი დროებით ხელისუფლებაში გარდამავალი მმართველობისთვის ძალაუფლების გადაცემისთვის.

ოქტომბერში ამერიკამ სირიის სანაპიროებთან განლაგებული მისი სამხედრო-საზღვაო დაჯგუფებების ნაწილი გაიყვანა.

⁹ დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ეგვიპტე, იორდანია, იტალია, კატარი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, საუდის არაბეთი, აშშ, თურქეთი და საფრანგეთი.

ოქტომბერშივე კატარის ემირმა შეიხ თამიმ ბინ ჰამად ალ-თანიმ¹⁰ სირიის ხელისუფლებას დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის წინადადებით მიმართა, რომელიც კატარის მხარის ინიციატივით იყო შეწყვეტილი. დამასკომ საპასუხოდ განაცხადა, რომ კატარისგან რეალურ ნაბიჯებს ელის, რითაც დაადასტურებენ მონდომებას ურთიერთობების ნორმალიზებისათვის.

სირიის ხელისუფლების გამოთვლით, ქვეყნის სამოქალაქო თუ საჯარო სექტორისთვის სამხედრო მოქმედებებით მიყენებული ზარალი 16.5 მილიარდ დოლარს აღწევს.

სირიის სამოქალაქო ომი ნეგატიურ გავლენას ახდენს **ლიბანზე**. ქვეყნის ჩრდილოეთით, ქალაქ ტრიპოლიში კვლავ გრძელდება შეიარაღებული შეტაკებები ასადის მომხრე ალავიტებსა და სირიის ლიდერის მოწინააღმდეგე ადგილობრივ სუნიტებს შორის.

კვლავ რთულია **ეგვიპტის** შიდაპოლიტიკური ვითარება. გრძელდებოდა დაპირისპირება ხელისუფლებასა და მურსის მხარდმჭერებს შორის. იყო ექსტრემისტების მხრიდან უსაფრთხოების ძალების, სამხედრო და სხვადასხვა სახელისუფლებო ობიექტებზე თავდასხმის ფაქტებიც. 7 ოქტომბერს ქვეყნის რამოდენიმე რაიონში ტერაქტების სერიები განხორციელდა. სინას ნახევარკუნულზე კვლავ გრძელდება შეიარაღებული წინააღმდეგობა არმიასა და ექსტრემისტული დაჯგუფებებს შორის. განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება 4 ნოემბერისთვის დანიშნული მ. მურსის სასამართლო პროცესთან დაკავშირებით. ჩამოგდებული პრეზიდენტის მომხრეებმა, ძირითადად „მუსლიმი ძმებისა“ და სხვა ისლამისტური ორგანიზაციის აქტივისტებმა, საპროტესტო გამოსვლები გამართეს. 28 და 30 ოქტომბერს კაიროს ისლამური უნივერსიტეტის „ალ-აზჰარის“ სტუდენტებმა ქვეყნის დედაქალაქში მასობრივი არეულობები მოაწყვეს. 30 ოქტომბერს სტუდენტების გამოსვლები მოეწყო ალესანდრიის უნივერსიტეტშიც. აქციები არეულობაში გადაიზარდა და პოლიციასთან შეტაკებით დასრულდა. სასამართლო პროცესის პარალელურად, ეგვიპტის ხელისუფლებას უსაფრთხოების ზომების გაძლიერება მოუხდა სუეცის არხის ტერიტორიისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტების დასაცავად.

ოქტომბრის დასაწყისში ამერიკის ადმინისტრაციამ ეგვიპტისთვის სამხედრო დახმარების შემცირების შესახებ გააკეთა განცხადება, სანამ არ მოხდება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებით დემოკრატიული ხელისუფლების ჩამოყალიბება. კონკრეტულად საქმე ეხება ეგვიპტისთვის 260 მლნ დოლარის ღირებულების მძიმე შეიარაღების მიწოდებას.¹¹ როგორც ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, ეგვიპტე „არ ვითარდება სწორი მიმართულებით“. ექსპერტთა აზრით, სწორედ ამის დემონსტრირება მოახდინა ვაშინგტონმა, როდესაც კაიროს სამხედრო დახმარება შეუმცირა. ჯონ კერის განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება ეგვიპტესთან კავშირის გაწყვეტას არ გულისხმობს. ამასთან, ამერიკა განაგრძობს ეგვიპტის დახმარებას სასაზღვრო კონფლიქტების, ტერორიზმთან ბრძოლისა და უსაფრთხოების სფეროში. ასევე გაგრძელდება ეგვიპტელი სამხედროების სწავლება და მომზადება.

დახმარების შემცირებიდან 1 კვირაში ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნაბილ ფაჰმომ განაცხადა, რომ ეგვიპტისა და ამერიკის ურთიერთობებში კრიზისული ვითარება შეიქმნა, რომლის გაგრძელებაც ნეგატიურად აისახება მთლიანად რეგიონსა და ამერიკის ინტერესებზე.

¹⁰ ან თამიმ ბინ ჰამად ას-სანი

¹¹ მისაწოდებელ ტექნიკაში შედიოდა: "Abrams" M1A1 ტანკები, ტაქტიკური გამანადგურებელი Fighter F-16, საბრძოლო ვერტმფრენები AH-64d «Apache Longbow» და ანტისაჰომალდე რაკეტები, როგორიცაა მაგ, „Harpoon“.

გასულ თვეს ეგვიპტის დროებითი პრეზიდენტი ადლი მანსურიმ პირველი უცხოური ვიზიტი მოაწყო საუდის არაბეთსა და იორდანიაში.

არასტაბილური ვითარებაა **ლიბიაში**. მუამარ კადაფის რეჟიმის დამხობიდან 2 წლის შემდეგაც, ახალი ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ გამოუვლენია ქვეყანაში წესრიგი დამყარების სათანადო უნარი. მოქმედებებს განაგრძობენ ლიბიის ყოფილი მილიციის ჯგუფები. მათ შორის რადიკალი ისლამისტები, რომლებიც არ ემორჩილებიან ცენტრალურ ხელისუფლებას და საკუთარ კანონებს აწესებენ მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. განსაკუთრებით შემამოფოთებელია მდგომარეობა ბენგაზიში, სადაც ექსტრემისტები რეგულარულად ახდენენ ჯარის ოფიცრებსა და პოლიციაზე თავდასხმას, აწყობენ აფეთქებებს სამთავრობო დაწესებულებებთან. შესამჩნევია ზოგადი კრიმინოგენური მდგომარეობის გაუარესება მთელს ქვეყანაში, მათ შორის დედაქალაქ ტრიპოლიშიც. ევროკავშირში მიიჩნევენ, რომ ლიბიის მესაზღვრეების დასახმარებელი მრჩეველთა მისია წარუმატებლობისთვისაა განწირული, რადგან ქვეყანაში აშკარად შეიმჩნევა უსაფრთხოებისა და სახელმწიფოს ცენტრალიზებული მმართველობის ეფექტურობის პრობლემა.

10 ოქტომბერს ტრიპოლიში ისლამისტმა მებრძოლებმა ქვეყნის პრემიერ მინისტრი ალი ზეიდანნი გაიტაცეს, თუმცა რამდენიმე საათში უკან დააბრუნეს შემთხვევის ადგილზე. გატაცების მიზეზად პრემიერის მიერ „სახელმწიფოსა და ქვეყნის უსაფრთხოების წინაშე ჩადენილი დანაშაული“ და ასევე ამერიკის სპეცრაზმის მიერ „ალ-ქაიდას“ ერთ-ერთი ლიდერის, ა. ალ-ლიბის გატაცების ოპერაციაში მიღებული მონაწილეობა დასახელდა. თავად ზეიდანმა განთავისუფლების შემდეგ მისი გატაცება სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობად შეაფასა. მომხდარმა ფაქტმა კიდევ ერთხელ აჩვენა ლიბიაში არსებული არასტაბილური ვითარება და მოქმედი ხელისუფლების სისუსტე უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში.

2 ოქტომბერს ლიბიაში რუსეთის საელჩოზე შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. ერთ-ერთი ვერსიით, აგრესიის მიზეზი რუსი ქალბატონის მიერ ლიბიელის მკვლელობა იყო. თავდამსხმელები ამ გზით შეეცადნენ რევანშის აღებას. ლიბიის დროებითი მთავრობის ხელმძღვანელმა ალი ზაიდანმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა მუჰამად აბდულაზიზმა თავად მოინახულეს საელჩო. ლიბიის ხელისუფლების წარმომადგენელთა განაცხადებით, ვინაიდან ვერ ხერხდება დიპლომატიებისა და მათი ოჯახების დაცვა, ისინი მოუწოდებენ მისიის ყველა წევრს დატოვონ ქვეყანა. საელჩოს თანამშრომლები უკვე ევაკუირებული არიან ქვეყნიდან. რუსეთმა ლიბიური მხარისგან ოფიციალური მობოდიშებაც მიიღო. მოსკოვმა თავის მოქალაქეებს მოუწოდა თავი შეიკავონ ლიბიაში გამგზავრებისგან. ლიბიურ მხარესთან სამუშაო კონტაქტების შესანარჩუნებლად რუსი დიპლომატების ჯგუფი დროებით თუნისში გააგრძელებენ მუშაობას.

ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარე კირენაიკას თვითგამოცხადებული ავტონომიაში კი 25 ოქტომბერს საკუთარი ხელისუფლების (24 მინისტრისგან შემდგარი) შექმნის თაობაზე გააკეთეს განცხადება. შედარებით ადრე, 22 ოქტომბერს ყოფილი „რევოლუციონერი“ ბოვეიკების ჯგუფი ლიბიის დროებითი პარლამენტის შენობაში შეიჭრა და დაარბია. მებრძოლების განცხადებით, ამ ქმედებით მათ მოქმედი ხელისუფლების პოლიტიკა გააპროტესტეს, რადგან „მათ ინტერესებს არ ეთმობა საკმარისი ყურადღება“. ნატო-ს მიერ გავრცელებული განცხადებით, ლიბიის ხელისუფლებისთვის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში დახმარების აღმოსაჩენად უკვე დაიწყო მრჩეველთა მისიის შექმნა. ნიშნადობლივია, რომ მისია ბრიუსელში განთავსდება და მის მონაწილეებს არ მოუწევთ მუდმივად ლიბიის ტერიტორიაზე ყოფნა.

თუნისში 5 ოქტომბერს მმართველმა ისლამისტურმა პარტიამ „ან-ნაჰდამ“ ოპოზიციასთან ერთად ხელი მოაწერა ქვეყნის პოლიტიკური კრიზისიდან გამოსაყვან „საგზაო რუკას“ („Road Map“). დოკუმენტის მიხედვით, 3-4 კვირის განმავლობაში უნდა მომხდარიყო ახალი მთავრობის ფორმირება, რომელშიც უნდა შესულიყვნენ დამოუკიდებელი ფიგურები, მოქმედი კაბონეტი კი, „ან-ნაჰდის“ ხელმძღვანელობით, უნდა გადამდგარიყო. ქვეყნის ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნის ვადად 11 დეკემბერი განისაზღვრა.

25 ოქტომბერს მოქმედმა მთავრობამ და ოპოზიციამ მოლაპარაკებები გამართეს გარდამავალი უპარტიო ხელისუფლების მოწყობაზე, რომელმაც 2014 წელს ქვეყანაში საყოველთაო არჩევნები უნდა ჩაატაროს. მოლაპარაკებების დაწყების წინ პრემიერ-მინისტრმა ალი ლარაიედმა, ოპოზიციის მოთხოვნის საფუძველზე, წერილობითი პირობა დადო, რომ 3 კვირის განმავლობაში დაითხოვდა მოქმედ მთავრობას. დიალოგს წინ უსწრებდა ოპოზიციური პარტიების მასობრივი დემონსტრაციები დედაქალაქსა და სხვა რაიონებში. დემონსტრანტები ლარაიედის მთავრობის გადაყენებას ითხოვდნენ.

როგორ მალევე გაირკვა, ოპოზიციისა და ან-ნაჰდას მოლაპარაკებები ქვეყნის დროებითი მმართველის პოსტზე დასაყენებელ კანდიდატზე უშედეგოდ დასრულდა. ამიტომ თუნისის მთავრობის მიერ 3 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილებით, საგანგებო მდგომარეობა ქვეყანაში 2014 წლის ივნისამდე შენარჩუნდება.

კვლავ მძიმეა ვითარება ქვეყნის დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში, ალჟირის საზღვრის სიახლოვეს, სადაც შეიარაღებული ისლამისტური დაჯგუფებები გააქტიურდნენ. თუნისის არმია და ეროვნული გვარდია ექსტრემისტების წინააღმდეგ სპეცოპერაციებს ატარებენ.

ამ მოვლენებთან დაკავშირებით **ალჟირის** შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ საზღვართან დამატებითი ძალები გადასხა: 12 ათასი კაცი სპეცნაზმისა და ჟანდარმერიის შემადგენლობიდან, ბრონირებული ტექნიკა და საბრძოლო ვერტმფრენები. ისლამური ბანდფორმირებებისთვის თვალყურის დევნის მიზნით ალჟირელმა სამხედროები თავიანთ თუნისელ კოლეგებთანაც თანამშრომლობენ. ამასთან დამატებითი ძალები გაიგზავნა ლიბიის სასაზღვრო რაიონშიც.

როგორც 26 ოქტომბერს ალჟირის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის მიერ გახდა ცნობილი, 76 წლის აბდელაზიზ ბოუტეფლიკა პრეზიდენტის პოსტზე მეოთხე ვადით აპირებს კენჭი იყაროს.¹² ალჟირის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები 2014 წლისთვისაა დაგეგმილი.

იემენის სამხრეთით მდებარე ერთ-ერთი მსხვილ ქალაქ ადენში ადგილობრივი სეპარატისტების მრავალათასიანი დემონსტრაცია მოეწყო. დემონსტრანტები რეგიონის დამოუკიდებლობის აღდგენას ითხოვდნენ და სამხრეთელებს ეროვნული დიალოგის კონფერენციაში მონაწილეობისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებდნენ.

გართულებული მდგომარეობაა იემენის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშიც, სადაც საუდის არაბეთის საზღვართან სიახლოვეს დასახლებულ პუნქტ დამაჯში შეიარაღებული შეტაკებები განახლდა შიიტ ჰაუსისტებსა და სუნიტ ფუნდამენტალისტებს - სალაფიტებს შორის. დაპირისპირების შედეგად 58 ადამიანი დაიღუპა, 200-მდე კი დაიჭრა. ხელისუფლების მცდელობა

¹² პირველად ეს პოსტი დაიკავა 1999 წელს, მეორე ვადით აირჩა 2004 წელს, მესამედ კი - 2009 წელს.

მხარეებს შორის კონფლიქტი მოაგვაროს, ჯერჯერობით უშედეგოა. ბრძოლების რაიონში არმიის დამატებითი ქვედანაყოფი გაიგზავნა.

მაროკოში 10 ოქტომბერს ქვეყნის მთავრობის ახალი შემადგენლობა დასახელდა. პრემიერ-მინისტრის პოსტი სამართლიანობისა და განვითარების ისლამისტური პარტიის ლიდერმა, აბდელილ ბანკირანმა შეინარჩუნა. მინისტრთა ახალი კაბინეტის ფორმირება მას შემდეგ გახდა აუცილებელი, რაც ივლისში მმართველი კოალიცია ეროვნულ-კონსერვატულმა პარტიამ „ისტოიკლალმა“ დატოვა. ხელისუფლებაში ისლამისტების ახალ მოკავშირე კი „დამოუკიდებლობის ეროვნული ასოციაციის“ პარტია გახდა, რომელსაც რამდენიმე საკვანძო პორტფელი ერგო. ამ ცვლილებებით ქვეყანაში რამდენიმეთვიანი პოლიტიკური კრიზისი დასრულდა.

ოქტომბერის ბოლოს მაროკომ კონსულტაციისთვის ალჟირიდან ელჩის გამოწვევა გადაწყვიტა. დემარშის მიზეზად ალჟირის მხრიდან მაროკოს მიმართ სამეფოს პროვინციის - საჰარის საკითხზე პროვოკაციული და საზიანო ქმედებები გახდა.

საქმე ეხება ალჟირის პრეზიდენტის აბდალაზიზ ბოუტეფლიკას განცხადებას, რომელშიც მან აღნიშნა, რომ ამჟამად, ისე როგორც არასდროს, აუცილებელია სამხრეთ საჰარაში შეიქმნას ადამიანის უფლებების მონიტორინგის ქმედითი მექანიზმი. ამ მიზნის განსახორციელებლად ბოუტეფლიკამ „დასავლეთ საჰარაში გაეროს სამშვიდობო მისიის მანდატის გაფართოების აუცილებლობაზე“ ისაუბრა. მისი მოწოდება დასავლეთ საჰარაში გაეროს მისიის მანდატის გაფართოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ზედამხედველობის შესახებ მაროკოში ალჟირის მხრიდან მტრულ მოქმედებად შეაფასეს - ვითარების გამწვავებისა და სტატუს-კვოს შენარჩუნებისკენ მიზანმიმართულ ნაბიჯად აღიქვეს. ალჟირმა უკვე გამოთქვა მწუხარება მაროკოს მიერ ელჩის გაწვევის გამო.

ოქტომბრის ბოლო კვირას **ერაყის** პრემიერ მინისტრი ნური ალ-მალიქი ოფიციალური ვიზიტით ამერიკაში იმყოფებოდა. პრეზიდენტ ობამასთან შეხვედრის მთავარი განსახილველი თემა ტერორიზმთან ბრძოლა და ერაყსა და სირიაში მიმდინარე მოვლენები იყო. ვაშინგტონი დათანხმდა ბაღდადის თხოვნას, ტერორიზმთან საბრძოლველად შეიარაღების მიწოდების გაზრდასთან დაკავშირებით. თუმცა, ამერიკულმა მხარემ იქვე აღნიშნა, რომ საბრძოლო მასალები გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ კანონის სრული დაცვით. ობამამ ალ-მალიქს ასევე შემდგომი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდა ერაყში დემოკრატიული სისტემის შესაქმნელად.

სუდანში ანტისამთავრობო გამოსვლებმა იკლო, მაგრამ ვერ ხერხდება შეთანხმების მიღწევა მეზობელ **სამხრეთ სუდანთან** რიგ საკამათო საკითხებზე.

მნიშვნელოვანი შედეგების გარეშე დასრულდა 22 ოქტომბერს სუდანის პრეზიდენტის ომარ ალ-ბაშირის ვიზიტი ჯუბაში. მხარეებმა ვერ შეძლეს შეთანხმების მიღწევა ნავთობით მდიდარი აბიეის სადავო რაიონზე. ორივე მხარე თანხმდება, რომ რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს აბიეის ადმინისტრაციის, ადგილობრივი საბჭოსა და საპოლიციო ორგანოს შექმნა. ამასთან, მათ დაადასტურეს, რომ რეგიონის ნავთობიდან მიღებული წლიური შემოსავლების 2 პროცენტი უნდა გამოეყოს ადგილობრივ ადმინისტრაციას. 27 ოქტომბერს აბიეიში ადგილობრივმა დინკ ნგოკის ტომმა რეგიონის სტატუსთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩაატარა. თუმცა, რეფერენდუმის შედეგები უკანონოდ სცნეს აფრიკულმა კავშირმა და თავად მოდავე მხარეებმაც - სუდანმა და სამხრეთ სუდანმა. როგორც ცნობილია, კენჭისყრაში მონაწილეთა დიდი უმრავლესობა მხარს

უჭერდა აბიეის სამხრეს სუდანის შემადგენლობაში ყოფნას. რეფერენდუმში არ მიუღია მონაწილეობა რეგიონის მეორე უმსხვილეს ტომს - მისერიას, რომელმაც ასევე არ აღიარა შედეგები.

ოქტომბერში არაბთა გაერთიანებულ საამიროებში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა ეგვიპტის დროებითი პრემიერ-მინისტრი ჰაზემ ალ-ბაბლაუი. როგორც ვიზიტის შემდგომ გახდა ცნობილი, საამიროებმა ეგვიპტეს ფინანსური დახმარება 4,9 მილიარდ დოლარამდე გაუზარდა.

ოქტომბერში საუდის არაბეთი პირველად აირჩიეს გაერო-ს უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრად 2014-2015 წლებისთვის. თუმცა ყველასგან მოულოდნელად, 18 ოქტომბერს საუდის არაბეთმა დროებით წევრობაზე უარი განაცხადა. როგორც სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული, ეს ნაბიჯი გადადგმულ იქნა “ორმაგი სტანდარტების“ პოლიტიკისა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს საკვანძო საერთაშორისო პრობლემებზე არაეფექტური მუშაობისადმი პროტესტის გამოსახატავად. კონკრეტულად კი ხაზგასმული იყო გაერო-ს უუნარობა ომების შეწყვეტის და კონფლიქტების მოგვარების საკითხებში. სამეფომ ასევე წამოაყენა უშიშროების საბჭოს რეფორმის მოთხოვნა, თუმცა განცხადებაში არ ყოფილა მითითებული კერძოდ რა ტიპის რეფორმა იგულისხმებოდა. საუდის არაბეთს მხარდაჭერა გამოუცხადეს ეგვიპტე, კატარმა, ბაჰრეინმა, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა, პალესტინის ეროვნულმა ადმინისტრაციამ და ისლამურ სახელმწიფოთა ორგანიზაციამ. იმავე დროს გაერო-ში არაბულ ქვეყნების ჯგუფმა საუდის არაბეთს თხოვნით მიმართა გადაესინჯა თავისი გადაწყვეტილება და არ ეთქვა უარი. აღსანიშნავია, რომ გაერო-ს გენმდივანს, პან გი მუნს ჯერაც არ მიუღია საუდის არაბეთისგან ოფიციალური დოკუმენტი წევრობის უარყოფაზე. გავრცელებული ინფორმაციით, გაეროში უშიშროების საბჭოს დროებით წევრად საუდის არაბეთს იორდანია ჩაანაცვლებს.

ოქტომბრის მიწურულს საუდის არაბეთის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა, პრინცმა ბ. ბინ სულტანმა დასავლელ დიპლომატებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ სულ მალე ერ-რიადი ვაშინგტონთან ურთიერთობების გადახედვით „არსებითად შეცვლის საგარეო პოლიტიკის კურსს“. როგორც ჩანს, ეს დამოკიდებულება განაპირობა ამერიკის უარმა საუდის არაბეთის სამეფოს ინტერესების შესაბამისად ემოქმედა ახლო აღმოსავლეთში. კერძოდ, საუდის არაბეთი უკმაყოფილოა „ამერიკის უმოქმედოობით სირიაში“, წარუმატებელი პოლიტიკით პალესტინა-ისრაელის საკითხში და ასევე ბაჰრეინში შიიტი ამბოხებულების ჩახშობასა და სამეფოსთვის მხარდაჭერის არაღმოჩენით. ამასთან, ექსპერტების უმეტესობა თვლის, რომ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად ძლიერადაა საუდის არაბეთი ამერიკაზე დამოკიდებული (ეკონომიკურ, სამხედრო თუ პოლიტიკურ ასპექტებში), ნაკლებად სავარაუდოა ვაშინგტონთან ურთიერთობებს სერიოზულად გაფუჭება აწყობდეს. თავის მხრივ, ჯონ კერიმაც აღიარა, რომ ამერიკის საუდის არაბეთთან ურთიერთობას არც თუ კარგი დრო უდგას, თუმცა ვაშინგტონი უწინდებურად აფასებს თავის მოკავშირეს. 4 ნოემბერს ამერიკის სახელმწიფო მდივნის ერ-რიადში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გამართული შეხვედრის შემდეგ ორივე მხარემ განაცხადა, რომ საუდის არაბეთი და ამერიკა ორ მეგობარ სახელმწიფოდ რჩებიან და კვლავ განაგრძობენ თანამშრომლობას.

საინტერესოა ის სამომავლო შედეგები, რაც ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვიზიტს მოჰყვება რეგიონში. ჯონ კერის ახლო აღმოსავლეთის ტურის ფარგლებში გამართული ოფიციალური

შეხვედრები ეგვიპტეში, საუდის არაბეთში, იორდანიაში, ისრაელში, პალესტინაში, არაბთა გაერთიანებულ სამიროებში, ალჟირსა და მაროკოში, სავარაუდოდ მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ამ ქვეყნების როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაზე.

გამოყენებული მასალები:

<http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/middleeast/syria/10412114/Syria-Assad-fires-deputy-PM-for-overstepping-duties-after-meeting-US-officials.html>
<http://www.theguardian.com/world/2013/oct/22/syria-rebels-geneva-peace-conference-assad>
<http://news.yahoo.com/un-arab-league-representative-meet-syrian-president-110809261.html>
<http://www.iimes.ru/?p=18636#more-18636>
<http://www.iimes.ru/?p=18525#more-18525>
<http://www.iimes.ru/?p=18482#more-18482>
<http://www.iimes.ru/?p=18445#more-18445>
<http://www.reuters.com/article/2013/10/24/us-syria-crisis-tripoli-idUSBRE99N0JV20131024>
http://www.nytimes.com/2013/10/10/world/middleeast/obama-military-aid-to-egypt.html?_r=1&
<http://www.reuters.com/article/2013/10/16/us-egypt-usa-idUSBRE99F07220131016>
<http://madamasr.com/content/mansour-makes-first-official-visit-saudi-arabia-jordan>
<http://www.theguardian.com/world/2013/oct/10/libyan-prime-minister-ali-zeidan-freed-kidnap>
<http://www.reuters.com/article/2013/10/02/us-libya-embassy-attack-idUSBRE99112020131002>
<http://www.aawsat.net/2013/10/article55318492>
<http://www.dw.de/tunisias-ennahda-agrees-to-make-way-for-transitional-government/a-17137479>
<http://english.alarabiya.net/en/News/middle-east/2013/10/26/Algeria-s-ailing-President-Bouteflika-will-run-for-fourth-term.html>
<http://english.alarabiya.net/en/News/2013/10/10/Morocco-s-King-Mohamed-VI-appoints-new-Islamist-led-government.html>
<http://gulfnews.com/news/region/morocco/morocco-withdraws-ambassador-from-algeria-1.1249491>
<http://www.reuters.com/article/2013/10/30/us-iraq-usa-maliki-idUSBRE99T1FA20131030>
<http://www.sudantribune.com/spip.php?article48645>
<http://www.dailynewsegypt.com/2013/10/27/egypt-expects-more-gulf-aid-following-package-with-uae-el-beblawi/>
<http://news.yahoo.com/saudi-arabia-rejects-seat-un-security-council-090849059.html>
<http://news.yahoo.com/arab-states-call-arabia-rethink-un-protest-181747342.html>
http://www.washingtonpost.com/world/middle_east/kerry-says-saudi-arabia-the-senior-player-in-mideast-as-he-seeks-to-bridge-gaps-with-riyadh/2013/11/04/74065856-4534-11e3-95a9-3f15b5618ba8_story.html

სირიის კრიზისი და თურქეთის პოზიცია

2003 წლის ერაყის ომიდან ათი წლის შემდეგ სამხედრო ინტერვენცია ახლო აღმოსავლეთში კვლავ აქტუალურია. 2013 წლის 21 აგვისტოს, დამასკოსთან ახლოს, ქიმიური იარაღის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოყენებამ, საერთაშორისო საზოგადოება სირიის წინააღმდეგ გაააქტიურა.

თურქეთი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ოფიციალურ ვაშინგტონს სამხედრო დახმარება შესთავაზა სირიაში შესაძლო ინტერვენციის შემთხვევაში. განხილულ იქნა რამოდენიმე შესაძლო მოდელი და თურქეთის მოსალოდნელი როლი ნატოს ოპერაციებში, თუმცა საუბარი არ ყოფილა რომელიმე ერთ კონკრეტულ ვარიანტზე.

სამოქალაქო ომი სირიაში თითქმის ორი წელიწადია მიმდინარეობს, რასაც დაახლოებით 100 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო მოსახლეობის მეოთხედი იძულებული გახდა საცხოვრებელი ადგილი დაეტოვებინა. ლტოლვილთა დიდი ნაწილი, ნახევარ მილიონამდე ადამიანი, დღეს თავს თურქეთს აფარებს.

არაბული გაზაფხულის დაწყებისთანავე, თურქეთი დიდ ყურადღებას უთმობდა რეგიონში მიმდინარე მოვლენებს. გამყარებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მიუხედავად, 2011 წელს თურქეთი გაემიჯნა სირიის მმართველ ხელისუფლებას და ბაშარ ალ-ასადს გადადგომისკენ მოუწოდა.

სირიაში მიმდინარე მოვლენები თურქეთისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. სირიაზე გადის ის სავაჭრო-ეკონომიკური გზები, რაც აკავშირებს თურქეთს არაბულ ბაზართან. შესაბამისად, ნებისმიერი დესტაბილიზაცია ქვეყნის შიგნით საფრთხეს უქმნის თურქეთის წარმატებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია აგრეთვე "ქურთული საკითხი". თურქეთის რესპუბლიკის არსებობის მანძილზე ეს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული საშინაო პრობლემაა და მთავარი დაბრკოლებაა ევროპულ ინსტიტუტებში ინტეგრაციის გზაზე. ქურთები თურქეთის ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ, შესაბამისად ქურთების მოთხოვნები აღიქმება, როგორც უდიდესი საფრთხე ერთგვაროვანი თურქული სახელმწიფოს არსებობისათვის. ქურთული მოსახლეობა, რომელიც რეგიონში თურქეთის გარდა სირიას, ირანსა და ერაყშია განსახლებული, თვითგამორკვევის, პოლიტიკური წარმომადგენლობის და თვითმყოფადობის აღიარებისაკენ მიისწრაფის. "ქურთული საკითხი" ყოველთვის ახდენდა გავლენას ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობებზე, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში მან განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა. სირიაში განვითარებულმა პროცესებმა შეიძლება მთელი რეგიონის დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. თურქეთს არ აწყობს არანაირი არეულობა საკუთარ საზღვრებთან, მით უმეტეს თუ ეს საფრთხეს უქმნის ქვეყნის ერთიანობას.

თურქეთი აქტიურად უჭერს მხარს სირიისში ყველაზე დიდ ქურთულ პარტიას – გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიას (PYD). პარტიის ლიდერი, სალექ მუსლიმ მოჰამედი, რამოდენიმე თვის წინ სტუმრობდა თურქეთს. შეხვედრისას განიხილეს სასაზღვრო ზოლის

კონტროლთან დაკავშირებული საკითხები, თურქეთმა ასევე მოუწოდა ქურთებს ასადის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურობისაკენ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაერთიანებული დემოკრატიული პარტია არ არის ერთადერთი მოთამაშე ჩრდილოეთ სირიაში. მრავალრიცხოვან დაჯგუფებებს შორის ყურადღებას იმსახურებს „ალ-ნუსრას ფრონტი“, რომელიც ალ-კაიდასთანაა დაკავშირებული. რეგიონში ამ უკანასკნელის პოზიციების გამყარებას თურქეთი სიფრთხილით უყურებს. თავის გამოსვლაში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, აჰმედ დავუთოღლუმ ხაზი გაუსვა, რომ თურქეთი ერთნაირად შეურიგებელი იქნება ნებისმიერი დაჯგუფების, იქნება ეს ქურთული თუ არაბული, ყველა იმ ნაბიჯის მიმართ, რაც საფრთხეს შეუქმნის თურქეთს.

იმის მიუხედავად, რომ ოფიციალურმა ანკარამ მხარი დაუჭირა სირიაში ინტერვენციას, ქვეყნის შიგნით ამ საკითხთან დაკავშირებით მიდგომა არაერთგვაროვანია. თურქეთის ოპოზიცია არ ეთანხმება მთავრობის გადაწყვეტილებას მუსლიმური ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობის შესახებ. გამოკითხვების მიხედვით, მთავრობის ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგია მოსახლეობის ნახევარზე მეტი.

თურქული საზოგადოება ყოველთვის მტკივნეულად განიცდიდა დასავლეთის ინტერვენციას მუსლიმურ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის ფარგლებში. მთავრობის მიერ აშშ-ს აქტიური მხარდაჭერა საზოგადოებაში უარყოფითად აღიქმება, შესაძლოა ამ გადაწყვეტილებებს კვლავ მოჰყვეს ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები.

აშშ-სათვის თურქეთი ძლიერი პარტნიორია. იგი აქტიურად უჭერს მხარს ასადის რეჟიმის დასჯის იდეას, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთი მხარს უჭერს ისეთ გეგმას, სადაც ლოგიკური დასასრული ასადის რეჟიმის ჩამოგდება იქნება.

სირიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის ინიცირების მიუხედავად, თეთრ სახლს დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ქვეყნის შიგნითაც. სექტემბრის დასაწყისში გამართული შეხვედრების შემდეგ ორივე, როგორც დემოკრატიულმა, ისე რესპუბლიკურმა პარტიამ, აშშ-ის პრეზიდენტის ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მმართველ წრეებში მიღწეული შეთანხმებების მიუხედავად აშშ-ს მოსახლეობა სკეპტიკურად არის განწყობილი მოსალოდნელი ინტერვენციისადმი.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე აშშ-ს პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ კონგრესში შეიტანა წინადადება სირიის წინააღმდეგ შეზღუდული, პროპორციული სამხედრო ოპერაციის ჩატარების შესახებ.

თავის განცხადებაში ობამამ ხაზი გაუსვა, რომ ამ ოპერაციამ ნათლად უნდა დაანახოს ბაშარ ალ-ასადის რეჟიმს, ისე როგორც დანარჩენ მსოფლიოს, საერთაშორისო ნორმების დაცვის აუცილებლობა. გასააზრებელია ის ფაქტიც, რომ ქიმიური აირადის გამოყენებამ შეიძლება იმოქმედოს არა მარტო სირიაზე, არამედ ქიმიური ნივთიერებების გავრცელება მოხდეს მის საზღვრებს გარეთაც, რაც დააზარალებს აშშ-ის პარტნიორ სახელმწიფოებს, როგორიცაა ისრაელი, იორდანია, თურქეთი.

თავის მხრივ, გაეროს გენერალურმა მდივანმა საკუთარ განცხადებაში სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებას სასტიკი დანაშაული უწოდა, რომლის ჩამდენები სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგნენ. თუმცა მან იქვე დასძინა, რომ ნებისმიერი სამხედრო ოპერაცია სირიაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ გაეროს რეზოლუციის საფუძველზე.

ოფიციალური განცხადებების მიხედვით, მოსალოდნელი სამხედრო ოპერაციები მიზნად არ ისახავს რეჟიმის შეცვლას, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს მაინც რეჟიმის შეცვლა იქნება.

თურქეთი იმედოვნებს, რომ სამხედრო ინტერვენცია სირიაში ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის დამხობაში დაეხმარება. იმის მიუხედავად, რომ ოფიციალური ვაშინგტონი თავის განცხადებებში ხაზს უსვამს, რომ შესაძლო ოპერაცია სადამსჯელო ხასიათის იქნება და მისი მიზანი არავითარ შემთხვევაში არ იქნება სირიაში რეჟიმის შეცვლა, თურქეთი უფრო გადამჭრელი ზომების გამოყენებას მოითხოვს. იგი მხარს დაუჭერს ნებისმიერ ოპერაციას სირიის წინააღმდეგ, გაეროს რეზოლუციის არარსებობის შემთხვევაშიც კი.

არ არის განსაზღვრული თურქეთის როლი მოსალოდნელი სამხედრო ოპერაციებში. ექსპერტების განცხადებით აშშ-ს შეუძლია დარტყმები განახორციელოს სირიის ტერიტორიის ნებისმიერ ნაწილში საკუთარი სამხედრო ხომალდებიდან და წყალქვეშა გემებიდან, რომლებიც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთშია განლაგებული. შესაბამისად, რაში უნდა გამოიხატოს თურქეთის დახმარება, გაურკვეველია. უფრო მოსალოდნელია თურქეთმა თავის თავზე აიღოს ოფიციალურ ვაშინგტონსა და სირიის ოპოზიციას შორის შუამავლობა და აშშ-ს სირიის საზღვრიდან 100 კმ-ში მდებარე ინჯირლიქის სამხედრო ბაზის გამოყენების უფლება მისცეს საჭირო დარტყმებისათვის.

ექსპერტების უმრავლესობა თანხმდება იმ აზრზე, რომ რთული წარმოსადგენია თურქეთის მონაწილეობა სამხედრო ოპერაციებში სირიის წინააღმდეგ, მითუმეტეს მოსახლეობის ასეთი უარყოფითი დამოკიდებულების ფონზე. უფრო მოსალოდნელია, რომ თურქეთი მხოლოდ ლოგისტიკურ დახმარებას გაუწევს ნატო-ს ძალებს და მისცემს მათ თურქეთის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების გამოყენების უფლებას.

უმნიშვნელოვანესია ინჯირლიქის საჰაერო ბაზა, რომელიც სირიის საზღვართან ახლოს მდებარეობს. ბაზას უკვე ათწლეულებია აშშ-ს სამხედრო შენაერთები იყენებენ. იმის მიუხედავად, რომ ოფიციალური ანკარა მზადაა მისცეს აშშ-ს საჰაერო სივრცითა და ბაზებით სარგებლობის უფლება, შესაძლო სამხედრო ოპერაციები თურქეთისათვის გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. თურქეთი შიშობს, რომ აშშ-ს შეზღუდული სამხედრო ოპერაციები სირიას საპასუხო დარტყმების საშუალებას დაუტოვებს.

ასეთი საპასუხო დარტყმა შეიძლება ორი სახის იყოს. თეორიულად თურქეთი პოტენციური სამიზნეა სირიის ქიმიური იარაღისათვის. უფრო რეალურია - ტერორიზმი. მაისში რეიჰანლიში მომხდარი აფეთქებები ყველაზე საშინელი იყო თანამედროვე თურქეთის ისტორიაში. ამ ტერორისტულ აქტს, რომელშიც თურქეთმა ოფიციალური დამასკო დაადანაშაულა, 50 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

აშშ-ს საჰაერო დარტყმები თურქეთს სხვა სახის ინტერვენციის განხორციელების საშუალებას მისცემს. მაგალითად სირიის საზღვრის გასწვრივ არასაფრენი ზოლის დაწესების. ეს თავისთავად დაასუსტებს სირიის ხელისუფლებას და მეტ თავისუფლებას მისცემს ამბოხებულებს.

საბოლოო ჯამში თურქეთის პოზიცია მიმდინარე მოვლენებთან მიმართებაში ცალსახაა, იგი არ არის მზად დროში გაწელილი სირიის კრიზისისათვის, შესაბამისად აქტიურად მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას სწორედ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მიმდინარე მოვლენების ფონზე თურქეთს რამდენიმე სერიოზული პრობლემა აქვს. ერთი - სასაზღვრო ზოლში მდებარე ქალაქების სოციალური მდგომარეობა. იქიდან გამომდინარე, რომ

თურქეთი აქტიურად ეხმარება ალავიტებსა და ჯიჰადისტებს ასადის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეს მოძრაობები საგრძნობლად გააქტიურდნენ სირიის მოსახლურ რეგიონებშიც, რაც ფართომასშტაბიანი არეულობით ემუქრება თურქეთს.

მეორე - ლტოლვილთა დღითიდღე მზარდი რიცხვი. თურქეთის დამოკიდებულება ამ საკითხთან კიდევ უფრო გაურკვეველია. მთავრობა სირიიდან მოსახლეობის მოდინებას დროებით მოვლენად აღიქვამს, იმის იმედით, რომ სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ თითოეული მათგანი საკუთარ საცხოვრებელ ადგილს დაუბრუნდება. შესაბამისად რაიმე ჩამოყალიბებული გეგმა ამ მიმართულებით თურქეთს არ გააჩნია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თურქეთის მთავრობის პოზიცია სირიის კრიზისის მიმართ ზედმეტად ცალსახაა. არსებულ სიტუაციაში ალბათ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა თურქეთს კონტაქტი დაემყარებინა ახლო აღმოსავლეთის ყველა მოთამაშესთან, მათ შორის არასამთავრობოსთანაც და დიპლომატიური გზებით მოეხდინა ზეწოლა ბაშარ ალ-ასადზე.

სირიის კრიზისი გავლენას იქონიებს თურქეთის შიდაპოლიტიკურ მდგომარეობაზეც, განსაკუთრებით სერიოზული დაბრკოლება ამ უკანასკნელმა შეიძლება შეუქმნას ერდოღანს. თურქეთის მოსახლეობა სკეპტიკურადაა განწყობილი სირიის მიმართ ხელისუფლების პოზიციისადმი, იგი აგრეთვე უკმაყოფილოა აშშ-ს პოლიტიკით რეგიონში. შესაბამისად თურქეთის მთავრობის მიერ ოფიციალური ვაშინგტონის ამგვარი მხარდაჭერა კიდევ უფრო მეტ გაღიზიანებას იწვევს მასებში. მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერსპექტივით ოფიციალური ანკარის ამ პოზიციამ შესაძლოა ერდოღანის წინააღმდეგ იმოქმედოს არჩევნებში.

სახელმწიფო და კინო ირანში

ირანი ახლო აღმოსავლეთისა და მუსლიმური სამყაროს ქვეყნებში გამორჩეულ ადგილს იკავებს არა მხოლოდ პოლიტიკური და რელიგიური სპეციფიკურობით, არამედ მდიდარი კულტურული ტრადიციებით. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის მიწურულიდან მსოფლიოს ყურადღებას ირანული კინო იპყრობს. ცნობილმა გერმანელმა კინორეჟისორმა, ვერნერ ჰერცოგმა, სხვა კინოკრიტიკოსებთან ერთად მე-20 საუკუნის 80-90-იანი წლების ირანული კინო შეაფასა როგორც ერთ-ერთი საუკეთესო დამწყები მხატვრულობისა და არტისტიზმის თვალსაზრისით [1], რომელიც დღეს უკვე მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ინოვაციურად ითვლება და საერთაშორისო კინოფესტივალებზეც დიდ წარმატებას აღწევს.

ირანში კინემატოგრაფიის განვითარების პირველი ნაბიჯები, მართალია, ჯერ კიდევ მე-20 ს-ის დასაწყისშივე გადაიდგა, მაგრამ მნიშვნელოვანი გარდატეხა ამ სფეროში 1960-იანი წლების ბოლოს მოხდა. სწორედ ეს პერიოდი ითვლება ირანული კინოს ე.წ. „ახალი ტალღის“ საწყისად და ათვლის წერტილად.

ნებისმიერი ქვეყნის ფილმი მისი საზოგადოების სარკეს წარმოადგენს. იგივე შეიძლება ითქვას ირანზეც. ქვეყნის დრამატული პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული ტრანსფორმაცია ფილმებზეც აისახა. „ახალი ტალღა“ თამამად შეიძლება მივიჩნიოთ 1960-იანი წლების ირანის პოლიტიკური და ინტელექტუალური მოძრაობების პირმოად. ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებთან ერთად, 1950-60-იანი წლების სპარსული ლიტერატურის ოქროს ხანაც უმეტესი რეჟისორის შთაგონების წყაროდ იქცა. კინოკრიტიკოსი აჰმად თალებინეჟადიც „ახალ ტალღას“ „ინტელექტუალურ და კულტურულ ტენდენციად“ მიიჩნევს [2].

1960-იან წლებში კინემატოგრაფიის დარგის განვითარებას ხელი ერთგვარად შაჰის „ვესტერნიზაციის“ პოლიტიკამაც შეუწყო, რომელიც ცდილობდა დასავლური ღირებულებების გასავრცელებლად და საკუთარი ძალაუფლების წარმოსაჩენად, სხვა საშუალებებთან ერთად, კინო და მედია საშუალებები გამოეყენებინა. ის ფილმები, რომლებიც რეჟიმის იდეოლოგიას ემორჩილებოდა, ხშირად შეიცავდა ინდური და ეგვიპტური ფილმების მსგავს ცეკვისა და სიმღერის სცენებს. ეს იყო ე.წ. „ფილმ-ე ფარსი“, შედარებით დაბალი ხარისხისა და ღირებულების ფილმები. აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი დღესაც მდარე ხარისხის კინოპროდუქტის აღსანიშნავად გამოიყენება.

სწორედ „ფილმ-ე ფარსის“ გვერდით დაიწყო არსებობა ახლამ ირანულმა კინომ, რომელიც სრულიად განსხვავებული მიმართულებით ვითარდებოდა და ძირითადად რეზა შაჰის ეპოქის მძიმე სოციალური ყოფის წარმოჩენაზე კონცენტრირდებოდა. 1960-იანი წლების ახალი ირანული კინო აერთიანებს ისეთი რეჟისორების ნამუშევრებს, როგორიცაა: ფორუყ ფაროხზადის „სახლი შავია“ (1964 წ.), ებრაჰიმ გოლესთანის „აგური და სარკე“ (1965), დარიუშ მეჰრჯუის „ძროხა“ (1969 წ.), მას'უდ ქიმიის „კეისარი“ (1969 წ.), სოჰრაბ შაჰიდ სალესის „ერთი უბრალო შემთხვევა“ (1973 წ.) და ა.შ. ესენი იყო სრულიად განსხვავებული სულისკვეთებით გადაღებული ფილმები, რომლებიც, რა თქმა უნდა, ხელისუფლების მხრიდან დიდ კრიტიკას იმსახურებდა და მკაცრ ცენზურასაც

გადიოდა, დაუფარავად წარმოაჩენდა რა იმ რეალობას, რომელიც თეირანის მიღმა სამყაროში არსებობდა.

ზემოთ ჩამოთვლილი ფილმებიდან ახალი ირანული კინოს ყველაზე მნიშვნელოვან ნამუშევრად დარიუშ მეჰრჯუის „ძროხა“ ითვლება, რომელიც ირანის ერთ-ერთ ჩვეულებრივ სოფელშია გადაღებული და იმავე სოფლის მაცხოვრებლების მძიმე ყოფას ასახავს [3]. ფილმი ირანელი კრიტიკოსების მხრიდან დადებითად იქნა შეფასებული, მაგრამ მისი საერთაშორისო აუდიტორიისათვის ჩვენება მხოლოდ 2 წლის შემდეგ მოხერხდა, როდესაც მან სრულად დააკმაყოფილა 1959 წელს დადგენილი ცენზურის ნორმები. ფილმის საწყისი ტიტრები კი აუწყებდა მაყურებელს, რომ მასში ასახულ მოვლენებს ირანში მხოლოდ ფაჰლავიანთა ეპოქამდე ჰქონდა ადგილი [4]. ამ ვითომ უბრალო შენიშვნით შაჰის ხელისუფლება კიდევ ერთხელ უმტკიცებდა საერთაშორისო საზოგადოებას, თუ როგორ იხსნა ირანი იმ მძიმე სოციალური პრობლემებისგან, რაც ფილმშია ასახული და როგორ განავითარა ქვეყანა. იგივე პრობლემას აშუქებს სოჰრაბ შაჰიდ სალესიც 1973 წელს გადაღებულ ფილმში „ერთი უბრალო შემთხვევა“, რასაც ასევე დადებითი გამოხმარება მოჰყვა ქვეყანაში. ფილმების შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ არც ერთ კრიტიკოსს, არც ერთ ინტელექტუალს, რომლებიც იმ დროს უკვე შაჰის მოწინააღმდეგე ძალას წარმოადგენდნენ, თავიანთ გამოხმაურებებში არ უსაბრია ფილმში გადმოცემული ფაქტების ნამდვილობაზე. შესაძლოა იმიტომ, რომ იმ პერიოდში სხვა საქმე ჰქონდათ - „მედასავლეთეობის“ წინააღმდეგ ბრძოლა, ეროვნულობის შენარჩუნება და ავთენტურ ისლამთან დაბრუნება, რის გამოც ფილმების სრულფასოვან გაშუქებაზე აღარ „კარგავდნენ“ დროს. სამაგიეროდ, რადიკალურად შეიცვალა სურათი ისლამური რევოლუციის შემდეგ, როდესაც კრიტიკოსებისათვის უკვე მნიშვნელოვანი გახდა ფილმებში ასახული მწარე რეალობის სრულფასოვანი გაანალიზება, ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე ირანელი ხალხისა და უცხოეთის საზოგადოების დაფიქრებისა თუ ხსნის გზების ძიების მიზნით.

ირანში კინემატოგრაფიის დარგის განვითარებას მუდმივი წინააღმდეგობა ხვდებოდა. 1970-იან წლებში მის მთავარ ოპონენტს სამღვდელოება წარმოადგენდა, კლერიკალები თვლიდნენ, რომ კინოს საზოგადოების მორალზე მავნე ზეგავლენის მოხდენა შეეძლო. მათ ყველაზე მეტად აღიზიანებდათ ე.წ. „ფილმ-ე ფარსის“ მოცეკვავე და მომღერალი ქალები. სამღვდელოება ხშირად საკუთარ თავზე იღებდა საზოგადოებაზე „ზრუნვას“. სწორედ ამ „ზრუნველობის“ შედეგი გახლდათ ირანში კინოთეატრების მასობრივი განადგურება (რევოლუციის დროს 436 კინოთეატრიდან 180 დაწვეს). მაგრამ, ისლამური რესპუბლიკის დაარსების შემდეგ ვითრება შეიცვალა. აიათოლა ხომეინი შაჰის მსგავსად მიხვდა, რომ კინო თავის სასარგებლოდ შეიძლებოდა გამოეყენებინა. თუკი შაჰი ფაჰლავიანთა დიდებისა და თავისი წარმატებული მმართველობის წარმოჩენას ცდილობდა ფილმების მეშვეობით, რევოლუციის შემდეგ ფილმები უკვე ისლამური იდეოლოგიის პროპაგანდისა და ხალხზე ზემოქმედების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად იქნა ხომეინის მიერ მიჩნეული.

კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების და მათ შორის კინოს გასაკონტროლებლად ხელისუფლებამ შექმნა კულტურისა და ისლამური დამოძღვრის სამინისტრო, რომელიც 1982 წელს დაარსებულ სპეციალურ კინოს განყოფილებასა და ფარაბის კინოს ინსტიტუტთან ერთად მკაცრად აკონტროლებდა აღნიშნული დარგის განვითარებას, იმას - თუ რამდენად ჯდებოდა ის ისლამის ჩარჩოებსა და რამდენად იცავდა სახელმწიფოს მიერ დადგენილ ნორმებს. ამ ორგანიზაციების

მთავარ მოქმედ ძალას რელიგიური ინტელექტუალები, შემდგომში რეფორმისტები წარმოადგენდნენ, რაც მომავალში დადებითად აისახა კინოს განვითარებაზე. რეფორმისტები, კონსერვატორებისაგან განსხვავებით, ხელს უწყობდნენ ზოგადად კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ატმოსფეროს გახსნას [4].

კინორეჟისორთა ახალმა თაობამ, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე 1980-იანი წლებიდან გამოვიდა, შექმნა თანამედროვე ირანული კულტურის ავთენტური პერსპექტივა. პოსტრევოლუციური კინოს ტრადიციმ გლობალური პატივისცემა, აღფრთოვანება და არაერთი საერთაშორისო კონკურსის პრიზი დაიმსახურა სოციალური საკითხების გაშუქებისა და მათი ღრმა, მხატვრული ანალიზის გამო.

პოსტრევოლუციური კინოს განვითარების პირველი საფეხურები, რა თქმა უნდა, თავისებური და მრავალფეროვანი იყო, რასაც პოლიტიკური და სოციალური პროცესებისა თუ რევოლუციის თაობის რეჟისორების ურთიერთობათა ცვალებადობა იწვევდა.

ზიბა მირ-ჰოსეინი თავის ნარკვევში „ირანული კინო: ხელოვნება, საზოგადოება და სახელმწიფო“ პოსტრევოლუციურ ფილმს პოლიტიკური ეპოქების შესაბამისად სამ ნაწილად ყოფს. მართლაც, ისტორიას რომ გადავხედოთ, ისლამური ირანის ისტორიაში, მოყოლებული 1979 წლიდან დღემდე, პოლიტიკური და, თუნდაც კულტურული თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან განსხვავებული პერიოდები ანაცვლებდა ერთმანეთს, რომლებიც სხვადასხვა გამოწვევების წინაშე აყენებდა რეჟისორებს და მუშაობის განსხვავებულ მეთოდებსაც სთავაზობდა მათ. აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, რომელსაც ჩვენც ვეთანხმებით, პირველი ეტაპი მოიცავს რევოლუციის შემდგომ ხანას, ირან-ერაყის ომის პერიოდს და სრულდება აიათოლა ხომეინის გარდაცვალებით. ეს პერიოდი წარმოადგენს ყველაზე უფერულ ეპოქას ირანული კინოს განვითარების ისტორიაში, კეთდებოდა რა აქცენტი მხოლოდ ომის თემატიკაზე. ამას გარდა, რელიგიური სამართლის ნორმების მიხედვით, ქალებს აკრძალავდათ ფილმებში თამაში. „ეკრანიდან საერთოდ გაქრა სიყვარული და სიბოლო“. თუმცა, ქალები კამერის მიღმა მაინც მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებდნენ და ხშირად რეჟისორის როლსაც კარგად ირგებდნენ.

ახალი ირანული კინოს პირველ ფაზაში ყველაზე მეტად დოკუმენტურმა ფილმებმა ჰპოვა განვითარება, რაც, ერთის მხრივ, განპირობებული იყო ხომეინის სურვილით, ფილმები გამხდარიყო რელიგიური შთაგონებისა და განათლების წყარო საზოგადოებისათვის, ხოლო მეორეს მხრივ კი, უნდა მომხდარიყო ომის დოკუმენტური გაშუქება, გაჟღერებულიყო საომარი თუ რელიგიური ლოზუნგები. ომის პათოსის გასაძლიერებლად, ხშირად, ფილმების მეშვეობით ხდებოდა ქერბალას ტრაგედიასთან პარალელების გავლება. თითქოს ისტორია კვლავ მეორდებოდა და ერთმანეთს კვლავ შიიტური ირანი და სუნიტური ერაყი ებრძოდნენ. ასეთი ფილმები, განსხვავებით ფაჰლავიანთა დინასტიის ეპოქისგან, ანტიარაბული რასისზმისაგან თავისუფალი იყო [6]. სახელმწიფოსათვის სასარგებლო დოკუმენტური ჟანრის განვითარებისთვის ყველაფერი კეთდებოდა. კულტურის სამინისტრო და სხვა დაქვემდებარებული ორგანიზაციები ყველანაირ პირობას უქმნიდნენ რეჟისორებს ფრონტის ხაზზე წასულიყვნენ და სრულად, მთელი სიცხადით აღებეჭდათ ომის კადრები ფირზე. მაგრამ, მხოლოდ ომის კადრები და არა ომით გამოწვეული ზარალი, ტკივილი, განცდა და ხალხის გაუსაძლისი მდგომარეობა. ამ პერიოდის ფილმებში არავინ საუბრობდა ომის შედეგებსა და იმ ტკივილზე, რომელსაც ის ტოვებდა. ამის უფლება არც არავის ჰქონდა. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ რევოლუციის შემდეგ გადაღებული ფილმების რაოდენობა

საკმაოდ მცირე გახლდათ. 1983 წელს თეირანში გამართულ ომის ფილმების ფესტივალზე ჟიურიმ განაცხადა, რომ „განსხვავებით უცხოელი დოკუმენტალისტებისაგან, რომლებიც თავიანთ ფილმებში აქცენტს მატერიალისტურ და მილიტარისტულ ასპექტებზე აკეთებენ, ირანული კინო ომის პარალელურად აჩვენებდა „სიყვარულს, სიმტკიცესა და მსხვერპლს...“ მაგრამ რეალობა ამ განცხადებისგან ძალიან შორს იდგა. ამ მოსაზრებას არც კინო-ინდუსტრიის პროფესიონალები და არც მაყურებელი არ იზიარებდა. ცნობილი კინოჟურნალში „მაჰნამე-იე სინემა-იე ფილმ“ აღნიშნული იყო: „მაშინ, როცა იტალიელმა რეჟისორებმა ომის პირობებში შექმნეს ავთენტური ნეორეალისტური კინო, ირანელებმა აქცენტი მხოლოდ ყალბი ომის თავგადასავლებზე, სენსაციონალიზმზე და ბრძოლისაკენ მოწოდების ლოზუნგებზე გააკეთეს“ [7]. მართლაც, ომის ფილმებში, დოკუმენტური იქნებოდა ეს თუ - მხატვრული, მხოლოდ რევოლუციის შედეგების გამყარება უნდა მომხდარიყო. შეიძლება ითქვას, რომ როგორც ომით, ისე კინოთი, ხომეინი ცდილობდა პოსტრევოლუციურ საზოგადოებაზე კონტროლის გამყარებას.

პოსტრევოლუციური ხანის კუთვნილებას წარმოადგენს ისეთი ორგანიზაციები როგორიც გახლდათ სახელმწიფო იდეოლოგიის განმამტკიცებელი „ოფიციალური დოკუმენტური კინო“, შეიარაღებული ძალების პოლიტიკურ-იდეოლოგიური ბიურო, ისლამური პროპაგანდის ორგანიზაცია, ბავშვებისა და მოზარდების ინტელექტუალური განვითარების ცენტრი, კულტურის სამინისტრო, ხელოვნებისა და კინოს სწავლების ისლამური ცენტრი, კინომოყვარულთა ისლამური ცენტრი, ომის პროპაგანდის ორგანიზაცია და ა.შ., რომლებიც ომის ფილმების განვითარების „სწორ მიმართულებას“ მეთვალყურეობდნენ [8].

ახალი ირანული კინოს განვითარების პირველი ფაზის დასასრულს ნელ-ნელა შემცირდა ფიკპზე დაფუძნებული რელიგიური იდეოლოგიის გავლენა ფილმებზე და მსოფლიოს ყურადღებაც ნელ-ნელა კვლავ მიიქცია ირანელი რეჟისორების შემოქმედებამ. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ბაჰრამ ბეიზაის „ბაშუ“ (1986 წ.), მოჰსენ მახმალბაფის „ხელზე მოვაჭრე“ (1987 წ.), „ბედნიერთა ქორწინება“ (1988 წ.), ამირ ნადერის „პირველი ძიება“ (1980 წ.), „მეორე ძიება“ (1981 წ.), „მორბენალი“ (1985), „წყალი, ქარი, მიწა“ (1989 წ.) და ა.შ.

ამავე პერიოდში ხდება რელიგიური ინტელექტუალებისა და ხელოვნების პოლიტიკური თუ რელიგიური ხედვის შეცვლა და თანდათანობით პოლიტიზირებულ ისლამთან დაპირისპირება. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს რევოლუციის გულმხურვალე მხარდამჭერების: რეჟისორ მოჰსენ მახმალბაფისა და რელიგიური ინტელექტუალის - აბდოლქარიმ სორუმის ტრანსფორმირება პოლიტიზირებული ისლამისა და სახელმწიფოს რელიგიური იდეოლოგიის მწვავე ოპონენტებად. [9].

1989 წელს, აიათოლა ხომეინის გარდაცვალების შემდეგ, ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანი გახდა, ხოლო რელიგიური წინამძღოლის ადგილი ალი ხამენეიმ დაიკავა. შესუსტდა ისლამის იდეოლოგიზაციის პოლიტიკა, მეტი თავისუფლება მიეცა კულტურის დარგებს და კინოს განვითარების ისტორიაშიც ე.წ. მეორე ფაზა დაიწყო. რეჟისორები ნელ-ნელა ტაბუდადებულ თემებსაც შეეხნენ. ქალისა და სიყვარული თემის ხელახალი გაშუქების პიონერობა მოჰსენ მახმალბაფმა, ფილმით „სიყვარულის დრო“ (1991 წ.), და რახშან ბანი-ეთემადიმ, ფილმით „ნარგეზი“, იტვირთეს (1992 წ.) [9].

ირანელ რეჟისორებს ფილმებზე მუშაობის ყველაზე ხელსაყრელი პირობები ახალი ირანული კინოს ე.წ. მესამე ფაზამ შესთავაზა, რომლის ათვლის წერტილად ზიბა მირ-ჰოსეინი 1997 წელს,

მოჰამად ხათამის პრეზიდენტად არჩევის წელს მიიჩნევს, როდესაც კინო გათავისუფლდა მთელი რიგი ორგანოების კონტროლისაგან. მკვლევარის აზრით, ეს ფაზა ჯერაც არ დასრულებულა და მისი საზღვრების დადგენაც ჯერ შეუძლებელია. ეს გახლავთ ყველაზე ტოლერანტული ხანა ირანელი რეჟისორებისათვის, მიეცათ რა მათ თავისუფლად მუშაობის საშუალება.

როდესაც კინოკრიტიკოსები და მკვლევარები თანამედროვე, პოსტრევოლუციური კინოს შესახებ საუბრობენ, ხშირად ადარებენ მას მე-2 მსოფლიო ომის შემდგომ იტალიურ ნეორეალისტურ კინოს. ომმა და ბრძოლამ თავისუფლებისათვის ყველას, და მათ შორის კინორეჟისორებსაც, ასწავლა „ბუნებრივი სიმდიდრის დაფასება და ჩვეულებრივი მოვლენების მნიშვნელოვნების აღმოჩენა“, – წერდა გამოჩენილი იტალიელი ნეორეალისტი თეორეტიკოსი ჩეზარე ზავატინი იტალიურ ნეორეალისტური მოძრაობის შესახებ [10]. იგივე შეიძლება ითქვას 1980-იანი წლების ირანის რეალობაზეც, რადგანაც რევოლუციის შემდგომ გარკვეული ფილმების ნაწილი სწორედ უბრალო ხალხის ყოფას წარმოაჩენდა... რეჟისორები გადასაღებ მოედნად ჩვეულებრივ, ბუნებრივი განათების მქონე ადგილებსა და დასახლებულ პუნქტებს არჩევდნენ უბრალო ხალხით მთავარ როლში. ნაკლებად იყენებდნენ მოვლენების დრამატიზებასა და სენსაციონალიზაციის ხერხებს. თხრობა და დიალოგები ძალიან უბრალო იყო და დასასრულიც „ღია“, რათა მაყურებელს საკუთარი დასკვნების გამოტანა შესძლებოდა. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა აბას ქიაროსთამის „სად არის მეგობრის სახლი?“ რომლის გადასაღებადც რეჟისორი ჩრდილოეთ ირანის დასახლებულ სოფლებს ეწვია. ასევე მოჰსენ მახმალბაფის „გაბე“, სადაც მომთაბარე ტომების მიერ ხალიჩის ქსოვის ლამაზი სცენების ფონზე ერთი უბრალო ოჯახისა ცხოვრებაა ნაჩვენები. ასევე სამირა მახმალბაფის „დაფა“, რომელიც ასახავს გულგატეხილი ლტოლვილი მასწავლებლების მსვლელობას ქურთისტანის ბუნების ფონზე ირან-ერაყის ომის დროს [11], [12].

ირანულ კინოზე იტალიელი ნეორეალისტური კინოს გავლენად შეიძლება იქნას მიჩნეული ფილმში მთავარ მოქმედ პირებად ბავშვების გამოყვანა. ამ მხრივ საინტერესოა ერთი ფაქტორი: თუკი 1980-იანი წლებში ირანულ ფილმებში უმეტესად ბიჭები გამოყავდათ პროტაგონისტებად, 1990-იანი წლებიდან უკვე გოგონებმა დაიკავეს მათი ადგილი. მაგალითად, აბას ქიაროსთამის ფილმებში „სად არის მეგობრის სახლი“ და „დავალება“ მთავარ როლს ბიჭები ასრულებენ, ხოლო ჯაფარ ფანაჰის „თეთრი ბუშტი“(1995), „სარკე“(1997), და სამირა მახმალბაფის „ვაშლი“ (1998) უკვე გოგონებს უთმობს ასპარეზს. ამას, რა თქმა უნდა, განაპირობებდა რიგი შეზღუდვები, რომელიც ხომეინიმ ქალებს დაუწესა კინოში როლის შესრულებასთან დაკავშირებით და ცხადია, რომ მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ „გაბედეს“ რეჟისორებმა გოგონების გამოყვანა თავიანთ ნამუშევრებში. თავისი მიზეზი ჰქონდა ბავშვების მთავარ როლებში გამოყვანასაც. ზოგიერთი მოსაზრებით, ეს მსახიობთა ნაკლებობის გამო ხდებოდა. ზოგი მოსაზრებით კი, პროტაგონისტი ბავშვები შესანიშნავ საშუალებას წარმოადგენდა ალეგორიებისათვის. რეჟისორები მათ სახეს მოხერხებულად იყენებდნენ საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხებისა თუ თემების გასაშუქებლად. ამის ნათელი მაგალითია სამირა მახმალბაფის „ვაშლი“. ფილმი ფსევდო-დოკუმენტურია და მართლაც რეალურ ამბავს ეფუძნება. მასში გადმოცემულია 11 წლის ტყუპი გოგონების ამბავი, რომლებიც წლების მანძილზე ზედმეტად მზრუნველსა და დამცველ მამას ყავდა გამოკეტილი სახლში. სამირასთვის ეს იყო „თანამედროვე ირანის ყოფა“. ფილმში გოგონები ნელ-ნელა ეცნობიან გარეშე სამყაროსა და საზოგადოებას, რაც სიმბოლოა ირანის ნელი მსვლელობისა უფრო გახსნილი

საზოგადოებისაკენ. ფილმი მთავრდება სცენით: ბავშვების ბრმა დედა ისეთივე განმარტოებული, როგორც მისი შვილები არიან, ქუჩაში დახეტიალობს და ბოლოს სიმბოლურ ვაშლს იღებს [13]. ამ სცენით რეჟისორმა მაყურებელი ბევრ, მათ შორის გენდერულ საკითხზეც დააფიქრა. თითქოს ეს სცენა იყო ფემინისტური ალეგორია ქალთა შესაძლებლობებისა და პროტესტი ქალთა ჩაგვრის წინააღმდეგ. იგივე თემას ეხება ჯაფარ ფანაჰის „წრე“ (2000 წ.) და აბას ქიაროსთამის „ათი“ (2002 წ.).

პოსტრევოლუციური კინოს ახალი თაობისათვის ასევე აქტუალურია ეთნიკური უმცირესობების თემა, რამდენადაც ირანში თურქები, ქურთები და ასევე ავღანელი ლტოლვილებით მრავლად არიან. ამ მხრივ საინტერესოა მოჰსენ მახმალბაფის „ყანდაჰარი“ (2001 წ.), სამირა მახმალბაფის „შუადლის 5 საათი“ (2003 წ.), რომლებიც ავღანეთშია გადაღებული და ავღანელთა მძიმე ყოფას ასახავს. ასევე აბას ქიაროსთამის „ალუბლის გემო“ (1997 წ.), სადაც რეჟისორს გამოყვანილი ყავს სამივე ეთნიკური უმცირესობა და მთავარი მოქმედი პირის მოგზაურობის ფონზე ასახავს ირანის სოციალური მიკროკოსმს. ეთნიკური უმცირესობების თემას ეხება თავის ფილმებში ჯაფარ ფანაჰიც, რომელთაგანაც ერთ-ერთი პირველია „თეთრი საჰაერო ბუშტი“ (1995 წ.) ავღანელი ლტოლვილის შესახებ [14], [15].

მართალია, ჩვენს მიერ ჩამოთვლილი რეჟისორების ფილმებს საერთო თემა აქვთ, მაგრამ თვითონ რეჟისორების მუშაობის ფორმა და სტილი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად, სამირა მახმალბაფის სამუშაო სტილი უფრო ანთროპოლოგიურია, ქიაროსთამის - ფილოსოფიური, ფანაჰის კი უფრო ჟურნალისტური [13].

პოსტრევოლუციური ახალი ირანული კინოს თავსაჩინო და წარმატებული რეჟისორების ფილმებს კიდევ ერთი საინტერესო მახასიათებელი აქვს. ხშირად იკვეთება ფიქციისა და რეალობის ხაზები და მხოლოდ იმიტომ, რომ მაყურებელს შეახსენონ - ის, რასაც უყურებენ მხოლოდ დადგმული სცენებია და არა რეალობა, რომ რეალურად რეჟისორი კამერით იღებს ფილმს, და შესაძლოა ფილმის მსვლელობის მომენტში უცებ გამოჩნდეს, როგორც ეს „ალუბლის გემოში“. ჯაფარ ფანაჰის ფილმში - „სარკე“ ახალგაზრდა გოგონა, რომელიც ცდილობს სახლში დაბრუნებას, მოულოდნელად არღვევს სინემატიკურ ილუზიას ფილმის შუაში, აცხადებს რა, რომ აღარ სურს ფილმში მონაწილეობა და შემდეგ უკვე მიმდინარეობს რეჟისორსა და გადამღებ ჯგუფს შორის მსჯელობა იმაზე, თუ რა გააკეთონ. მსგავსი სწრაფი შემობრუნება ფილმს აახლოებს „თეთრ ბუშტთან“, სადაც ხდება ძიება, თუ რა არის „გადაღებული“ და რა არის „რეალობა“ და ტოვებს მაყურებელს ამ ორს შორის. ამ კუთხით საინტერესოა ასევე ფანაჰის ახალი ფილმი „ეს არ არის ფილმი“ (2011 წ.), რომელიც რეჟისორმა გადაიღო შინაპატიმრობის დროს, სადაც ფარულად შეიტანა USB მოწყობილობა და შექმნა სურათი იმის თაობაზე თუ რა არის ფილმის კეთება და როგორ იღებენ ფილმს. ფილმი ფილმის გადაღების შესახებ, ეს შეიძლება მივიჩნიოთ ახალი ირანული კინოს რეჟისორების ერთ-ერთ მთავარ მოტივად. ეს მოტივი დიდი დოზითაა როგორც აბას ქიაროსთამის, ისე მოჰსენ მახმალბაფის ნამუშევრებში. მაგალითად, ფილმში „ცხოვრება და არაფერი მეტი“, რეჟისორი, რომელიც გვევლინება ქიაროსთამის სუროგატად, დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ ეძებს ორ ბიჭუნას, რომლებიც მონაწილეობდნენ ფილმში - „სად არის ჩემი მეგობრის სახლი?“. ამას გარდა, „ზეითუნის ხეებს შორის“ მთავარი მოტივია „ცხოვრება და არაფერი მეტის“ ერთ-ერთი სცენის გადაღება. ყოველი ფილმი უკავშირდება სხვა ფილმს ფილმში და წარმოადგენს „მატრიოშკას“ მსგავს სტრუქტურას. აღსანიშნავია, რომ თვითრეჟექტური ტენდენციები არ გამოსახავს ბრეხტის ჩანაფიქრს და არც პოსტ-მოდერნისტულ ძიებებს უკავ-

შირდება, არამედ ის გვთავაზობს ცხოვრებით სიხარულს - დაკავშირებულს ორივესთან, კინოსა და რეალობასთან, რაც ქიაროსთამთან უფრო მეტად პოეტურ და ფილოსოფიურ სახეს იღებს [13].

იგივე სტილი, მაგრამ შედარებით მცირე დოზით ახასიათებს მოჰსენ და სამირა მახმალბაფებსაც. მოჰსენ მახმალბაფის ფილმში „ბედნიერთა ქორწინება“ (1989 წ.), ჩვენ ვხედავთ მისი თვითტრანსფორმაციის ადრეულ ექსპერიმენტებს, ხოლო „სიყვარულის დროში“ (1990 წ.), მისი იდეები სინამდვილის ფარდობითობაზე პირველად ჩნდება. უფრო მეტად საინტერესოა ფსევდო-დოკუმენტური ფილმი „სალამ სინემა“ (1995), სადაც რეჟისორი თამაშობს საკუთარ თავს. კამერა და ის, რასაც ის აიძულებს სასოწარკვეთილ ხალხს გააკეთოს მის წინაშე, იქცევა გაანალიზების ინსტრუმენტად ერთი მხრივ, კინოს მნიშვნელობისა თანამედროვე ირანში და მეორე მხრივ, ხელისუფლების და ხალხის ურთიერთობის დინამიკისა.

ირანული კინო მთელი თავისი მახასიათებლებითაა თუ წარმომადგენლებით გაცილებით მასშტაბური და გრანდიოზულია, ვიდრე ჩვენ წარმოვადგინეთ, მაგრამ აქედანაც ცხადად ჩანს, რომ მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა როგორ წარმატებასა და აღიარებას მიაღწია.

ცხადია, რომ ყველა იმ სოციალურ და პოლიტიკურ იმპერატივებს შორის, რამაც გავლენა მოახდინა ირანულ ფილმზე, უპირველესია ცენზურის რეგულაციები და ისლამისტური რეჟიმის დოგმები. ხშირად ისმის კითხვა, თუ როგორ წარმოიშვა ახალი ირანული კინო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისა და რიგი აკრძალვების მიუხედავად. როგორც ქიაროსთამი ამბობს, შემოქმედებისა და კრეატიულობის არსებობა უფრო შესაძლებელია აკრძალვის პირობებში, ვიდრე სრულ თავისუფლებაში [16]. მართლაც, სავსებით შესაძლებელია, რომ თუ არა ირანის ისლამური რესპუბლიკის ავთენტურობა, შესაძლებელია ირანული ფილმი სულაც არ ყოფილიყო ისეთი, როგორსაც დღეს მას მსოფლიო იცნობს.

გამოყენებული მასალები:

1. http://incolor.inebraska.com/theater/spring2000/the_iranian_cinema.html;
2. <http://www.iranvisitor.com/iran-culture/iranian-cinema#sthash.UHV7bJ7L.dpufv>
3. <http://www.youtube.com/watch?v=GrY1qvRb0o>;
4. Ridgeon, Loyd, Iranian Intellectuals 1997-2007, Routledge, 2008;
5. <http://www.loyno.edu/~history/journal/Cathcart.htm>;
6. Naficy, Hamid, A Social History Of Iranian Cinema, a globalizing era 1984-2010, vol.4, გვ.5;
7. Naficy, Hamid, A Social History Of Iranian Cinema, a globalizing era 1984-2010, vol.4, გვ. 8;
8. Naficy, Hamid, A Social History Of Iranian Cinema, a globalizing era 1984-2010, vol.4, გვ. 7;
9. <http://www.merip.org/mer/mer219/iranian-cinema>
10. Ahmad Sadri, "Searchers: The new Iranian cinema." The Iranian. 8 George Lellis, Bertold Brecht: Cahiers du Cinéma and Contemporary Film Theory (Ann Arbor Michigan: UMI Research Press, 1976
11. <http://www.youtube.com/watch?v=Od21n0vTUUU>;
12. <http://www.youtube.com/watch?v=bO5QnT4QLI0>;
13. <http://www.youngandinnocent.eu/es/articles/2012/english/analysis-new-iranian-cinema-through-four-its-key-directors>
14. <http://www.youtube.com/watch?v=zguDgN1BLF4>;
15. <http://www.youtube.com/watch?v=T02oZVtsjnA>;
16. http://archiv.hkw.de/en/dossiers/iran_dossierroseissa/kapitel1.html